



# ციბერი

№ 52 / 15 - 21 ნოემბერი / 2010

ცატოს სამიზნი: მესამე „ახალი ფურცელი“ **გვ. 10**

დავით ბარიაშვილი: რატომ ირანი? **გვ. 11**

ოლეგ კაშინის საქმე **გვ. 12**

როგორ გავამოიროთ სიღარიშე **გვ. 19**

მარკ მალევი: გაცხილი საქართველო **გვ. 38**

ფოსტ-მოდერნ – საქართველოს ფოსტის აღმყო და მომავალი **გვ. 30**

გაცორნილება – მშვიდობით, სიყვარული! **გვ. 34**

დავით ბუხრიკიძე: დაწილი კომპი თაილისში **გვ. 44**

ლაშა ბულაკა: ერთს უათივობა არაა **გვ. 46**

**ფასი 2 ლარი**

ISSN 1987-7528



**გვ. 22**

## ყველა – „ოქტავიანი“ მოსწავლის ნინალილება



მთავარი  
თემა:

ვინ ფლობს  
ახალ ამბებს?

**გვ. 14**

**FM**  
**ԱՅԵՐԱՅԻ**  
**98.0**





ფოთი ილია გარემონტიშვილი

**ცომისამართი:**

- 02 რედაქტორის სცენტი  
04 ლიბერალის  
ვებგვერდიდან  
06 მოკლედ  
08 ორი აზრი  
ეკისრება თუ  
არა დორექტორს  
პასუხისმგებლობა,  
მოსწავლების სკოლიდან  
გაპარვის შემთხვევაში?  
ალუდა გოგლიჩიძე VS თუა  
თუთბერიძე  
**მსოფლიო**  
10 მესამე „ახალი ფურცელი“  
თვალსაზრისი  
11 რატომ ირანი?  
დავით დარჩიაშვილი  
**მეზობლები**  
12 ოლეგ კაშინის  
საქმე

**მთავარი თემა**

- 14 ვინ ფლობს ახალ ამბებს?  
**ეკონომიკა**  
როგორ შევამცირეთ  
სიღარიბე  
**საზოგადოება**  
ყველა – „ოროსანი“  
მოსწავლების წინააღმდეგ  
**თვალსაზრისი**  
ისევ იქ, საბჭოთა კავშირში  
ნინო ბექიშვილი  
**საქართველოს ფოსტა**  
ფოსტ-მოდერნი  
**ოჯახი**  
მშვიდობით, სიყვარული!  
**თვალსაზრისი**  
გახსნილი საქართველო  
მარკ მალერი  
**თვალსაზრისი**  
ცუდად დავიწყებული ბუში  
გიორგი ცხადაია

**თვალსაზრისი**

- ნიგნიერება საქართველოში  
სიკო ჭანაშია

**კულტურა**

- დახრილი კოშკი  
თბილისში  
**თვალსაზრისი**  
ერის უპატივცემულობა  
ლაშა ბულაძე  
**სპორტი**  
ამინდი და ფეხბურთი  
**ქალაქში მოხეტიალე კაცის**  
**ჩანაწერები**  
გასეირნება ავლაბარში

**გარეკანი:**

- ყველა - „ოროსანი“ მოსწავლეების  
წინააღმდეგ  
**ფოტო:** ლევან ხერხეულიძე



ფურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფუნდ  
„ლა საზოგადოება - საქართველოს“  
მსარდაჭერით.

აფტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო  
მასალაში გამოიტენილი მოსაზრება  
არ გამოხატას ფონდის „ლა საზოგადოება-საქართველოს“  
პოზიციას. შესაბამისად, ფუნდი არ არის  
პატიჟისმგებელი მასალის მინარეფი.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

# რედაქტორის სვეტი



„... საქართველოს პრესა და მედია რომ არა, რევოლუცია არ მოხდებოდა. მედია რომ არა, საქართველო ვერ განვითარდებოდა; თქენი წესიერება და პატიოსნება რომ არა, ჩვენ ვიქენებოდით ჩვეულებრივი ჭაობი. ჭაობში დებატები არ ხდება – მარტო ბაყაყბი ყიყინებენ; ჭაობი არ ვითარდება, ის ერთ ადგილზე დგას“, – ეს პრეზიდენტ მიხელ სააკშვილის სიტყვებია. ციტატა ნინო ზურაიშვილის 2007 წლის ურნალის-ტური გამოხიტიდანაა, სადაც მოყოლილია 11 ტელევიზიის ისტორია, რომელთა თავდაპირველ მფლობელებსაც ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები ენაცვლებოდნენ. ტელევიზიებმა, რომლებმაც მფლობელის შეცვლაზე უარი განცხადეს, ლიცენზია დაკარგეს.

ამ გამოძიებიდან თოქმის 3 წლის თავზე, რეგიონული მედია ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური კამპანიების შემდეგ, საქართველოს მთავრობა ერთი შესწორებით გამოეხმაურა მედია მფლობელობის საკითხს და თქვა: „მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი არ შეიძლება იყოს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის „ნილის ან აქციების 10%-ზე მეტს პირდაპირ ან ირჩად, დასკა ან სხვა პირებთან ერთობლივად [ჯამურად] ფლობს (ფლობენ) ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი (პირები)“.

ამ ნორმის მიღება პირდაპირ შეეხება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, რომლის აქციების 70%-ის მფლობელია

*Degson Limited* – ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანია. მაგრამ ეს ერთი კინკილა ახალი ნორმი ვერ უზრუნველყოფს გამჭვირვალობის იმ ხარისხს, რაც გვჭირდება იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რეალურად ვინ გვანვდის ახალ ამბეჭს, ვინ არის ბენეფიციარი მესაკუთრე, ანუ ვინ არის მედია საშუალების საპოლიო, რეალური მფლობელი.

ეს ცვლილება არც ტელეკომპანიების დაფინანსების წყაროებსა და ფინანსურ ანგარიშვალდებულებაზე ამბობს რამეს, რომ აღარაფერი ვთქვათ სამაუწყებლო ლიცენზიირების პროცედურებსა და თავად „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ პოლიტიზებულობის ხარისხზე. ამიტომ, თუ პარლამენტი თავისივე ინიციატივით შემოფარგლება და არ ეცდება შეაჯეროს თავის ნომინალური შემოთავაზება იმ კანონპროექტების პაკეტთან, რომელიც პარლამენტში სამოქალაქო საზოგადოების ერთიანმა საინიციატივო ჯგუფმა შეიტანა, ჩვენ ვერ მივიღებთ რეალურ გამჭვირვალობას.

არადა იმისათვის, რომ „ჭაობში არ ვიყოთ“, გამჭვირვალე, თავისუფალი და ანგარიშვალდებული მედიასა საჭირო. იქნებ პარლამენტმა გაითვალისწინოს ჩვენი პრეზიდენტის სიტყვების პათოსი?

## შორენა შავერდაშვილი

**რედაქტორი:** მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავავა / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკა / ურნალისტური გამოძიება ბესო კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნინო ახალშეგოლი, ნინო საჯავა / კებეგვრდის რედაქტორი ნინო ჭავალაშვილი

**შურალაშვილი:** მასა ნიკოლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქაჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფარიზშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე,  
ნინო რობაქიძე, ნინო გულაშვილი

**პრეზიდენტი:** მარკ მალენი, გორგი ცხადასა, ლევან იზორია, ნინი საჯავაა, ნინია კაგაბაძე, დავით ბუხრიენძე, გიო ავლელდანინ,

კაბ თოლორდავა, მოლდ კორსი, ლექსი წერეული, ემილ სულეიმანიური, ირკულ კობახიძე, დანა ჩაჩუა, გორგა ლომაძე, ქეთო ქანთარია

**რედაქტორი:** ფოლო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული ფუნქციანი თორნიკე ლორთქიფანძე / რედაქტორ-სტილისტი პატა შემუგა / კორექტორი თამარ ლონდაძე

**გამოცემლის:** რაზმეტებული მენეჯერი ქვთობაზენაშვილი / მრევეტის მენეჯერის ასასტენტი ლელა შემითოძე / კლიენტთა მოშანეურების მენეჯერი ნათა რუსაძე /

**დისტრიბუტორი:** ზოად შენგელია

**გამოცემაში:** პას „ლინგისტიკა“, მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

**სახვა გამოცემის:** „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

**ურნალის გამოცემებული მსახურების** ნანილიმირიკა რედაქტორის გამოცემება თანხმობის გარეშე აკრძალულია.

**გერმანია:** სტუმა, „სენანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთოს გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

**გამოძიება:** კერისშვილ ერთხელ, ყოველ იორდათან. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

ISSN 1987-7528

**გენერალური ინსაცია 148-ი  
და 149-ი სკოლებში**  
 9 წლის სკოლაში, რომლის დირექტორმაც 9 წლის გადადგომის შესახებ განცხადებას ხელი არ მოაწერა, დღეს განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახური შევიდა. თუმცა, იმ დროისთვის, დირექტორი სკოლაში აღარ იმყოფებოდა: „მას დილის 10 საათზე ნერვიული შეტევა დაგემართა და სკოლიდან სასწრავომ წამოიყანა,“ – უთხრა „ლიბერალს“ დირექტორის შვილმა ქეთი გიორგაძემ, „ამ დღეებში გადატანილი სტრესის გამო ძალიან ცუდად არის.“  
 ამ წუთებში კი გენერალური ინსპექცია 148-ე სკოლასაც ამონებს, რომლის დირექტორიც მათა გიორგაძის მეუღლე – ვალერიან გიორგაძეა.



**ამავე თემაზე:**  
**მულტიმედია**  
**ინფორმაცია 149-ი სკოლის  
დირექტორის მოაღმილესთან**  
 ხათუნა ელოშვილი ამბობს, რომ განათლების სამინისტრო, მანდატურების მონაწილეობით სკოლის დირექტორს აიძულებს, თანამდებობა დატოვოს.

**მულტიმედია**  
**ნაცოვეთები ფილმის**  
**„რუსეთი 88“**  
  
**ამავე თემაზე:**  
**რეალისტი სარგეი სოლოვიოვი**  
**რუსული კინოს ფესტივალზე  
თანამდებობის შინაგანი სამყარო**



**მარაპ კოპორაციის და რეზონენის – რუსული კინოს  
ფესტივალი**



**ხალხის აზრი რუსული კინოს  
ფესტივალზე**



**გიორგი ცხადადას პლოგი**  
**მარკ ცუკერბერგის მიზანი**  
 მარკ ცუკერბერგზე გადაღებულ ფილმს ორი მიზეზით ვუყურე: პირველი, იმიტომ, რომ ეს ფილმი „Fight Club“-ის რეჟისორმა დღვიდ ფინჩერმა გადაიღო, და მეორე, იმიტომ, რომ ფეისბუკი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. მაინტერესებდა, მენხა ფილმი ადამიანზე, რომელმაც „შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა“.

**ამავე უანიდან:**  
**პირველად იყო პროგრამა  
და პროგრამა იყო...**

**მულტიმედია**  
**ვარდა აირინენალით ყონსაც?**  
 „ლიბერალის“ გამოკითხვა კონტრაცეფციის შესახებ



## հալաբդութեան վեցին:

„କାହିଁରେ ମନୋସତ୍ତ୍ୱ!“

მე რაღაც არ მჯერა მანდატურთა  
კუკარაჩობის. პირიქით, ნახავთ, რო-  
გორ იქცევა ეს სამსახური მოზარდთა  
პოლიციად და შემდეგ ქულების  
დაწერის გამო როგორ დაწყებენ ბავშ-  
ვებისათვის რაღაცების „შეტინვას“.  
საერთოდ, ამ სამსახურის უფროსი  
რომელი სამსახურიდან გადმოვიდა,  
ვინმერი იცის?

მიხეილ კალანდაძე

მე მგონი, ისეთი საშიში არ არის  
საფრთხოსტელა, როგორც მას ახა-  
სიათებენ. მე არ ვარ მომხრე მან-  
დატურების, მაგრამ ძალიან ნუ  
გავაძუღებთ. ჩემი შვილის სკოლაში,  
გაკვეთილის დროს დერეფანში უკვე  
აღარ არის აყალიბასთა. ტენდენცია  
იმისა, რომ ბავშვები შეაშინონ და  
სკოლები მკაფიო რეკიმის კოლონიას  
დაამსგავსონ, აშკარაა, მაგრამ არა  
მანდატურების მხრიდან. მინისტრი და  
სამინისტრო ცდილობს ამას. ხოლო ის,  
რომ ბატონი მინისტრის შვილები კერ-  
ძო სკოლაში სწავლობენ, გვაფიქრე-  
ბინებს იმას, რომ მას დიდად არ  
ადარდებს ეს საკითხი და მის ოჯახს  
არ ეჩება ყველა ეს „ინკვაზია“.

៤៩

„პატონი მინისტრო“ კი არა, „ამხ-ანაგო მინისტრო“ ... მე სკოლაში საბჭოთა კავშირის დროს წავედო და ასეთი სიმახინჯვე მაშინ არ ხდებოდა, რა უბითურება?!“

გიორგი

## გაყიდული საქონლი უკან არ მიიღება!

№5 ავტობუსშიც და საერთოდ,  
ყველა გაუქმებული მარშრუტების შეს-  
ახებ ინფორმაციას ერთი თვით ადრე  
ავტობუსებდნენ, ვისი რა ბრალია, თუ

ვინმე უყურადღებოა? და საერთოდ,  
აღარ მოგწყინდათ ასეთი დეპრესიული  
და დაბოლმილი სტატიიბის წერა?  
ყველამ საკუთარ თავში ჩაიხედოს  
ჯერ.

ვხედავ. ზოგადად, ასეთი მაგალითების ფორმები აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ ევროპის ქვეყნებში ანტიიმიგრანტული სენტიმენტები ძალიან გაძლიერდა და უკვე საშინ ტენიციაზე იქცა.

ତାରିଖ

საქართველოში მსგავსი ტიპის  
სტატიტები რატომდაც, მოწონებას არ  
იძსახურებს. აი, სხვა ქვეყნებში კი,  
მაგალითად ამერიკაში მოული რიგი უკ-  
რანალისტური გამოძებები მიღის მომხ-  
მარებლის უფლებების დარღვევაზე...  
აյ ადამიანებს მხოლოდ პოლიტიკაზე  
უნდა ელაპარაკო, ან ვინ როდის რა  
დაბერა და რა დაიპატარავ.

କୁରୁକ୍ଷର ପାଇଁ ଯାଏନ୍ତିରେ କୁରୁକ୍ଷର ପାଇଁ -  
କୁରୁକ୍ଷର ପାଇଁ କୁରୁକ୍ଷର ପାଇଁ ?

კარგად თქვა თეომ - სადო-  
მაზონისტური ვნებებისა და კომ-  
პლექსების საუკუნოვანი ციკლის  
გაგრძელება; ბუნულის ფილმი  
გამახსენდა, „თავისუფლების ფანტომი“  
- კაცი რომ ითხოვს, ყველას თანდას-  
წრებით გაროზგოს ქალმა.

താന്ത്രിക



ପାଇଁବାଲ୍ୟକୁ ସାଇର୍କାରୋଟାଳ

მე ბერლინში ცუხოვერობ და სამწუხა-  
აროდ, აქაც გადავანყდი ქართველების  
ამგვარ საქციელს: ვითომ სტუდენ-  
ტები არინ და სინამდვილეში, ეშმაკმა  
უწყის, რას აკეთებენ. სტუდენტური  
შეღავათებით სარგებლობენ, აქვთ  
სტუდენტური სამუშაოები, არა აქვთ  
შიში ღამით ქუჩაში გასვლისა და  
ქუჩური გარჩევებისა, რადგან ზუსტად  
იციან, რომ მათი უფლებები დაცულია.  
სამაგიროდ საქართველოში დასას-  
ვენებლად ჩამოსული იგივე ადამიანები  
გაბლენდილი დადიან, მათ ხომ ჯიბეში  
გერმანული კიზა უდივთ.

၁၃၁

„პოლიტიკურსების თამაშებში“ ყოველთვის ხალხი იჭყლიტება და იჩაგრება, ეს მათი რიგითი „კულტურული აქცია“ – ამიტომ ვეუბნები: არა რუსულ კინოთასტიკიას!

Nino Makharadze

ფესტივალი არ უნდა გამართოს დღის მიზანით. ამასთან ერთად გამართებული იყო საფეხური მარტინ ლინკის მიზანით. მაგრავ არ მოგვიანებით გამოიწვია დღის მიზანით. ამასთან ერთად გამართებული იყო საფეხური მარტინ ლინკის მიზანით.

მანანა

# კათველი საფინანსო

თინი ნოლაიდელი-მიშელის ბლოგი

ერთი ამოჩემებული საპარიქმახერო აქვს ჩემს მეუღლეს. ერთ დღესაც მიდის გასაკრეჭად და დალაქი უილბერტი ეკითხება: შენი ცოლი ქართველია, არა? დაუდასტურა ჩემმა ქმარმა. დაიმორცვა უილბერტმა, რაღაც უნდა მომყოლობა და მერიდება. ნუ გერიდება, აბა, რა ამბავია, — შეაგულიანა ჩემმა ქმარმა.

უილბერტის ისტორია: საქს-გამბეტაზე (ლიონში საკმაოდ კომერციული უბანია, მაღაზიებით, სილამაზის სალონებითა და რესტორნებით) ჩამოიარეს ქართველმა ბიჭებმა — თუ ვინდათ, არავინ შეეგებოთ და შეგანუხოთ, მოგებიდან წილი გადაგვიხადეთ და ჩვენ დაგიცავთ, თითაც ვერავინ დაგაკარებთო. ერთ კომერსანტს მოერიდა და არაფერი არ უთხრა, მეორემაც ურეაქციოდ დატოვა. მესამემ პოლიციაში დაასმინა და ახლა გავიგე, უკვე აუყვანიათ სათითაოდ.

დღეს პირველად წავედი საზაფხულო სამუშაოზე. ლტოლვილების ფორუმზე ქართველ ლტოლვილებსა და ფრანგ იურისტებს შორის თარჯმნის ფუნქცია უნდა შევსარულო.

კარგად ჩაცმული, სიმპათიური ბიჭი გველოდება.

— დავნიყო! მე იურისტი ვარ. თქვენ პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი მიიღეთ. წაიკითხეთ მოტივი?

ვუთარგმნი. არაო, არ წამიკითხავსო, — ამბობს ბიჭი.

წერილში ნათქვამი იყო, რომ შესაბამისი უწყების წარმომადგენლებს ეჭვებოდათ, ეს ბიჭი მართლა ისური წარმომავლობის იყო თუ არა და ამ მიზეზით, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე უარს უებნებიდნენ.

რა ტიპები არიან! — დაზიუნუნა ბიჭმა.

— თქვენი საჩივარი უფრო სანდოდ რომ გამოიყერებოდეს, თქვენი ისტორია უნდა მიამოთო. თუკი განცხადებას დეტალებით შევავსებთ, უურო დამაჯვერებელი გახდება.

შევატყვე, ეს ამბავი არ ესიამოვნა. გვერდზე გაიხედა და მითხრა:

— უთხარი, რომ ყველაფერი დამენვა. რა მოვყვე აბა, ახლა. უთხარი, შოკში იყო და არაფერი ახსოვსო, ასე უთხარი.

იურისტი შემშებნა:

— მესმის, რომ ძნელი გასახსენებელია თქვენთვის, მაგრამ დრო არ გვაქსს, ვადა ინურება. თავს ძალა დაატანეთ და გაიხსენეთ თქვენი ისტორია.

მიხვდა, ისევ თავის საქმეს იფუქებდა და ჰა, ჯანდაბას, გადაუთარგმნეო, მითხრა.



სოფელ ო...ში გავიზარდე და სკოლაც იქვე დაგამთავრე, მაგრამ თბილისმი, ბიძასთან ვიყავი ჩანერილი. 7 აგვისტოს,

ლამით სოფელში შემოვარდა ქართული ჯარი. მე გამოვიქცი სახლიდან. ტყეში. მერე ვნახე, რომ სახლი დაპირილი იყო, მითხრეს, დედაშენი და მამაშენი დაიღუპნენ. იმ დამითვე წამოვედი თბილისში, ბიძასთან. თბილისელი ბიძის სახლში გაზირება შეუძლებელი იყო, მეუბნებოდნენ, გაეთრი შენს ისეთშიო, მემუქრებოდნენ. გამოვიპარე საფრანგეთში ტრაილერით.

უკან არ მიმისვლება. — საიდან იცი, რომ ღმით ქართული ჯარი შემოვიდა? — დაინტერესდა იურისტი.

— რა ვიცი, უთხარი, ლაპარაკი მოესმაო. რამე უთხარი რა, — მთხოვა ბიჭმა.

— თბილისმი რით ჩახვედი?

— ბილიკ-ბილიკ.

— აბა, ინტერვიუში რომ გინერია ავტოსტომითო?

— რა ვიცი, შოკში იყო, უთარგმნე! — მომმართა მე.

— თბილისმი რა ხდება ამ დროს?

— პანიაა, დაეძებენ ოსებს, ერთი ამბავია. მეგობრები, სამხედროები, მეზობლები მეუბნებიან, გაეთრი აქედანო, შე ოსის აგენტო!

დიალოგი კიდევ ნახევარ საათს გაგრძელდა, მაგრამ იურისტი მაინც უკმაყოფილი იყო. განცხადების შედგენაში კი დაეხმარა, მაგრამ თან გააფრთხილა, იცოდე, შენი ისტორია იმდენად მშრალი იყო, სავარაუდოდ, პოლიტიკურ თავშესაფარზე ისევ უარს მიიღებო.

— ეგ არაფერი, — ჩაიცინა ბიჭმა, — ერთი ის ჰეითხე, ფულს როდის დამირიცხავენო.

მალე დაურიცხავენ. თავშესაფარიც აქეს. 100 პროცენტით უფასო ჯანმრთელობის დაზღვევითაც სარგებლობს. ალბათ, ფრანგულ მაღაზიებსაც «სწავლობს», გზად შემოხვდება ვიმებ ქართველი, გალანძღვენ ფრანგებს: არაფერი მაგათ არ იციან, ყველი რა იციან მაგათ, ან ლვინო ან გარიბანო, მეგობარი მაგათ არ იციანო. ერთი პროფესია აქეთო და იმის იქით არაფერი იციანო, ჩვენ რომ ვიცით ჩახუტება და გაგება, ამათ ასე იცანო? ამ ჭიქით საქართველოს გაუმარჯვოს, ასე შორის რომაა და მარგალიტოვით რომ ანათებსო. გადაკრავენ ფრანგულ ლვინოს, დააყოლებენ ბაგეტს და კამაბერს, უფასოდ იმგზავრებენ, ფრანგებს დედას შეაგინებენ და გულინად იცინებენ, ამათ ჰენინა, კარგ რამეს ვეუბნებითო.

აგვისტოში კიდევ 5-ჯერ მომინებეს თარჯმნის ფუნქციის შესრულება. მგონი, არანაკლები ტყუილების მოსასმენად უნდა მოვემზადო.



ფოტო: ირაკლი გურიაშვილი

## თანამშრომაობა საარჩევო ბაჟიმოს შესასვლელი

მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ერთობლივ სამუშაო ჯგუფს ქმნიან, რომლის მიზანიც საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად კანონმდებლობის მომზადება იქნება. ეს გადაწყვეტილება უმრავლესობასა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შორის 10 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე მიღება. შეხვედრას 15 ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლი ესწრებოდა, მათ შორის საპარლამენტო ოპოზიცია და ის 8 პარტია, რომლებმაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ერთობლივი პროექტი პარლამენტში უკვე წარადგინეს. ხელისუფლებას პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები წარმოადგენდნენ.

„ეს არ იქნება ადგილი პროცესი, ჩვენ ვიმუშოვებით ძალიან ფაქტიზი და ხანგრძლივი პილიტიკური კომპრომისების ძრინის გზის დასაწყისში, მაგრამ იმედი მაქს, რომ ამ პროცესის საბოლოო შედეგი იქნება ისეთივე კონსტრუქციული, როგორიც გახდათ დღე-ვანდელი შეხვედრის საბოლოო შედეგი,“ — განაცხადა დავით ბაქრაძე.

შეხვედრაზე ითქვა, რომ სამუშაო ჯგუფი იქნება ყველა თემაზე მსჯელობისთვის

და ნებისმიერი პროექტის განხილვისთვის, რაც ჯანსაღ საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფს. „ყველა მონაწილემ გამოიჩინა კონსტრუქციულობა და სურვილი იმისა, რომ ურთიერთკომპრომისების გზით ვიაროთ შეთანხმებების მიღწევისკენ“, — განაცხადა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ. მისი თქმით, ამ ჯგუფის მუშაობა მნიშვნელოვნად შეცვლის საარჩევნო გარემოს.

უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებით, ცვლილებები, რომელზეც სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები შეთანხმდებიან, მომავალი წლის ბოლომდე საარჩევნო კოდექსში აისახება. ჯგუფის მუშაობაში დამკვირვებლის სტატუსით საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან, რაც იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელის, პავლე კუბლაშვილის თქმით, პროცესის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

თუ რა ფორმატში დაინტებენ პოლიტიკოსები მუშაობას და როგორ მოხდება სამუშაო ჯგუფში გადაწყვეტილებების მიღება, შემდეგ შეხვედრაზე, 17 ნოემბერს გადაწყდება.

## ობენები "ცნობის" მონაცემებს

საქართველოს პრეზიდენტმა სპეცოპერაცია „ენგერის“ მონაწილეებს ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენზები გადასცა. „მინდა, დიდი მადლობა გითხრათ და გისურვოთ შემდეგი წარმატების საქართველოს მტრის მოქმედების და ხრიკების შესაჩერებლად!“ — მიმართა მიხეილ სააკაშვილმა სპეცოპერაციის მონაწილეებს. რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის პრალდებით ოქტომბერში შეს-მ 13 პირი დაკავავა. მათგან 4 რუსეთის მოქალაქეა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაკავებულ რუსეთის მოქალაქეებთან დაბლომატების დაშვებას ითხოვს.

## უკინის პრნებაბანები

სომხეთის ეროვნული უშიშროების სამსახურმა დაადასტურა, რომ საქართველოში ურანის კონტრაბანდის მცდელობისთვის აპრილში დაკავავ მოქალაქე გარიყ დადაიანი, რომლისგანც მიღება ურანი საქართველოში, მარტში დაკავებულმა სომხეთის მოქალაქეებმა ტორიანმა და ოპანიანმა. შეს-ს ცნობით ბირთვული მასალების კონტრაბანდის პრალდებით, მარტში დაკავებულმა პირებმა საქართველოში შემოტანებული 18 გრამი ურანი.

## საქართველოს ეკონომიკის 3 მიმართულება



პრეზიდენტმა სააკაშვილმა სტუდენტებთან შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკის სამ პრიორიტეტზე ისაუბრა. ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა ის მიმართულებებია, რომლებმაც, პრეზიდენტის თქმით, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გაორ-

მაგება უნდა განაპირობოს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, მან ყურადღება ჰიდროენერგეტიკის პოტენციალზე გაამახვილა. მისი თქმით, საქართველოს შეუძლია შემდგომი 7-8 წლის განმავლობაში ამ სექტორში 5 მილიარდი აშშ დოლარი მოიზიდოს, რაც ქვეყნას 100 ათასი ადამიანის დასაქმების შესაძლებლობას მისცემს.

პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ საქართველოს „წარმოუდგენელი“ ტურისტული პოტენციალი გააჩნია. სოფლის მეურნეობას კი მან „ჩვენი იდეოლოგია და ჩვენი იდენტიტების ნაწილი“ უწოდა.

## 30ზემცი 5 ნოემბრი პარაზის შემთხვევა

მომავალ წელს მოსკოვს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი – დევიდ კამერონი ეწვევა. კამერონმა მოწვევა პრეზიდენტ მედვედევისგან სეულში მიმდინარე დიდ ოცეულზე მიიღო. „ჩვენ შევთანხმდით უმალეს დონეზე თანამშრომლობის გაგრძელების აუცილესობისაზე და კონტაქტების გაფართოებაზე, რუსეთის და ბრიტანეთის პოზიციები ბევრ საკითხზე ერთმანეთს ემთხვევა“, – განცხადა პრეზიდენტმა მედვედევმა. ეს იქნება ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მოსკოვში პირველი ვიზიტი ალექსანდრე ლიტვინენკოს სიკედლის შემდეგ. 2006 წლიდან ბრიტანეთი მოსკოვისგან უშედეგოდ ითხოვდა მკულეობაში ეჭვმიტანილის, ანდრე ლუგავოის ექსტრადიციას.



## „საქართველოს ბაზისი“ ბაზირები



საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი პოლიტიკოდან მიდის. ზურაბიშვილი საქმიანობას გაეროს უშმილოების საბჭოში, ირანის საკითხზე შექმნილი ჯგუფის ხელმძღვანელად გააგრძელებს. მისი თქმით,

ეს თანამდებობა მას გაეროს გენ.მდგვანმა ბან კი მუნმა შესთავაზა. „ამ ქვეყანაში დღეს არ არსებობს ის მინიმალური დემოკრატია, რომ ოპოზიციამ იარსებოს... ოპოზიციონერობა ასეთ პირობებში ნიშნავს, რომ ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ ხელისუფლების ილუზიებში და ტყუილში“, – განცხადა ზურაბიშვილმა და დასძინა, რომ ის პოლიტიკაში დაბრუნდება.

### ჩილევაზი

**45**  
მლნ აშშ დოლარს  
გამოყენებს  
„მსოფლიო ბანკი“  
საქართველოს.

**3,84**

მილიარდი  
აშშ დოლარია  
საქართველოს  
საგარეო ვალი.

**8**

კომპანია ააშენებს  
სასტუმროებს

**2023**

წელს თურქეთი  
უმსხვილესი ეკონომიკის  
ქაბულების თავისუფალ  
ტურისტულ ზონაში.  
შევა.

### სისტემა



„რუსმა ჯაშუშებმა გაკვეთილი დალატისგან უნდა ისწავლონ“. დიმიტრი მედვედევი რუს ჯაშუშებზე

„7 წოებრის ყველა მოქმედება იყო სწორი“. მიხეილ სააკაშვილი 2007 წლის 7 წოებერზე

„საატესტაციო გამოცდები ჩატარდება და ეს არის გარდაუვალი“. დიმიტრი შაშკინი მეთორმეტეკლასელთა საატესტაციო გამოცდებზე

„შაშკინს ისევ სასჯელალსრულების მინისტრი ხომ არ ჰგონია თავი?“

„ახალი მემარჯვენების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე სკოლის დირექტორების გათავისუფლებაზე

# ორი აზრი



მომხსენე

ალუდა გოგლიჩიძე

42-ე საკარო სკოლის დირექტორი

სკოლიდან მოსწავლის გაპარვის შემთხვევაში, დირექტორის პასუხსმგებლობა გამომდინარეობს მისი უფლება-მოვალეობებიდან და მართვის ბერკეტებიდან. დირექტორი პასუხისმგებელია სკოლის მართვაზე, მათ შორის, სასწავლი პროცესის მიმდინარეობაზე. ამავდროულად, დირექტორი პასუხისმგებელია სკოლის შინაგანანების სამუშაო ვერსიის მომზადებაზე, რომელსაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის სამეცნიერო საბჭოს.

მოსწავლის უფლება-მოვალეობების, დისციპლინური გადაცდომებისა და მათზე რეაგირების საკითხებს რამდენიმე დოკუმენტი არეგულირებს: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, საჯარო სკოლის წესდება, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და სკოლის შინაგანანები. აღნიშნული დოკუმენტებიდან ყველაზე გადამწყვეტი არის, თუ რა წერია სკოლის შინაგანანებში. ვშიშობ, რომ ამ კუთხით სკოლების გარკვეული ნაწილი არასათანადოდ არის მომზადებული და სკოლის შინაგანანებში ნაკლებად ასახავს კონკრეტული სკოლის საზოგადოების სპეციფიკას და საჭიროებებს.

მოსწავლის სკოლიდან გაპარვის ფაქტის გამო სკოლის დირექტორის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დგება და ვერ დადგება, მაგრამ მისი მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, თუ ის არ ცდილობს სათანადო სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს მსგავს ფაქტზე, არ ზრუნავს სკოლაში მონიტორინგის სისტემის დანერგვაზე, არ ზრუნავს შინაგანანების დახვენაზე, არ ახდენს რეაგირებას მასწავლებლების მხრიდან საკლასო უურნალში შესაბამისი ჩანაწერის არგავეთებაზე (რაც საკმაოდ გავრცელებული და მასტატაური პრობლემაა).

სამწუხაროდ, უნდა ალინიშნოს, რომ სკოლა და მათ შორის, დირექტორი, გარკვეულნილად, ნაკლებ ეფექტურები არიან მოსწავლის მხრიდან აღნიშნულ გადაცდომაზე რეაგირებისას. კერძოდ, სკოლას არ აქვს უფლება, დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლე გარიცხოს სკოლიდან, ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლის გარიცხვის უფლება აქვს მხოლოდ დისციპლინურ კომიტეტს, რომელშიც შედის მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი. დისციპლინური კომიტეტი არ იკრიბება კონკრეტულ საკითხის განხილვის მიზნით და მისი ჩარევა დროში საკმაოდ განელილი პროცესია, რომ არაფერი ვთქათ სათანადო წების შესაძლო ნაკლებობაზე, პრინციპულად მიუდგეს დამუშლი საკითხის გადაწყვეტას.

სამართლებრივი ხასიათის პრობლემების გარდა, მნიშვნელოვანი პრობლემაა საზოგადოებრივი სტერეოტიპები, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, სამართლებრივი ცნობიერებისა და ტრადიციების დეფიციტი.

აღნიშნული წინააღმდეგობების მიუხედავად, სკოლის დირექტორი ვალდებულია, ქმედითი და სამართლებრივი რეაგირება უზრუნველყოს მოსწავლის და არა მარტო მოსწავლის დისციპლინურ გადაცდომაზე. **¶**



## ესისხისა თუ აჩა ღია ღია მოსწავლების სამიღლო

■ მოსწავლის სკოლიდან გაპარვის ფაქტის გამო სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, თუ ის არ ცდილობს სათანადო სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს სისტემის დანერგვაზე, არ ახდენს რეაგირებას მასწავლებლების მხრიდან საკლასო უურნალში შესაბამისი ჩანაწერის არგავეთებაზე (რაც საკმაოდ გავრცელებული და მასტატაური პრობლემაა).  
  
■ მოსწავლის სკოლიდან გაპარვის ფაქტის გამო სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, თუ ის არ ცდილობს სათანადო სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს სისტემის დანერგვაზე, შინაგანანების დახვენაზე, არ ახდენს რეაგირებას მასწავლებლების მხრიდან საკლასო უურნალში შესაბამისი ჩანაწერის არგავეთებაზე.  
  
■ მოსწავლის სკოლიდან გაპარვის ფაქტის გამო სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, თუ ის არ ცდილობს სათანადო სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს სისტემის დანერგვაზე, შინაგანანების დახვენაზე, არ ახდენს რეაგირებას მასწავლებლების მხრიდან საკლასო უურნალში შესაბამისი ჩანაწერის არგავეთებაზე.



## სომხეთის პასუხისმგებლობა, რ ბავაშის შემთხვევაში?

■ არ შეიძლება მოსწავლეების მიერ  
მოწყობილი აქციებისთვის განათლების  
სამინისტრო იბარებდეს სკოლის  
დირექტორებს და მათგან განცხადებების  
დაწერით სამსახურიდან წასვლას  
მოითხოვდეს. განათლების სამინისტროს  
წარმომადგენლებს სხვა პრეტენზიები  
არ წაუყენებიათ დირექტორებისთვის  
გარდა იმისა, რომ მათი მოსწავლეები  
საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ.



### მოწინააღმდეგე

#### თეა თუთბერიძე

სკოლის დირექტორთა ასოციაციის  
ხელმძღვანელი, „თავისუფლების  
ინსტიტუტის“ წარმომადგენელი

დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება დადგეს მოსწავლეების აქციაში მონაწილეობის გამო, რადგანაც ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-14 პუნქტის თანახმად, მოსწავლეს, მასწავლებელს, ასევე მშობელს აქვს უფლება, საკუთარი მოსაზრებები გამოთქვას ნებისმიერი ფორმით, რომელსაც არ კრძალავს საქართველოს კანონმდებლობა.

მათ აქვთ უფლება, გამოხატონ პროტესტი არა თუ სკოლის გარეთ, არამედ ამისთვის გამოიყენონ სკოლის ტერიტორია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მათ ასევე უფლება აქვთ, თავიანთი იდეები და მოსაზრებები გაკვეთილისთვის განკუთვნილ დროშიც გაავრცელონ.

ისევე, როგორც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, მოსწავლებს სრული უფლება აქვთ, საკუთარი მოსაზრებები გამოხატონ იმ ფორმით, რაც კანონით აკრძალული არ არის. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მოსწავლის მიერ პროტესტის გამოხატვისთვის ისჯებოდეს სკოლა ან სკოლის დირექტორი.

თუ მოსწავლე სკოლას გაკვეთილს დროს ტოვებს, მაშინაც კი დირექტორი მას უერ შეავევს. სკოლის ერთადერთი ვალდებულება ამ შემთხვევაში მოსწავლეების მშობლების ინფორმირება და აღრიცხვაა. ასევე, თუ მოსწავლე სკოლაში არ გამოცხადდება, მასწავლებელმა ეს ურნალში უნდა აღრიცხოს. კონკრეტული საგნის მასწავლებელი საქმის კურსში უნდა აყენებდეს კლასის დამრიგებელს, რომ ესა თუ ის მოსწავლე არ ესწრებოდა გაკვეთილს და შემდეგ, კლასის დამრიგებელი – სკოლის ადმინისტრაციას.

არ შეიძლება მოსწავლეების მიერ მოწყობილი აქციებისთვის განათლების სამინისტროს იბარებდეს სკოლის დირექტორებს და მათგან განცხადებების დაწერით სამსახურიდან წასვლას მოითხოვდეს. განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს სხვა პრეტენზიები არ წაუყენებიათ დირექტორებისთვის გარდა იმისა, რომ მათი მოსწავლეები საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ.

ყველა ადამიანს აქვს უფლება, გამოხატოს პროტესტი, მათ შორის, აქციების ფორმით, მიუხედავად იმისა, ის მოსწავლეა თუ ზრდასრული ადამიანი. მინისტრ შაშვინს და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს მე ვურჩევდი, წაიკითხონ კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მე-14 მუხლი მაინც, და ნახავენ, რის უფლება აქვთ მოსწავლეებს. □

ნატო

## ესამ "ახალი ფიჩი"

19-20 ნოემბერს ლისაბონში აღიანსის წევრი სახელმწიფოები „ყველაფრის ახალი ფურცლიდან დაწყებას და წარსულის აჩრდილების დამარხვას“ გეგმავენ. მოახერხებს თუ არა ნატო 21-ე საუკუნეში რელევანტურობის შენარჩუნებას?

დიანა ჩაჩიუა

ავლანეთში მავჯირ კიშლაკის სოფლის 1300 დევნილის ისტორია, რომლებიც წლება, კარვება და ქოხებში ცხოვრობენ, 28 წლის წინ საბჭოთა ჯარების შეჭრით იწყება. 1979 წლის 27 დეკემბერს ავლანურ ფორმებში გადაცმული 700 საბჭოთა ჯარისკაცი დღესაც კარგად ახსოვს აქაურ ზრდასრულ მოსახლეობას. მომავალ წელს მათ მოგონებები კიდევ უფრო გაუმძაფრდებათ, რადგან რუსები ბრუნდებიან. ამჯერად, როგორც ნატო-ს პარტნიორები.

მორიგი ვეტნამის თავიდან აცილების მიზნით ავლანეთიდან ჯარების გამოყვანაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ხანია, საუბრობენ. მომავალი წლიდან ამ კონფლიქტის გასანერტრალებლად ამერიკელებს რუსებიც დაეხმარებიან.

რუსეთმა ნატო-ს რესურსების ტრანზიტისთვის საპარო და სახმელეთო ზონის გამოყენების წება ჯერ კიდევ შარშან დართო. საყურადღებოა, რომ ეს აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებიდან ორ თვეში გადაწყდა, როცა ობამამ 2011 წლის ივლისდან ავლანეთიდან ჯარების თანდათანობით გამოყვანის შესახებ განაცხადა. რუსეთი, რა თქმაუნდა, ისურვებდა თალღიბანის დამარცხებას და ავლანეთში სტაბილურ სიტუაციას, რაშიც ნატოს მიზნებს იზიარებს, თუმცა ის, ამავე დროს, რეგიონში დასავლეთის გრძელვადიანი გავლენის წინააღმდეგია. ეს რუსეთის გაორებულ იდენტობაზე მიუთითებს, რადგან სტაბილური ავლანეთი წარმოუდგენელია დასავლეური უსაფრთხოების გარანტიების გარეშე.

მიმდინარე კვირას ლისაბონში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე რუსეთი იფიცია-

ლურად წარადგენს საკუთარ გეგმებს ავღანეთთან და ზოგადად ნატო-სთან დაკავშირებით. თუმცა ეს ლინისძიების მხოლოდ ერთი, პიანტური მხარეა. რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ამ სამიტზე წატო-ს ლიდერები აღიანსის რელევანტურობის და ახალი სტრატეგიული ხედვის ლოგიკურობის დამტკიცებას შეეცდებიან.

პოლიტიკური მიმომხილველები წატო-ს ოსკარ უაილდის დორიან გრეის ადარებენ. ეს ორგანიზაცია დროის გასვლასთან ერთად ამ გმირივით სულ უფრო ახალგაზრდად და მხნედ, ამავე დროს კი, უსნაროდ და თავისი დროისთვის შეუსაბამოდ გამოიყურება. იმავე ანალიტიკოსების შეფასებით, დადგინდება დღე, როცა ნატო ყველასთვის შეუმჩნევლად „გარდაცვლება“ და ეს სწორედ იმ მომენტში მოხდება, როდესაც მისი

### ნატო ეს სკანერითვი

საქართველო, თავის მოსახლეობასთან შეფარდებით, კოალიციურ ძალებში ყველაზე დიდი კონტინეტორია. ქრონიკული მხარე ლისაბონში განახლებული რეზიუმეთი ჩავა: ანტი-თალღიბანურ კოალიციაში 1000-კაციანი წვლილი აქვს და სამოქალაქო დამარცხის წარმომადგენლობა გაგზავნის პირობასაც დებს. თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ავლანეთში საქართველოს სამხედრო ძალების მოცულობის ზრდით ევეყანა ნაკლებად დაინტერ ქულებს აღიანსის წევრი სახელმწიფოების წინაშე. საქართველოს და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ნატოში განვირინების პერსპექტივები სტრატეგიული კონცეფციის გამოქვეყნების შემდეგ უფრო ნათელი გახდება.

რეაგირება და მოქმედება ყველაზე მეტად იქნება საჭირო.

ამ დღეებში ლისაბონში მიღებული სტრატეგიული კონცეფცია ცივი მოის შემდეგ ასეთი სახის მესამე დოკუმენტი იქნება. ბოლო ორი 1991 წელს – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და 1999 წელს ნატოს იუგოსლავიური კონფლიქტის შემდეგ გამოიცა.

სკანტიკოსების შეფასებით, ცნობილი კითხვა ნატოს რელევანტურობასთან დაკავშირებით გაცილებით მართებული იქნებოდა ასე დაესვათ: „რა აერთიანებს ნატოს წევრ სახელმწიფოებს 21-ე საუკუნეში?“

ცივი მოის დროს ნატოს განსაზღვრული მიწონალდება და მიზანი გაჩინდა. დღეს ის მეგობრულად განწყობილი ქვეწების ჯგუფად გადაიქცა, რომელიც სომალიში მეგობრობას და კოსოვოს მსგავს ადგილებში წერიგს ამყარებს. ავლანეთის შემთხვევაში კონსენსუსი არ არსებობს. ვერ თანხმდებიან რუსეთის რილზეც. წევრებს შორის ერთიან გლობალურ საფრთხეზე შეუთანხმებლობა ნატოს სკანტიკოსების მთავარი არგუმენტია. ამიტომაც ფიქრობენ, რომ შესაძლოა ლისაბონის სამიტი ნატოს დასარულის დასაწყისი იყოს.

თუმცა ექვი ეპარებათ იმაში, რომ ლისაბონის სამიტის დასკვნით წრესაკონფერენციაზე, ჟურნალისტის კითხვაზე – „რა დატვირთვა აქვს ნატოს ახალ ეპოქაში“ – აღიანსის ლიდერს ისეთივე ზუსტი პასუხი ექნება, როგორც ეს 1949 წელს ორგანიზაციის პირველ გენერალურ მდივანს, გენერალ ლორდ ისმაილ ჰერინდა: „ნატოს მიზანია, რუსეთი დატოვოს მიღმა, აშშ – საკუთარ ბანაკში, გერმანიაში კი გაანეიტრალოს.“

# ჩატომი იჩინი?



საქართველოსთვის ირანთან ურთიერთობის ახალი ფორმების გამოძებნა  
აუცილებელია.

დავით დარჩიაშვილი

ირანი და მთელი შუა აღმოსავლეთი ჩვენი ახლო სამეზობლოა, ჩვენს რეგიონს (კავკასიასა და შავიზღვისპირეთს) უშუალოდ ეკვრის და დიდი პოტენციალის მქონეა ბევრი მიმართულებით. ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები, გეოპოლიტიკა და ეკონომიკური პერსპექტივები – ეს ის გარემოებებია, რის გამოც ირანი საქართველოსთვის საინტერესო ქვეყანაა.

საქართველომ უნდა ეძებოს და გაააქტიუროს ახლო / შუა აღმოსავლეთთან არსებულ ისტორიულ, ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ კავშირებში ის ელემენტები, რაც წაადგება მის სუვერენიტეტს, ადგილს საერთაშორისო სისტემაში და ეკონომიკას. გარნებუნებთ, ამის რესურსი ნამდვილად არის. განსხვავებით რუსეთისაგან, ირანი და მთელი ახლო (იგივე შუა) აღმოსავლეთი არაა დაინტერესებული საქართველოს დასუსტება-დანანერვებით.

ისმის კითხვა, ხომ არ ახლას ამგვარ ნაბიჯებს რამე რისკი?

მე პირადად, სერიოზულად უარყოფით მხარეს ვერ ვხედავ, თუ არ ჩავთვლით რიგ სპეციულაციებს იმის თაობაზე - ხომ არ იქნება საქართველოს ნაბიჯები გაეროს მიერ ირანზე დანესებული სანქციების ხელის შემშლელი ფაქტორი.

ეს რომ ასე არაა, ამზე ოფიციალური პირებისაგან არა-ერთი კომენტარი გაკეთდა. საქართველო დარჩება მსოფლიო თანამეგობრობის პოზიციაზე ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. მაგრამ საქართველოსათვის არაფრის მომტანია, უფრო სწორად, საზიანოა, იყოს ირანთან უფრო დისტანცირებული, ვიდრე მისი ყველა მეზობელი (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი – რუსეთზე რომ აღარაფერი ვთქათ).

ქართულ-ირანული ურთიერთობების აღდგენის და გაძირებების სარგებელი ნათელია და ჰიპოთეტურ რისკებზე უფრო წონადი:



1) რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობებში მყოფი ირანი ხდება უფრო დაინტერესებული, რომ ამ ურთიერთობებში საქართველოს ინტერესებიც არ იქნას დავიწყებული;

2) ირანული ტურიზმი და სხვა ტიპის (გაეროს სანქციების გათვალისწინებით) კულტურულ-ეკონომიკური კავშირები წაადგება საქართველოს შემდგომ განვითარებას – საქართველოს ბიუჯეტს;

3) და საერთოდ, ჩვენ არც თანამედროვეობის და არც მომავალი თაობის წინაშე არ გვაქს უფლება, ვიქეოდეთ ირანთან ისე, თითქოს ძალზე შორის ვიყოთ ამ ქვეყნისაგან და/ან თითქოს მთავარი ჩვენი პრობლემა და საფრთხე ჩრდილოეთიდან არ მოდიოდეს. ჩვენ არ გვაქს უფლება, ჩრდილოებური „სიცივის“ ფონზე, სამხრეთიდან „აუტანელი სიცხის“ გარდა არაფრის ველოდოთ.

ვფიქრობ, რომ საქართველოს ყველა სტრატეგიული პარტნიორი თუ ჩვენთვის განსაკუთრებული მიშვნელობის მქონე საერთა-

შორისო და რეგიონული ორგანიზაცია გაგებით შეხვდება საქართველო-ირანის ურთიერთობებში ქართულ პოზიციასა და ინტერესს. თუ დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებს გაუჩნდებათ კითხვები, ამ კითხვებზე პასუხები მომზადდება და დაიხვეწება ჩვენი სუვერენიტეტის, ინტერესების, მეზობლებთან ურთიერთობების და დასავლეთთან ეკონომიკურ თუ უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების გათვალისწინებით.

პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა. საგარეო პოლიტიკა დამატებით, მრავალეტაპიან და დონიან გათვლებს გულისხმობს – განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისათვის, რომელსაც ერთი დიდი მეზობელი ემუქრება, პარტნიორები და მოკავშირები კი, ჯერჯერობით, ვერ სთავაზობენ ამ მუქა-რისაგან დაცვის 100%-იან გარანტიებსა თუ მექანიზმებს. ■

რუსეთი

## ოცაგ ბაშინის საკმარის

უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში რუსეთში ხელისუფლების ტრანზიტს მუდმივად საკრალური დანაშაულებები უსწრებს წინ. უფრო სწორად მსხვერპლშენირვები.

### სოფო ბუკია

ნოემბრის დასაწყისში 48-საათიანი ინტერვალით რუსეთში ორი უურნალისტი სასტიკად სცემეს: გაზეთ „კომერსანტის“ კორესპონდენტი ოლეგ კაშინი – მოსკოვში და პოდმოსკოვიეს ქალაქ უჟკოვსკოში – ანატოლი ადამჩუკი.

რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს პროკურატურისთვის პირადად რომ არ დაევალებინა განსაკუთრებული სისასტეკით ნაცემი კაშინის საქმის გაუნტროლება, ეს ამბავი არასოდეს გახდებოდა საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ ნომერ პირველი სიუჟეტი.

კაშინზე თავდასხმა და რეაქცია, რომელიც ამ შემთხვევას მოჰყვა, მიანიშნებს იმაზე, რომ რუსეთში ახალი რეალობა დადგა – წინასარჩევნო პერიოდი, რომელიც, ამ ქეყუანაში, ტრადიციულად, ძალიან სახიფათოა.

მანამდე, ასე თუ ისე, გარკვეული იყო, რის გამო ძეგლით მოეკლათ რუსი უურნალისტი. მაგალითად, სტატიისთვის ჩეჩენითი თემაზე, ან კრემლის ინტერესების საწინააღმდეგო პუბლიკაციისთვის.

რუსი ექსპერტები ამბობენ, რომ დღეს ეს ზღვარი წაიშალა. თავდასხმის ობიექტი შეიძლება, გახდეს რეპორტიორი, რომელიც ტყის გაჩეხვის წინააღმდეგ გამოდის ან ნაგავსაყრელის თემაზე წერს.

გაზეთ „კომერსანტის“ რეპორტიორს საკუთარ სახლთან დაესხნენ თავს. მას გატეხილი აქვს თავის ქალა, მოტეხილი

და მოგლეჯილი აქვს ხელის და ფეხის თითები. რამდენიმე დღე იგი მედიკა-მენტოზურ კომაში იმყოფებოდა. მისი მდგომარეობა კვლავ მძმეა.

ეჭვი არავის ეპარება, რომ თავდასხმა კაშინის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.


„განურჩევლად მდგომარეობისა, საზოგადოებრივ სისტემაში ადგილისა... და სხვა წარსული დამსახურებებისა, თუ ასეთები აქვს, კაშინზე თავდასხმის ორგანიზატორები უნდა დაისაჯონ!“ – განაცხადა დიმიტრი მედვედევმა.

რუსი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ეს ყველაზე მოულოდნელი განცხადებაა, რომელიც მედვედევმა თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში გააკეთა.

ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ ეთქვას, რის თქმაც მიღებულია მსგავს სიტუაციებში: არამზადებს დაგიჭრთ და დაგვითო, მედვედევმა, რატომდაც, საჭიროდ ჩათვალა, აქცენტი სწორედ დამნაშავების სტატუსზე გაეკეთებნა.

„ან რაღაც იცის ჩევნმა დიმიტრი ანატოლიევიჩა, ან რაღაცას ხვდება, ან სულაც დიდ პოლიტიკურ თამაშს იწყებს,“ – წერს მიმომხილველი ილია მილტეინი.

ცხადია, მედვედევი არ ასახელებს გვარებს. თუმცა, გარკვეული ინტრიგა სწორედ იმაშია, რომ კაშინის საქმესთან დაკავშირებით სავარაუდო შემკვეთთა რამდენიმე კონკრეტული გვარი პრესაში უკვე აქტიურად ფიგურირებს და ამ გვარებს პრემიერ-მინისტრის უახლო-



ესი გარემოცვისკენ მივყავართ: ქალაქ ხიმკის მერი – სტრელინჩენკო, კრემლის მთავარი იდეოლოგის – ვლადისლავ სურკოვის უახლოესი გარემოცვის წევრი, „პუტინიუგენდად“ წოდებული ახალგაზრდული მოძრაობების ხელმძღვანელი ვასილი იაკემენკო, პუტინის უახლოესი მეგობრის შვილი – ფსკოვის გუბერნაციონალი ანდრეი ტურჩაკი.

მედვედევის განცხადება ბევრად უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება – მიუხედავად პრეზიდენტის მიერ მრავალგზის დადებული პირობისა, რუსეთში უურნალისტებისა და უფლებათადამცველების არც ერთი გახმაურებული მკვლელობა დღემდე გახსნილი არ არის.

რუსი უურნალისტები ამბობენ, რომ კაშინის საქმე სიმპტომურია და უურნალისტებზე თავდასხმის არც ერთ გახმაურებულ შემთხვევას არ ჰგავს.

განსხვავებით ანა პოლიტკოვსკაიას „ნოვაი გაზეტასგან“, რომლის უურნალისტებზე ნადირობა რუსეთში ჩევეულებრივ ამბად ითვლება, კაშინის „კომერსანტი“ არასოდეს მიიჩნეოდა პოზიციურ გამოცემად.

თავად კაშინის უურნალისტური ბიოგრაფიაც კი ძალიან განსხვავდება ანა პოლიტკოვსკაიას, ნატალია ესტემიროვასა თუ გალინა სტარავონიტოვას პროფესიული საქმიანობისგან.

კაშინი თავის კარიერის პირველ წლებში კრემლის თავდამოდებული დამცველი,



■ კაშინზე თავდასხმა ნიშნავს, რომ ნებისმიერი განსხვავებული საზოგადოებრივი აზრის ჩახშობის მასშტაბური კამპანია დაიწყო და არავინ იცის, ვინ შეიძლება იყოს შემდეგი.

პუტინის მხარდამჭერი ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნაშის“ მეცნიერი და კრემლის მთავარი იდეოლოგის – ვლადისლავ სურეკოვის გაზით „რეაქციას“ მესვეტე იყო.

რამდენიმე წლის წინ იგი კრემლის უურნალისტების წრიდან ამოვარდა და „კომერსანგში“ საზოგადოებრივ თემაზე საკმაოდ კრიტიკული სტატიების წერა დაწყო.

კაშინი არც სამხედრო უურნალისტი იყო და არც რაიმე განსაკუთრებულ გამოძიებებს ანარმობდა. მასზე თავდასხმა ნიშნავს, რომ ნებისმიერი განსხვავებული საზოგადოებრივი აზრის ჩახშობის მასშტაბური კამპანია დაიწყო და არავინ იცის, ვინ შეიძლება იყოს შემდეგი.

„უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში რუსეთში ხელისუფლების ტრანზიტს მუდმივად საკრალური დანაშაულებები უსწრებს წინ. უფრო სწორად მსხვერპლ-შენირვები. 1999-ში, როცა მემკვიდრედ პუტინი აირჩიეს, მოსკოვში ორი სახლი აფეთქდა. დანაშაულებად ჩეჩენები დაიშნეს. პასუხად კი – ომი ჩეჩენეთში.

2006-ში როცა პუტინი უნდა წასულიყო, რაღაც ისევ დამუხრუჭდა... ანა პოლიტკოვსკაია და ალექსანდრ ლიტივინენკო მოკლეს. პასუხი – ლიბერალი მემკვიდრისთვის მედვედევისთვის ხელისუფლების გადაცემა გახდა. დღეს რუსეთის ნინაშე ისევ ხელისუფლების ტრანზიტის საკითხი დგას. დადგა ახალი მსხვერპლშენირვის დრო“, – მიიჩნევს

პოლიტიკური მიმომხილველი სტანისლავ ბელკოვსკი.

2012 წლის დეკემბერიდან მსხვერპლ-შენირვებითა და მოულოდნელიტებით რომ იქნება სავსე, ამის ნიშნები უკვე გამოიკვეთა. მაგალითად, რუსული პოლიტიკისთვის საქმაოდ უცნაური საფარო ბრძოლა, რომელიც მოსკოვის მერის იური ლუუკოვის თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა.

ან კიდევ ერთი ძალზე უცნაური შემთხვევა, რომელიც 6 ნოემბერს მოხდა: დიმიტრი მედვედევმა, თავის საპრეზიდენტო კარიერაში პირველად, ვეტო და-ადო ფედერალურ კანონს „შეკრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების“ შესახებ. ეს კანონპროექტი მინშენელოვნად ზღუდავდა მიტინგების მოწყობის შესაძლებლობას და ამკაცრებდა სანქციებს კანონდამრღვევთა წინააღმდეგ.

პრეზიდენტის გადაწყვეტილება მოინონეს არა მარტო ავტორიტეტულმა უფლებადამცველებმა, არამედ ისეთმა ინფორმირებულმა ადამიანებმა, რომლებსაც არ უნდათ მიტინგები, მაგრამ პროტესტს განიცდიან უხეში აკრძალვების წინააღმდეგ.

პრეზიდენტის ვეტო მოულოდნელობა აღმოჩნდა როგორც ლიბერალი უფლებადამცველებისა და უურნალისტებისთვის, რომლებმაც ერთხმად მოინონეს მისი ეს გადაწყვეტილება, ასევე მმართველი პარტიისთვისაც.

სავარაუდოდ, მედვედევს, რომელიც

პრემიერ პუტინისგან განსხვავებით, მართველ პარტიაზე პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტებს არ ფლობს, სწორედ ამგვარი ეფექტის მოხდენა სურდა. ის კანონმეოქმედებით საქმიანობაში ვერ ჩაერია, თუმცა შემდეგ თავისი ინსტიტუციური უფლებამოსილებები გამოიყენა, რითაც ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანაში კონსტიტუციის მთავარი გარანტი თავად არის.

დღეს, როცა რუსეთის წინაშე 2012 წლის პრობლემა ასე მნვავედ დგას, დამოუკიდებელი რუსი უურნალისტები ყოველდღიურად ბენზის ხიდზე დადიან. საინფორმაციო ველისა და სამოქალაქო სივრცის მორიგი წმენდები უკვე დაიწყო.


„საფრთხეშია ყველა, ვინც ცხოვრობს, სუნთქვას და მორაობს „კორტიკალის“ სანქციის გარეშე... მათ სტატუს კვოს შენარჩუნება და საზოგადოებაზე კიდევ უფრო მეტი კონტროლის დამყარება უნდათ. მათ შიშს ჰეგირით თუნდაც ჰიპოთეტური პერსაპექტივა იმისა, რომ რუსეთი თანამედროვე ქვეყანა გახდება და სოციალურ სიმწიფეს მიაღწევს,“ – ნერს „ნოვაია გაზეტა“ თავის სარედაქციო წერილში.

მედვედევს აქეს შანსი, დაამტკიცოს, რომ ბარიკადების „სწორ“ მხარესაა. ამისთვის მან კაშინის თავდასხმის ორგანიზატორები უნდა გამოავლინოს. ეჭვმიტანილთა წრე ძალიან ვინწოა. მედვედევმა, რომელსაც აიფონი აქვს, ეს კარგად იცის. **■**

# მთავარი თემა



ფოტო: REUTERS



მიზანი

# 306 ფილმს კურნალის გამოცემაში დაიწყო.

მედიამესაკუთრეების გამოვლენის პროცესი დაიწყო.

გავიგებთ თუ არა, ვინ ფლობს ნაციონალურ მედიასაშუალებებს?

## თამარ ბაბუაძე

3 წლებრივი საღამოს პარიზელებს „საფრანგეთის ნამუსად“ წოდებული გაზითის „ლე მონდის“ პირველ გვერდზე ასეთი წარწერა დახვდათ: „ჩვენს გაზითს ახალი მფლობელი ჰყავის“.

ეს სიახლე არავისთვის ყოფილა. ჯერ კიდევ ივნისში უურნალისტთა ასოციაციამ, რომელიც წლების გამავლობაში ფლობდა „ლე მონდის“ აქციათა საკონტროლო პაკეტს, გაზითი სამ მილიარდერ ბიზნესმენს მიჰყიდა და ამით შარლ დე გოლის ინიციატივით დაარსებული გამოცემა გაკოტრებისგან იხსნა.

გაზითის ახალი მფლობელები სოციალისტურ პარტიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ბიზნესმენები არიან. სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გავლენიანმა საერთაშორისო გამოცემამ, „ეკონომისტმა“ „ლე მონდის“ ახალ მფლობელობაში გადასვლა შეაფასა, როგორც სოციალისტების სამზადისი 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. პრიტანულმა გაზითმა „ინდეფენდენტმა“ კი სტატია „ლე მონდის“ გასხვისების შესახებ ასე დაასათაურა: „უურნალისტებმა იდეალები თვითგადარჩენისთვის გაყიდეს“.

თუმცა, საინტერესოა, შეატყო თუ არა „იდეალების გაყიდვა“ „ლე მონდის“ ერთგულმა მეთხოველმა გაზითის შინაარსს?

ფრანგი უურნალისტი და მედიაექსპერტი, ოლივიე მიშელი ამბობს, რომ „ლე მონდის“ პოლიტიკური გავლენების განვითარებათაო ფრანგული კანონი და საკუთარი ეთიკის კოდექსი იცავს. „ეს გაზითი საკუთარ მისიად მიიჩნევს, გამოავლინოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები, მის მიუხედავად, თუ ვინ არის დამნაშავე – მემარჯვენე, მემარჯვენე, შავეანიანი თუ თეთრკანიანი. ამიტომ ვერანაირი ახალი მფლობელი ვერ მოახდენს „ლე მონდის“ უურნალისტებზე გავლენას, რადგან უურნალისტები გაცილებით უფრო დიდ ძალაუფლებას ფლობენ, ესაა მათი სანდობა, ერთგული მკითხველი და გაზითის წარსული. „ლე მონდის“ უურნალისტთა სპეციალური კომისიაც ჰყავს, რომელიც ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობს, როგორიც გაზითის ბიზნესი და მისი მფლობელების განსაზღვრაა. როცა იცი, ვინ ფლობს ამა თუ იმ მედიასაშუალებას, იცი ისიც, თუ რა პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ორენტაციას ატარებს ეს გამოცემა. ფრანგებმა კი იციან, რომ „ლე მონდის“ მემარჯვენედ განწყობილი გამოცემა, „ლიბერასიონი“ – უფრო მემარჯვენე, „ფიგარო“ – კი უფრო მემარჯვენე. მკითხველი თვითონ ირჩევს, რომელი გაზითის მკითხველი იყოს. ჩვენ არჩევნის სამუალება გვაძეს“.

„ლე მონდის“ ახალმა მფლობელებმა სწორედ ამიტომ მიიჩნევს საჭიროდ, საკუთარი მკითხველებისთვის საზაგაშით ეთქვათ, რომ მმართველობის შეცვლის მიუხედავად, არაფერი შეცვლილა – გაზითის სარედაციო დამოუკიდებლობა ხელშესტებელი დარჩება. გაზითის 3 წლებრივი ნომერში მთელი ორი გვერდი სწორედ ამას მიეძღვნა.

ქართველებს, არც გაზითის კითხვისას და არც ტელევიზორის ყურებისას, მსგავსი ახსნა-განმარტებებით არასდროს ანებივრებენ. ჩვენთვის დღემდე ფუფუნებაა, ვიცოდეთ ისიც კი, თუ ვინ არის ადმინისტრი, რომელიც მარშალის კუნძულებიდან ფარულად განსაზღვრავს, რა უნდა ვნახოთ

ყოველ საღამოს „რუსთავი 2“-ის ტელეე-თერით.

თუმცა, „რუსთავი 2“ დღეს უკვე კრებითი სახელია, უპასუხო კითხვა მისი რეალური მფლობელის შესახებ კი მთელი სატელევიზიო მედიის პრობლემას გამოხატავს.

„ქუჩაში რომ გავაჩეროთ გამოლელი და ვკითხოთ, ვისია ესა თუ ის ტელევიზია, შეიძლება გვიპასუხოს ისეთი რამ, რაც ძალიან ახლოს იქნება სიმართლესთან, მაგრამ სამართლებრივად ამით რამე იცვლება?“ კანონში წერია, რომ მედიამფლობელის ვინაობა გამჭვირვალე უნდა იყოს, მაგრამ ეს არ სრულდება. შეიძლება, იყოს პრაქტიკის პრობლემაც, მაგრამ პრობლემაა ისიც, რომ სამართლებრივად ყველაფერი გამართული არაა“, – ამბობს იურისტი გიორგი ჩხეიძე.

ბოლო დრომდე ამ თემაზე სერიოზუ-

დან გაქცევის შემდეგ კი, ტელეკომპანია, ოქრუსაშვილის პროტესტის, ქიბარ ხალვაშს ჩამოართვეს. „რუსთავი 2“-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი ამის შემდეგ გახდა უცნობი პირი, რომლის ანონიმურობის გარანტიადაც ოფშორული ზონის კანონმდებლობა იქცა. სწორედ იმიტომ, რომ ამ გასაიდუმლოებულ პირს მარშალის კუნძულების კანონი იცავს, არავინ იცის, ის სინამდვილეში მრავლობითია თუ მხოლობითი, ქართველია თუ უცხოელი, როგორი ბიზნესმენია, თუ მაღალჩინოსანი პოლიტიკოსი. არც ის ვიცით, ქართულ მედიაბაზარზე რომელ მედიასაშუალებას ფლობს ის „რუსთავი 2“-ის გარდა; ანდა სულაც: ეს პირი ხომ არ დგას იმ არაბების უკან, რომელთაც 2009 წლის თებერვალში ჯოზეფ ქეისთან ერთად გაიღლეს ტელეერანზე და „იმედის“ 90-პროცენტიანი წილის მფლობელები გახდნენ. მითი „იმე-

ცირებიდან თითქმის 2 წლის შემდეგ, პარლამენტმა შემხვედრი ნაბიჯი გადადგა.

ინიციატივაზე მუშაობა პარლამენტის ორიდიულმა კომიტეტმა დაჩქარებულ რეუიმში დაიწყო. ზუსტად იმავე პერიოდში ლაშა ტულუშის ინიციატივით შექმნილმა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა, საზოგადოებას იმავე თემაზე მომზადებული ცვლილებათა საკუთარი პაკეტი წარუდინა, რომელსაც თვეების განმავლობაში ამჟამავლებული დამენებული ცვლილების დავით ბაქრაძე და უკრნალისტები ეცნობოდნენ.

ორივე კანონპროექტი პარლამენტში ერთსა და იმავე დღეს, 12 ნოემბერს შევიდა. ლაშა ტულუშის ჯგუფმა ცვლილებების ხელმოწერილი წინადადება კანცელარიაში სარეგისტრაციოდ ზუსტად იმ დროს მიიტანა, როცა იურიდიულ კომიტეტში უმრავლესობის მიერ მომზადებულ კანონპროექტს დავით ბაქრაძე და უკრნალისტები ეცნობოდნენ.

## ■ ინიციატივაზე მუშაობა პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა დაჩქარებულ რეუიმში დაიწყო. ზუსტად იმავე პერიოდში დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა, იმავე თემაზე მომზადებული ცვლილებათა საკუთარი პაკეტი წარადგინა.

ლი მსჯელობა უცხოური და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებსა და ვიწრო უურნალისტური წრის საზღვრებს არ გასცემია. მძაფრი საერთაშორისო კრიტიკის მოუხედავად, თვითონ პრეზიდენტიც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ პრეზის თავისუფლების პრობლემას აფასებდა, როგორც „სასულელეს“ და უნდოებდა „ბრალდებას“, რომელიც „გულუბრყვილო უცხოელებისთვის კეთდება“. ხელისუფლების მხრიდან პრობლემის სრული ინგრიძებისა და კონკრეტული ფაქტების არასებობის ფონზე კი „ხალხური“ ცოდნა იმის შესახებ, თუ ვინ დგას კონკრეტული მედიასაშუალებების უკან, მხოლოდ ლეგენდებსა და დაუსაბუთებელ ვარაუდებს ეყრდნობა.

ერთ-ერთი პილოტური მიხედვით, „რუსთავი 2“, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ ხალხის უსაზღვრო ნდობის მანდატით სარგებლობდა, 2004 წლიდან ირაკლი ოქრუშვილის ხელში გადავიდა. მისი სკანდალური ტელეგამოსვლის, დაპატიმრების და ბოლოს საქართველო-

დის“ შესახებ მაშინ კიდევ უფრო გააძლიერა არაბული საინვესტიციო ფონდის „რაკიას“ ოფიციალურმა განცხადებამაც, რომ არც თვითონ „რაკა“ და არც მისი შეკილობილი კომპანიები „იმედის“ აქციებს არ ფლობენ.

მედიაბაზარზე გამჭვირვალობის საკითხი სამთავრობო დონეზე საჯაროდ და პრინციპულად პირველად ოქტომბერში, პარლამენტში დაისვა. „საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია, ვინ არის მედიასაშუალებების მფლობელი, რა ინტერესებს ემსახურება ესა თუ ის ადამიანი და ჯგუფი და როგორ ხდება მედია საშუალებების დაფინანსება“, – აღნიშნავ პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ და საკუთარ გუნდს ორკორიანი ვადა დაუწესა. მისი თქმით, ორი კვირის თავზე შექმნილი საკანონმდებლო ინიციატივა მედიაგამჭვირვალობის პრობლემას აღმოიფრიდა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მედიის მთავარი პრობლემის იდენტიფი-

თუმცა, მსგავსება ამ ორ კანონპროექტს შერჩის მხოლოდ ზედაპირულია. ლაშა ტულუშის ჯგუფის წევრები საკუთარ დოკუმენტსა და მის სახელისუფლებო ვარიანტს ერთმანეთს ვერ ადარებენ, რადგან მას ამ ეტაპზე არ იცნობენ. თუმცა, ის, რომ მედიის გამჭვირვალობის თემა საპარლამენტო განხილვის საგნად იქცა, მნიშვნელოვან წინსვლად მიაჩინათ.

„ჩვენთვის არ არის თვითმიზანი, რომ ჩვენი ინიციატივა გავიდეს პარლამენტში. ჩვენთვის მთავარია, რომ გაუმჯობესდეს მედიის სამუშაო გარემო და მე ამ პროცესს ძალიან აპტიმისტურად ცუცურებ“, – განცხადა საინიციატივო ჯგუფის წევრმა, მედია ექსპერტმა ნინო დანელიამ.

ლაშა ტულუშის ინიციატივით შექმნილ ჯგუფში ვახტანგ ხმალაძე, ელისო ჩაიგიძე, გიორგი ჩხეიძე და ნინო დანელია შედიან. მათი ინიციატივა კომპლექსურია და ერთდროულად რვა კანონში ცვლილებებს თვალისწინებს, რომელთაც ორი ძრითადი მიზანი აქვთ: 1. გაამარტივოს საჯარო ინფორმაციის მოპოვება და 2. უზრუნვე-

ლუის მედიაორგანიზაციების მფლობელებისა და ფინანსების გამჭვირვალობა.

„დაუშვებელია საკუთრებისა და მაუწყებლობის ლიცენზიის კონცენტრაცია ერთი და იმავე პირთა ჯგუფის ხელში. აუცილებელია მაუწყებლობა საკუთრების გამჭვირვალობა, ანუ ყველა იმ ფიზიკური პირის ვინაობის ცოდნა, ვისაც ეკუთვნის ესა თუ ის მაუწყებლი და არა მხოლოდ იმ ოურიდიული ფირმების დასახელებები, რომელთა ზურგსაც ანონიმი ფიზიკური პირები ეფარებიან. აუცილებელია მაუწყებლობა ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობაც – უნდა ვიცოდეთ იმ თანხების წარმომავლობა, როთაც მაუწყებლი მუშაობს“, – აცხადებს ვახტანგ ხმალაძე და დასტენს, რომ კანონპროექტში გათვალისწინებული საკუთო მდებლობის მოაგვარებს.

ამისთვის, პირველ რიგში, კანონმდებლობაში დატოვებული „ხერელები“ უნდა

ამოივსოს. მაგალითად, კანონში წერია, რომ სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების მოსამსახურებს ტელემაუწყებლობის ლიცენზიის ფლობა ეკრძალებათ. თუმცა, ეს არ ეკრძალება იმ შპს-ს, რომელიც ამა თუ იმ ადმინისტრაციული ორგანოს მოსამსახურებ დააფუძნა. შესაბამისად, კანონი ვერაფრით დასჯის იმ სახელმწიფო მოხელეს, რომელიც რომელიმე ტელეკომპანიაში წილებს თავისი შპს-ს სახელით ფლობს. „ჩვენი ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, ეს დაუშვებელი იქნება“, – აცხადებს ხმალაძე.

მისი თქმით, ბევრად უფრო ლიბერალური უნდა იყოს ლიცენზიის არა მარტო გაცემის პროცედურა, არამედ მისი მოქმედების ვადის გაგრძელება და მოიდიფიცირებაც. ამიტომ ცვლილებები უნდა შევიდეს „მაუწყებლობის შესახებ კანონის“ იმ ნაწილში, რომელიც კომუნიკაციების

ეროვნულ კომისიის ეხება.

დღეს ამ კომისიის თავმჯდომარე „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორი, ირაკლი ჩიქვანია. თვიცალური ცნობით, ჩიქვანმა თავისი წილი „რუსთავი 2“-ში კომისიაში გადანაცვლებამდე რამდენიმე კვირით ადრე გაყიდა. კვლევების მიხედვით კი, კომისიის მიმართ საზოგადოების ნდობაზე უარყოფითად მოქმედებს სწორედ ის ფაქტი, რომ მისმა თავმჯდომარემ წამყვანი ტელეარხის აქციები დანიშნულებები ცოტა ხნით ადრე, დაუდგენელ ფასად გაყიდა. ხოლო სწორედ იმის გამო, რომ გაუმჭვირვალეა მაუწყებლების მფლობელების საკითხი, დაზუსტებით ვერავინ დაამტკიცებს, რომ ეს აქციები ძველი მფლობელის ხელში აღარაა.

დამოუკიდებელი საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებული ცვლილებები მსგავსი გაუგებრობის თავიდან აცილების მცდელობაცაა.

## პასუხისმგებელი პირი მომზადების გადამდებარების შესახებ კანონის შესახებ



ახალი კანონპროექტის მიხედვით, საქართველოში იუსტიციულ კომპანიებს სამაუწყებლო ლიცენზიის ფლობა უნდა აერთოს. თუმცა, ეს პროექტი მედიას აფშეს ბისგან ბოლომდე ვერ იცავს. სამაუწყებლო ლიცენზიას მოპოვების მიზანი ასევე ენს ის იურიდიული კომპანიების მიზანი არ აქციების 10 პროცენტით, რომ 10 პროცენტიანი წილის ირგი ფლობა იფშორულ კომპანიის მიზანი არ არის.

ჩიორა თავთაქმილი ფიქრობს, რომ 10 პროცენტიანი წილის ირგი ფლობა იფშორულ კომპანიის მიზანი არ არის. ნებებს გადაწყვეტილების მიღების შანსს არ აძლევს, მათ ინვესტიციების მედიაბაზარზე სრულად ამიტომაც არ შეზღუდულია. კიდევ ერთი რეგულაცია, რაც ახალ კანონს მიზანი რეგისტრირებული პირი

„შესაბამისობის დეკლარაციის“ შევსებას გულისხმობს. სამაუწყებლო ლიცენზიის მაძიებელმა სალიცენზიონო განაცხადს თან უნდა დაურთოს დამატებითი გარანტიები მისი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. ესაა ინფორმაცია მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე.

მაუწყებლთა ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება, კომისიას წარუდგინოს „შესაბამისობის დეკლარაცია“ მისი წილის მფლობელებისა და აქციონერების, ხელმძღვანელი ირგანოების წევრებისა და თანამდებობის პირების ცვლილების შემთხვევაშიც. ეს ცვლილებიდან 10 დღის ვადაში უნდა მოხდეს.

„საყოველოთაოდ არის აღიარებული, რომ ძალიან მნიშვნელოვანი, საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია, ვინ არის მედია საშუალებების მფლობელი, რა ინტერესებს ემსახურება ესა შემდეგაც უცნობი დარჩება. კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ პარლამენტი მედიას ახლანდელ მფლობელებს ექვსი თვეს ვადს მისცემს, რომ მათ საკუთარი მონაცემები კანონს დაუქვემდებარონ.

იმავე დოკუმენტში ცალკე თავი ეთმობა იმ პრობლემების აღმოფხვრას, რაც ურნალისტებს ყველაზე მარტივი საჯარო ინფორმაციის მოპოვების დროსაც კი ექმნებათ. ამ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, რეალურად საჯარო გახდება ინფორმაცია, რომელსაც საჯარო რეესტრი, თთქოს, ოფლად და უფასოდ გვთავაზობს, სინამდვილეში კი დასურული რჩება, თუკი, ზუსტად არ იცით იმ კომპანიის ზუსტი დასახელება, მისი ორიგიულ-სამართლებრივი ფორმა და საიდენტიფიკაციო კოდიც კი, რომლის შესახებაც მეტი ინფორმაციის გაგება გასურთ.

ეს, თთქოს, უმნიშვნელო დეტალები წარმოუდგენლად აჯანჯლებს და ართულებს ინფორმაციის მოპოვების პროცესს, – ფიქრობენ ინიციატივის ავტორები და საკანონმდებლო ცვლილებებით აპირებენ უურნალისტებისთვის და დანტერესებული მოქალაქეებისთვის რეალურად

რი მიღვომა. და ის, რაც ამ ინიციატივის სახით მომზადდა, არის სწორედ ამის მო-დელი“, – აცხადებს გიორგი ჩხეიძე.

უმთავრესი განსხვავება სახელისუფლებო და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიღვომებს შორის სწორედ „მოდელის შემუშავებისას“ იკვეთება. ორი მხარე პრობლემას აპსოლუტურად სხვადასხვა-გვარად ხდედას. თუ დამოუკიდებელი საინიციატივი ჯგუფისთვის იფშორული მფლობელების პრობლემა ცალკე, უკონტექსტოდ არ არსებობს და ის ზოგადად ინფორმაციის გაუმჯობერვალობის სქემაში განიხილება, ხელისუფლების მთავარი ამოცანა ზედაპირულია. სახელისუფლებო უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ მათ მიზანი საზოგადოებაში გაჩენილი ექვების გაფანტვაა კონკრეტული მედიას-შეუალებების მფლობელების შესახებ.

„ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივით წებისმიერ სკეპტიკოსაც კი გამოვაცლით

ამ დოკუმენტის მიხედვით, ოფშორულ კომპანიას აეკრძალება, პირდაპირ ფლობდეს სამაუნტებლო ლიცენზიას საქართველოში. გარდა ამისა, მას აეკრძალება ტელეკომპანიაში აქციებისა და წილების 10 პროცენტზე მეტის ირიბად ფლობაც. თუმცა, ამ ინიციატივის დამტკიცების შემთხვევაში, ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიები ქართული მედიაბაზრიდან სრულად მაინც არ გაქრებიან. მათ კვლავაც შეეძლებათ, შენარჩუნონ მედიაში წილები და აქციები, თუკი ეს ათი პროცენტის ფარგლებში იქნება.

ხელისუფლების წევრები თავიდან მედიამფლობელების ფინანსების გამჭვირვალობაზეც საუპრობდნენ. თუმცა, კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში ეს თემა აღარ მოხვდა.

მოწევდავად ამისა, უმრავლესობის წევრები საკუთარ საკანონმდებლო ცვლილებას ვარდების რევოლუციის შემდეგ

## ■ ხელისუფლების წევრები თავიდან მედიამფლობელების ფინანსების გამჭვირვალობაზეც საუბრობდნენ. თუმცა, კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში ეს თემა აღარ მოხვდა.

საჯარო გახადონ არანაკლებ მნიშვნელოვანი საინფორმაციო ბაზა, როგორიცაა მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებების არქივი.

„თუ ზუსტად არ იცით განკარგულების სახელწოდება და ნომერი, ასლს ვერ მიიღებთ. ნინათ იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე და ნორმატიული და ინდივიდუალური აქტების კომპაუტერულ პროგრამა „კოდექსში“ შეგვძლოთ, უპრობლემოდ წაგენითხათ პრეზიდენტის განკარგულებები, მაგალითად, ბრძანებები სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისა და პირდაპირი მიყდევის შესახებ. ეს ინფორმაცია დღეს ხელმიწვდომელია“, – აცხადებს გამოცანგ ხმალაქ.

„ერთი მუხლის ჩამატება, ერთი ნორმის დამტკიცება ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაარეგულირებდა ამ სფეროს. ასე მარტივად ამის გაკეთება შეუძლებელია და ამაში ვერავინ მომატყუებს, რაც უნდა კარგი მედიაექსპერტი ანდა იურისტი იყოს. საკითხს სჭირდებოდა კომპლექსუ-

საფუძველს, რომ ილაპარაკოს რაღაც გაუმჯობერვალობაზე მედიის მესაჟურნებითან მიმართებაში. ჩვენ მზად ვართ, რომ კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებებით საბოლოოდ ეს კითხვის ნიშნები მოვაწნათ“, – აცხადებს პარლამენტარი პალე კულტობრივობით.

მისი განცხადებით, სახელისუფლებო ფრთის მიერ მომზადებული ცვლილება მედიის მფლობელობის შესახებ, ევროპულ და აშშ-ს კანონმდებლობას ეყრდნობა. თუმცა, ევროპული კანონმდებლობა არეგულირებს იმ კაპიტალდაბანდებებს, რომელთაც ადგილობრივი მედიაბაზარზე უცხოური კომპანიები ფლობენ. ქართული კანონპროექტი კი ასეთ შეზღუდვას უცხოური კომპანიებისთვის არ ითვალისწინებს.

ხელისუფლების მიერ მომზადებულ ვარიანტში შეზღუდვა მხოლოდ ოფშორულ კომპანიებს შეეხებათ, რომელსაც ევროპული კანონმდებლობა საერთოდ არ არეგულირებს.

მედიის დემოკრატიზაციისთვის გადადგმულ მორიგ ნაბიჯს უწოდებენ.

თუ სულ რაღაც ერთი კვირის წინ, მედიაში გამჭვირვალობის საკითხი ყველაზე მარგინალური და მითოლოგიზირებული თემა იყო, დღეს პარლამენტში ერთდროულად ორი კანონპროექტი დებს, რომელთა მთავარი ამოცანადაც ავტორები სწორედ მედიაბაზარზე ჩამონილილი ბურუსის გაფანტვას ასახელებენ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები არ გამორიცხავენ, რომ კანონპროექტის განხილვისას დამოუკიდებელი საინიციატივი ჯგუფის მიერ მომზადებული ცვლილებების ნაბილი გაითვალისწინონ კიდეც. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მედიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად მათ, აპრილი, საკმარისად მიაჩნიათ მხოლოდ ოფშორული კომპანიების რეგულირება, საეჭვოა, სურათი მედიაბაზარზე რადიკალურად შეიცვალოს.

**სტატიაზე მუშაობდა ნინო რობაქიძე.**

საარსებო მინიჭო

# ხობობ შევამსიხათ სილაპიბი

სოციალური ტრანსფორმაცია თუ ქართველი სტატისტიკოსების  
იღუზიონისტური ხრიკი?

მანანა ვარდიაშვილი

გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს „სოციალური ტრანსფორმაციის ლაბორატორია“ უწოდა.

მან სტატისტიკური მონაცემი დაიმონამა, რომლის თანახმადაც, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში სილარიბის მაჩვენებელი 42-დან 18 პროცენტამდე შემცირდა.

რამდენიმე თვით ადრე, საქართველოს „სასწაულებრივ ტრანსფორმაციაზე“ სააკაშვილი CNN-ის პირდაპირ ეთერშიც საუბრობდა. მაშინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემდეგ ქვეყანაში სილარიბის მაჩვენებელი 52-დან 22 პროცენტამდე შემცირდა.

ამ „სასწაულებრივი ტრანსფორმაციის“ ნოუ-პაუ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ეკუთვნის: იმაზე, რომ საარსებო მინიმუმი – სოციალური ორიენტირი, რომელიც სილარიბის ზღვარს განსაზღვრავს, მაქსიმალურად დაბალ ნიშნულზე შეჩერდეს, საქართველოში სტატისტიკოსები მუშაობენ.

კანონით, საარსებო მინიმუმის დანიშნულება მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილებათა ასახვაა. „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ კანონი განმარტავს, რომ: „საარსებო მინიმუმი არის ერთ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.“



**■ მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილების**

ხელისუფლებისთვის სასურველი ნიშნულის დასაფიქსირებლად, სტატისტიკის სამსახურმა საარსებო მინიმუმი 154,1 ლარიდან, სურსათზე ფასების თითქმის 80-პროცენტიანი ზრდის ფონზე, 140 ლარზე დაიყვანა.

# კვონტრიკა

იმისთვის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილების ვექტორი ხელისუფლებისთვის სასურველი მიმართულებით მიემართა, სტატისტიკური ეროვნულმა სამსახურმა საარსებო მინიმუმი 2005 წლის აპრილის 154,1 ლარიდან 5 წლის თავზე, სურსათზე ფასების თითქმის 80-პროცენტული ზრდის ფონზე, 140 ლარზე დაიყვანა.

თბილსელი მარინა სიბაშვილი ამბობს, რომ სტატისტიკური ეროვნული სამსახურის მიერ გამოთვლილი საარსებო მინიმუმის ოდენობით მისი ოჯახი თვიდან თვემდე თავს ვერ გაიტანს. მარინას მეუღლე და ორი შვილი ჰყავს. სიბაშვილების ოჯახს მარტო სურსათის შესაძნად თვეში, მინიმუმ, 450 ლარი სჭირდება. „ჩვენი კვების რაციონი ერთფეროვანია: კარტიფილი, ლობიო, მაკარონი, ბრინჯი, ვერმიშელი, ჩაი. 450 ლარით ხორცის და თევზის ყიდვას ვერ ვახერხებთ. იშვიათად ვაძლევთ თავს უფლებას, რომ ქათმის გაყინული ბარკლები შევიძინოთ. თქვენ თვითონ დათვალეთ, 4-სულიანმა ოჯახმა დღეში მარტო 2 პური უნდა იყიდოს“, – ამბობს მარინა. „ჩვენი შემოსავალი 600 ლარია. ამ თანხიდან კომუნალური გადასახადები და ბავშვების სასკოლო ხარჯები უნდა დავფაროთ. არ ვიცი, სტატისტიკური სამსახური „სოციალური მოთხოვნილების დაკამაყოფილებაში“ რას გულისხმობს. ჩვენთვის დასვენება და გართობა ნარმოუდგენელი ფუფუნებაა. 13 და 14 წლის შვილები მყავს, რომლებიც კინოში ჯერ არ ყოფილან.“

საარსებო მინიმუმის ოდენობა გაცილებით დიდია განვითარებულ ქვეყნებში. აშშ-ში ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი თვეში 900 დოლარს აღმატება. (თანაც, თუ აშშ-ს საარსებო მინიმუმი საქართველოში არსებულ საარსებო მინიმუმზე 11,5-ჯერ მეტია, იქაური ფასების დონე ჩვენს ფასების დონეზე მხოლოდ ორჯერ მაღალია). განვითარებული ქვეყნების მოქალაქებისთვის საარსებო მინიმუმი და ცხოვრების „მინიმალურად მისაღები დონე“ ჯანდაცვის მომსახურების, დასვენების და გართობის საშუალება-

საც გულისხმობს.

საარსებო მინიმუმის გამოთვლის მეთოდს „ევროპული დონის“ ცვლილებები ჯერ არ შეხებია – საქართველოში საარსებო მინიმუმს დარიბი ქვეყნებისთვის დადგენილი მეთოდით ითვლიან. „ჩვენ საარსებო მინიმუმს მსოფლიო ბანკის მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის დადგენილი სტანდარტული მეთოდით – 2300 კილოგრამიაზე გათვლილი სასურსათო კალათის მიხედვით ვანგარიშობთ. განვითარებულ ქვეყნებში საარსებო მინიმუმს კილოგრამორიგების მიხედვით არ ითვლიან. იქ სხვა კრიტერიუმებია, რომლებსაც ამ ქვეყნების სოციალურეკონომიკური განვითარების დონე და შეხედულებები განსაზღვრავს. მაგალითად, დანიის საარსებო მინიმუმის კალათაში არის ასეთი პუნქტი: აქვს თუ არა ოჯახს საშუალება, შევებულების დროს უცხოეთში დაისვენოს“, – განმარტავს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე თენგიზ ცეკვავა და დასძენს: „ჩვენს შემთხვევაში საარსებო მინიმუმი გათვლილა იმაზე, რომ ადამიანმა მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილების დაკამაყოფილება შეძლოს“. საარსებო მინიმუმი მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველ-

ზე დგინდება. სასურსათო კალათა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის საჭირო ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიების მინიმალურ იდენტურას უნდა შეიცავდეს. 2003 წლამდე სასურსათო კალათის დღიური ნორმა 2500 კილოგრალორიაზე ითვლებოდა, 2003 წლის შემდეგ კი 2300 კილოგრალორიაზე ანგარიშდება.

საარსებო მინიმუმის ოდენობაზე მანიპულირების მთავარი საშუალება სწორედ სასურსათო კალათია. კალათში სულ 40 პროცენტია, საგანგებოდ შერჩეული და მისხალ-მისხალ ანონილი ყოველდღიური მინიმალური მოხმარების ნორმის დასადგენად. მათ შორის: 250 გ ხორბლის პური, 70 გ ხორბლის ფერები, 40 გ სიმინდის ფერები, 20 გ ბრინჯი, 10 გ ბურღული, 40 გ ძროხის და ხბოს ხორცი, 40 გ გაყინული და ნედლი თევზი, 20 გ შინაური ფრინველის ხორცი, 10 გ ლორის ხორცი, 25 გ მანონი, 15 გ ხაჭო, 0,5 ცალი კვერცხი, 10 გ ბადრიჯანი, 50 გ პომიდორი, 150 გ კარტოფილი, 50 გ შაქარი. სტატისტიკური ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმის ოდენობის დასაანგარიშებლად ყო-

შეიმისანაჲის მოქალაქეს საასაბო მინიმუმი პოსტსაბჭოთა კვეუბში:

უკარიანა	888 უკარიანული გრიგნა (100 აშშ დოლარი)
ყაზახეთი	14 587 ტენგე (98 აშშ დოლარი)
აზერბაიჯანი	96 აზერბაიჯანული მანათი (120 აშშ დოლარი)
ბელორუსი	293 880 მანეთი (98 აშშ დოლარი)

2010 წლის საასაბო მინიმუმი საქათვეოში:

შრომისუნარიანი მამაკაცი	140,9 ლარი (79,15 აშშ დოლარი)
საშუალო მომხმარებელი	124,8 ლარი (70,1 აშშ დოლარი)
ორსულიანი ოჯახი	199,6 (112,1 აშშ დოლარი)
სამსულიანი ოჯახი	224,6 (126 აშშ დოლარი)
ოთხსულიანი ოჯახი	249,5 ლარი (140 აშშ დოლარი)

(წყარო: სტატისტიკური ეროვნული სამსახური)

ველთვიურად ამ კალათაში შემავალი  
პროდუქტების რაოდენობას ქვეყანაში  
არსებული საშუალო ფასების მიხედ-  
ვით აფასებს.

„არ ვიცი, არის თუ არა 140 ლარი ამ პროდუქტების შესაძენად საკმარისი. ეს ნორმები 2003 წელს სტატისტიკის დეპარტამენტიმ ერთად შევიმუშავეთ. ჩვენი სასურსათო კალათა კვების რაციონის მიხედვით ცუდად არ არის შედგენილი. ეფორპის ბევრ განვითარებულ ქვეყანაში შრომისუნარიანი მამაკაცის დღიურ ნორმად 1900 კვალორიაა დადგენილი. თანამედროვე ეპოქაში ადამიანის ფიზიკური დატვირთვა სულ უფრო კლებულობს. შესაბამისად, კლებულობს საკვები პროდუქტების კალორიების რეკომენდირებული ოდენობაც. რა თქმა უნდა, უფრო მრავალფეროვანი სასურსათო კალათის შედგენაც შეიძლებოდა. შეიძლებოდა მასში უფრო ბევრი ხილი ყოფილიყო. მაგრამ, არ უნდა დაგვა-ვინყდეს, რომ ეს სასურსათო კალათა ღარიბი ქვეყნისთვისაა შედგენილი.“  
— ამბობს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ნუტრიციოლოგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გულიკოვ დვალი.

ელენა შეღესტოვას, რომელიც კვების სპეციალისტია, ასეთი მიდგომა უკვირს. ის ამბობს, რომ ადამიანის ფიზიოლოგიური ნორმები ღარიბ ქვეყანაშიც ზუსტად ისეთივეა, როგორიც მდიდარში: „ის ფაქტი, რომ კილოკალორიების დღიურ ნორმად 2300 კვალორიაა დადგენილი, ცუდი არ არის. ამ სასურსათო კალათის შემადგენლობა კი საკამათოა. 2300 კვალორიაზე ცილების დღიური ნორმა 84,8 გრამი უნდა იყოს. ცილა ადამიანის ორგანიზმის მთავარი საშენი მასალაა და მოზარდსაც სჭირდება და მოზრდილსაც. ამ კალათში ცხოველური ცილა ნაკლებადაა ნარმოდეგენილი. სამაგიეროდ, ძალიან ბევრია შაქარი. შაქრის დღიურ ნორმად 50 გრ-ია განსაზღვრული და მის წილად მოდის 199,6 კვალორია. სჯობდა, შაქრის მაგივრად ხილი ყოფილიყო. მარგარინი



## თამაში გიფტჩერი

2005 წლის აპრილში საარსებო  
მინისტრმა შრომისუნარია-  
ნი მამაკაცისთვის 154,1 ლარი  
შეადგინა, საშუალო მომხმა-  
რებლისთვის – 135,2 ლარი. ამ  
ინფორმაციის წყარო სტატიის-  
ტიკის დეპარტამენტის მიერ  
გამოქვეყნებული დოკუმენტია  
– „საქართველოს სოციალურ-  
ეკონომიკური მდგრძარეობა.  
2005 წ. იანვარ-აპრილი.“.

თუმცა მოგვიანებით შრომისუნარიანი მამაკაცისთვის საარსებო მინიმუმის 140 ლარით განსაზღვრის შემდეგ, შემცირება ზედმეტად თვალშისაცემი რომ არ ყოფილიყო, კორექტოვები სტატისტიკურ მონაცემთა პაზაშიც შეიტანეს: ახლა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თვითმიმდევრულ კონკრეტულ და ახალ პუბლიკაციებში 2005 წლის აპრილის მონაცემებში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმად 95,3 ლარია მითითებული.

კი საერთოდ არ უნდა იყოს, ის ძალიან  
მავნეა“. შელესტოვა ამბობს, რომ  
სტატისტიკის ეროვნული სამსახურის  
მიერ შედგენილი სასურსათო კალა-  
თა ჩვენი მოსახლეობის ყოველდღიურ  
მენიუს ჰგავს: „აქ დიდი რაოდენობით  
არის ყველაფერი ის, რაც იაფია და  
სასარგებლო არ არის“.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების სასურსათო კალათში ნაკლებადაა წარმოდგენილი კარტოფილი და ფეხვილის შემცველი პროდუქტები და უფრო მეტი წილი თევზზე, ხორცზე, ხილსა და ბოსტნეულზე მოდის. ქართული სასურსათო კალათის დღიური ნორმა კი 250 გ ხორბლის პურით, 70 გ ხორბლის ფეხვილით, 40 გ სიმინდის ფეხვილით, 15 გ მაკარონით, 150 გ კარტოფილითაა დამტკიცებული, „სამაგიეროდ“ მასში საკონძიგრო ნანარმი მხოლოდ 5 გრამითაა წარმოდგენილი. ამაში გასაკვირი არაფერია. ქართული სასურსათო კალათა კვების პროდუქტების იმ აუცილებელ ჩამონათვალს რომ დაუახლოვდეს, რასაც განვითარებული ქვეყნები იყენებენ, საარსებო მინიმუმი მნიშვნელოვნად გაიზრდება და შეიცვლება.

განვითარებული საპაზრო ეკონომიკის ქეყნებში საარსებო მინიმუმი და სილარიბის ზღვარი იდენტური ცნებებია. ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე ამბობს, რომ ქართველი სტატისტიკოსების „ილუზიონისტური მეთოდის“ შედეგად საქართველოში საარსებო მინიმუმი სილარიბსა რეალურ ზღვარს მაქსიმალურად დაშორდა: „თუ ადამიანს 140 ლარზე მეტი შემოსავალი აქვს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან სილარიბე დაძლია. სილარიბის დასაძლევად მიმდინარე შემოსავალი საარსებო მინიმუმს რამდენჯერმე უნდა აღმატებოდეს“.

კანონით, საარსებო მინიმუმი უნდა განსაზღვრავდეს მინიმალური ხელფასის, პენსიის, სტიკენდიისა და შემწეობის ოდენობას. საარსებო მინიმუმის შემცირებით, ხელისუფლებამ ის თამასა დასწია, რომელიც სახელმწიფოს-გან დახმარების მოლოდინში მყოფი, ყველაზე გაჭირვებული მოსახლეობის რაოდენობას განსაზღვრავს. **■**

განათლება

## ყველა - "ოროსანი" მოსწავლების ნინაღმელი

როგორ მივიღნენ „ოროსანი“ ბავშვები რევოლუციის ზღვარზე?

სამინისტროს მიერ ტელევიზიით გავრცელებული არათანმიმდევრული ცნობები; მასწავლებლების უუნარობა, დაერწმუნებინათ მოსწავლეები საკუთარ შესაძლებლობებში და საატესტატო გამოცდების აუცილებლობაში; დირექტორები, რომლებიც ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი დუმილს ინარჩუნებენ; მშობლები, რომლებიც შვილების „გადასარჩენად“ ყალბ განცხადებებს აწერენ ხელს; ოპოზიცია, რომელიც მოსწავლეების აქციას პოლიტიკური ქულებისთვის უერთდება; განათლების მინისტრი, რომელიც იმუქრება და პრეზიდენტი, რომელიც მოზარდებს „ოროსნებს“ უწოდებს და სხვა მოსწავლეებს უპირისპირებს. ყველა რგოლი, რომელსაც მოსწავლეების ინტერესები უნდა დაეცვა, სუსტი და „ოროსანი“ თავად აღმოჩნდა.

### რესუდან ფანზიშვილი

2010 წლის 15 იანვარს საჯარო სკოლების მე-11 კლასელებმა შეიტყვეს, რომ განათლების მინისტრის დიმიტრი შაშვინის გადაწყვეტილებით, 2011 წლის ზაფხულიდან ატესტატის მისაღებად და უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად ოთხის ნაცვლად „სავარაუდო ათამდე გამოცდა“ უნდა ჩაებარებინათ.

„გამოცდების ამბავს სულ ვკითხულობდით სკოლაში, მაგრამ მასწავლებლები ამბობდნენ, ჯერ ჩვენც არ ვიცით საბოლოოდ რამდენი გამოცდა იქნება და როგორ ჩატარდებაო, ჯერ

სამინისტროშიც არ იციანო. ჯერ გვითხრეს, მინისტრმა თქვა ოთხის ნაცვლად ათოო, მერე თქვეს, თორმეტი თქვაო, მერე რვაო, ბოლოს ამბობდნენ, ისევ ოთხს ტოვებსო, და მერე ისევ რვასო...“ – ჰყვება 161-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელი შალვა დემეტრაშვილი.

უკვე 2010 წლის სექტემბერში, როდესაც მე-12, გამოსაშვები კლასის მოსწავლეებმა ახალი სასწავლო წელი დაიწყეს, ცხრილში ახალი გაკვეთილი – „აბიტური“ დახვდათ.





9 ნოემბერს პარლამენტის წინ შეკრებილი რამდენიმე ასეული მოსწავლე საატესტაციო გამოცდების რაოდენობის შემცირებას ითხოვდა.

ფოტო: გია აბაშიძე



9 ნოემბერს პარლამენტის წინ შეკრებილი რამდენიმე ასეული მოსწავლე საატესტაცო გამოცდების რაოდენობის შემცირებას ითხოვდა.

სექტემბრის დასაწყისშივე სოციალურ ქსელ „ფეისბუკზე“ გაჩნდა ჯგუფი – „ძირს საატესტაცო გამოცდები“. ამ ჯგუფში დღეს 5 ათასზე მეტი ადამიანია განევრიანებული. მათი უმრავლესობა მოზარდია. აქ ერთმანეთს აზრებს უზიარებენ და ამ საკითხთან დაკავშირებულ ახალ ამბებსაც აქ წერენ.

„ხუთი წელი სკოლაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმ საგნებს ვაქცევდი, რომელიც ჩემთვის საინტერესოდ მიმართდა და რაშიც შემდეგ ოთხი გამოცდა უნდა ჩამებარებანა. მერე კი მოულოდნელად გვითხრეს, რომ ყველა

საგანში ვაბარებთ გამოცდას. ორი-სამი წლით ადრე რომ ეთქვათ, პრობლემა არ იქნებოდა,“ – წერს „ფეისბუკზე“ ერთ-ერთი მოსწავლე.

20 ოქტომბერს ჯგუფის ადმინისტრატორი წერს: „მე-12 კლასელები, თქვენთვის ორი ამბავია – ერთი კარგი, ერთი ცუდი. ცუდი — ნუ გონიათ, გამოცდებს მოგიხსნიან საჩუქრად. კარგი – არ ჩაბარებთ ახალ პილოტიორებულ გამოცდას, რომელიც ვერ მოასწრეს. თქვენ ჩაბარებთ 8 გამოცდას, ოლონდ ერთიანი ეროვნული გამოცდების საკითხებით“.

ნოემბრის დასაწყისში „ფეისბუკზე“

უკვე ახალი ჯგუფი ჩნდება, სახელწოდებით – „ძირს 8 გამოცდა!“

6 ნოემბერს ჯგუფის ადმინისტრატორი წერს: „სასურველია, მოამზადოთ პლაკატები, დიდ ფორმატზე დაწერილი ჩვენი მოთხოვნა, რომ გაუქმდეს საატესტაცო გამოცდები!!! და ამ ყველა-ფერთან ერთად დავიცვათ ცენზურა და თავი შევიკავოთ ვინმესადმი აგრესიის-გან. ჩვენ მოსწავლეები ვართ, ბავშვები ვართ და გვსურს, მშვიდობიანად დავიცვათ ჩვენი უფლებები!!!“

საპროტესტო აქცია, რომელშიც რამდენიმე ასეული მოსწავლე მონაწილეობდა, პარლამენტის შენობის წინ, 9



„ოროსნების რევოლუციის“ პარალელურად, 12 წლების დიმიტრი შაშვილი მანდატურების მუშაობა შეაჯამა და მათ სკოლაში დისციპლინის გაუმჯობესებისთვის მაღლობა გადაუხადა.

ფოტო მარიამ გაგაურაძე

წოებერს, სამშაბათს, დღის 12 საათზე გაიმართა. მოსწავლეები საატესტაცო გამოცდების გაუქმებას ითხოვდნენ.

აქციას 161-ე სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე შალვა დემეტრაშვილიც ესწრებოდა. იმ დღეს, აქციაზე მისული სხვა თანატოლების მსგავსად, შალვამ გაკვეთილები გააცდინა. იგი ამბობს, რომ პარლამენტის შენობასთან პირდაპირ სახლიდან მივიდა და მშობლებმა ამის შესახებ იცოდნენ.

მოსწავლეების მიერ ჩატარებული აქცია 9 წლების საინფორმაციო გამოშებების მთავარ თემად იქცა.

„რუსთავი 2“-ის ვრცელ სიუჟეტში

უურნალისტი ჰყვებოდა, რომ მოსწავლეები გამოცდების რაოდენობის შემცირებას კი არა, საერთოდ მოხსნას ითხოვდნენ.

„პროტესტი სწავლის წინააღმდეგ“, „მოსწავლეები, რომლებსაც სწავლა არ უნდათ“, „ეს იმ ფონზე, როცა წელს აბიტურიენტების ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა“, „გამოცდების გაუქმებას მოითხოვენ“, „ტექნიკური საგნების სწავლისთვის მათ დრო არ დაუკარგავთ“ – ეს ფრაზები „რუსთავი 2“-ის სიუჟეტიდანაა.

რეპორტაჟის ბოლოს უურნალისტმა აქციაზე მისულ მოზარდებს გამოცდა

თავად მოუწყო და სასკოლო პროგრამიდან კითხვები დაუსვა. სიუჟეტში მოზარდებმა ვერც ერთ კითხვას ვერ უპასუხეს.

რეპორტაჟი პრეზიდენტისა და განათლების მინისტრის კომენტარებით სრულდებოდა. „ოროსნების რევოლუცია... ეტყობა რამე შეშეინს, რომ სუსტი ნერვები აქვს?“ – ირონიით საუბრობდა პრეზიდენტი მოსწავლეთა პროტესტზე.

„არ გინდათ გამოცდის ჩაბარება, ნუ გინდათ გამოცდის ჩაბარება, ნადით და დაიჭირეთ ხელში ნიჩაბი, წერაქვი და ნამდვილად არ არის დასაძრახი, თუ

# საზოგადოება



მიხეილ საჩავალი, სოფელ შამბორის სამოსის მოსწავლეებთან შეხვები

„ზოგიერთი ქუჩაშია, შატალოზე და ცდილობს, ოროსნების რევოლუციები, ბუნტები თუ აჯანყებები მოაწყოს. ზოგიერთი კი სწავლობს და ცდილობს, რომ ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიოს და ქვეყანა ასახელოს...“

„ზოგიერთი არის გატუტუცებული. ქუჩაში გამოსულ ოროს-

ნებს, აშკარად ეტყობოდათ, რომ, ძირითადად, შეძლებული ოჯახებიდან არიან და ცხოვრობენ თბილისის ცენტრში. აქ კი, შამბონაში, დანგრეულ გზაზე, ოკუპაციის ხაზთან, ბავშვები მაინც სწავლობენ. სირცხვილი მათ, ვინც ამ დონეზე მიიყვანა ბავშვები იმ მდიდარ ოჯახებში და ყოჩაღ თქვენ, ბავშვებო!“

შენი შრომით არჩენ ხალხს. თუ არ გინდა არაფრის გაკეთება, ეს შენი არჩევანია. პოლიტიკური პარტიები მეთორმეტე კლასელების მიტინგებს აწყობენ, არ გვინდა გამოცდებით, მაგრამ ვაი, იმ მშობლებს და ვაი, იმ პოლიტიკურ პარტიებს, ვინც თავის შვილებს აქეზებენ“, – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

მოზარდების პროტესტი „ლეიბორისტმა“ სოსო შატბერაშვილმა ნაციონალურ არხებზე გამოსაჩერნად გამოიყენა. „რუსთავი 2“-ის ეთერში მეგაფონით ხელში აქციის მონაწილე მოზარდებს მხარდაჭერას უცხადებდა და თან პოლიტიკურ განცხადებებს აკე-

თებდა. შატბერაშვილმა ტელეკამერის ნინ განაცხადა, რომ აქციაზე მოსწავლეებმა მიიჩვიეს.

თუმცა, „რუსთავი 2“-ის კადრს მიღმა დარჩა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომლებიც სხვა მედია საშუალებებმა დააფიქსირეს. მაგალითად, რადიო „თავისუფლება“ თავის რეპორტაჟში წერს: „ე.წ. „ოროსნების რევოლუციაში“ ჩაბმას, 9 ნოემბერს ლეიბორისტული პარტიაც ცდილობდა, თუმცა, პარლამენტის ნინ მათ გამოჩენას მოსწავლეების დიდი წინააღმდეგობა მოჰყება: „არ გვინდა არც ლეიბორისტი და არავინ არ გვინდა! წავიდნენ აქედან

ოპოზიციონერები!“

„უნდა ვინმეს, რომ ამ საქმეში პოლიტიკა ერიოს? გინდათ, რომ სააკაშვილმა თქვას, ამ ბავშვებით ოპოზიციური პარტიები მანიპულირებენ? მაშინ ვთქვათ უარი ამ პოლიტიკოსების განცხადებებზე...“

„ლიბერალთან“ საუბარში აქციის მონაწილე ერთ-ერთმა მოზარდმა თქვა: „როცა სალამოს „რუსთავი 2“-ზე სიუჟეტს ვუყურე, მეგონა სხვა რამეზე იყო და არა ჩვენს აქციაზე“. თუმცა, ამბავი ამით არ დასრულებულა. მართლა რომ „სუსტი ნერვები“ არ აქვს, დიმიტრი შაშკინმა პრეზიდენტს

აქციის დასრულებიდან რამდენიმე საათში დაუდასტურა.

9 ნოემბერს, საღამოს რვის ნახევარზე, განათლების სამინისტროში თბილისის რვა საჯარო სკოლის დირექტორი და იმპერატორი დაიბარეს. მათ ტელეფონები და ჩანთები ჩამოართვეს და გენერალური ინსპექციის უფროსთან, ირაკლი ანდრიაშვილთან შეიყვანეს.

ისინი იმ სკოლების დირექტორები იყვნენ, რომლის მოსწავლეებიც აქციაში მონაწილეობდნენ.

„გენერალურ ინსპექციაში მისულ ყველა დირექტორს განცხადების უკვე დაწერილი, ერთი და იგივე ტექსტი დაგვევდა. ამ ტექსტის მიხედვით, თანამდებობიდან გათავისუფლებას ვთხოვდით, ოღონდ არცერთ განცხადებაში, თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი არ ენერა. ჩვენ ამ განცხადებებზე მხოლოდ ხელი უნდა მოგვეწერა,“ – ისენებდა 149-ე სკოლის დირექტორი მაია გიორგაძე.

მოვლენების განვითარების განსხვავებული ვერსია აქვს განათლების მინისტრს, დიმიტრი შაშვინს. მისი განცხადებით, დირექტორებმა გათავისუფლების თხოვნით განათლების სამინისტროს აქციის შემდეგ, 9 ნოემბერს თავად მიმართეს.

„სამინისტრო ამ პროცესებში არ ჩარეულა, დირექტორების გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება ამ სკოლების სამეურვეო საბჭოებმა მიიღეს,“ – განაცადა შესვინმა.

შესვინის ვერსიის თანახმად, 9 ნოემბერს, მოვლენები ამგვარი თანმიმდევრობითა და ელვის სისწრაფით უნდა განვითარებულიყო: აქციის დასრულების შემდეგ, დირექტორებს გადადგომის მოთხოვნით განცხადება უნდა დაეწერათ, შემდეგ ეს განცხადება განათლების სამინისტროში მიეტანათ, სამინისტროს თანამშრომლებს რვავე სკოლის შემთხვევა უნდა განეხილათ და სამეურვეო საბჭოსთვის გადააგზავნათ. შემდეგ უკვე ამ სკოლებში სამეურვეო საბჭოები უნდა შეერგილოს, დირექტორების საკითხი ასლა ამათ უნდა განეხილათ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უნდა მოესწროთ.

მაია გიორგაძე ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც სამინისტროში დაბარებული დანარჩენი დირექტორებისგან განსხვავებით, განცხადებას ხელი არ მოაწერა. თუმცა არა იმიტომ, რომ სამსახურიდან დათხოვნის ამ ფორმას აპროტესტებდა. 149-ე სკოლის დირექტორი მეორე დღეს სამინისტროში იმის დასამტკიცებლად მივიდა, რომ მისი მოსწავლეები საპროტესტო აქციაზე არ ნასულან. ამისთვის მან სამინისტროში მშობლების წერილობითი განცხადებები და აღრიცხვის უურნალების ასლები მიიტანა.

მე-12 კლასელი შალვა დემეტრაშვილი იხსენებს, რომ 10 ნოემბერს, როდესაც სკოლაში მივიდა, სასწავლო ნაწილის გამგემ მას უთხრა: „შენს გამოჩენი სკოლის დირექტორი (მიშა მინდა-ძე) თანამდებობიდან გაათავისუფლეს“. „ნამდვილად არ მინდოდა, დირექტორის გადაყენების მიზეზი გამოხდარიყავი. უბრალოდ, ჩემი აზრი გამოვხატე. ახლა სინდისი მქენების, რადგან მეუბნებიან შენი აქციაზე ნასვლის გამო დირექტორმა სამსახური დაკარგა. მინდა, ბატონ მიშას პირადად შეეხვდე და დაველაპარაკო, ავუსხსა, რომ მე არაფრე შუში ვარ,“ – ამბობს შალვა.

„სასწავლო ნაწილმა მითხოვა, რომ ამის გამო დაისჯები და რვას კი არა, თორმეტ გამოცდას ჩაბარებ წლის ბოლოსო. ვერაფრესაც ვერ დამსჯიან, ამის უფლება არა აქთ! მე უბრალოდ სკოლა გავაცდინ.“

შალვა დემეტრაშვილის სკოლის უკვე ყოფილი დირექტორი – მიშა მინდაძე ადასტურებს, რომ თანამდებობა დატოვა, თუმცა განათლების სამინისტროს მხრიდან ზეროლას უარყოფს და სისტემაში არსებულ პრობლემებზე მხოლოდ ორაზროვნად ლაპარაკიბს.

„მივდივარ იმიტომ, რომ გამიტირდება ამ დამოკიდებულებები ბავშვებთან ყოფნა. რაც შეეხება იძულებას, არავითარი მითითება არ ყოფილა. ჩემთვის არავის უთქვამს, სკოლაში კარები ჩაეტევ და ბავშვები არ გაუშვაო, მაგრამ მიმართია, რომ ბავშვები ასეთ აქციებს არ უნდა აწყობდნენ. გამოცდა არავის უხარის, ეს ჩვეულებრივია. თუ საკუთარი აზრის გამოხატვა სურდათ, შეეძლოთ უურნა-

## 8 ბამოსი



2011 წელს საატესტაციო გამოცდების ფარგლებში ყველა საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს რვა საგნის ჩაბარება მოუწევს: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენა, საქართველოს და მსოფლიო ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია.

ამ საგნებისთვის მოსამზადებლად 2010 წლის სექტემბრიდან მეთორმეტეკლასელებს სპეციალური გაკვეთილები, აბიტურები დაუნიშნეს.

აბიტურები სკოლებში კვირაში რამდენჯერმე ტარდება. მეთორმეტეკლასელებს ამ გაკვეთილებზე დასწრება შეუძლიათ, თუმცა არ ვალებათ. თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი თიკო ალიაშვილი ამბობს, რომ „მოსწავლეების დიდი ნაწილი აბიტურის გაკვეთილებს არ ესწრება. ვემზადებით, და მათოვის დრო ალარ გვრჩება. ამ გაკვეთილებზე ჩვენი კლასიდან დაახლოებით შვილი ბავშვი დადის.“

აბიტურის დრო სკოლაში განვლილი მასალის გამეორებას ეთმობა. სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები თვითონ ირჩევენ, რომელ საგანში კვირაში რამდენი სააბიტურო საგნის მოსმენა ურჩევიათ.

საატესტაციო გამოცდები 2011 წელს სკოლაში ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება. მოსწავლეები ყველა ტესტს კომპიუტერის მეშვეობით ჩაატარებენ.

# საზოგადოება

ლისტებს შეხვედროდნენ, ტელევიზიონთ გამოსულიყვნენ, საჯაროდ განეცხადებინათ, “ – ამბობს მინდაძე „ლიბერალ-თან“ საუბარში.

მან უარყო შაშვინის განცხადება, თითქოს რვა დირექტორის საკითხი სამეურვეო საბჭობმა გადაწყვიტეს. „ჩვენი სკოლის საბჭოს ჯერ არაფერი განუხილავს. ალბათ, მალე განიხილავენ,“ — ამბობს იგი.

მოსწავლეთა აქციების გამო სამინისტროში დაბარებული სხვა დირექტორები ჩვენად არიან. ისინი მომხდრზე ღიად საუბარს გაურბინ და კომენტარს არ აკეთებენ.

დირექტორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თეა თუთბერიძე ამბობს, „განათლების შესახებ კანონი“ მოსწავლების საკუთარი იდეებისა და მშვიდობიანი პროცესის გამოხატვას არ უკრძალავს. „ამის გამო სკოლის დირექტორის დასჯა სრულიად უკანონოა, – ამბობს თუთბერიძე.

■ „გენ. ინსპექციაში მისულ დირექტორებს განცხადების უკვე დაწერილი ტექსტი დაგვხვდა, რომლის მიხედვით, თანამდებობიდან გათავისუფლებას ვითხოვდით. ჩვენ ამ განცხადებებზე მხოლოდ ხელი უნდა მოგვეწრა“

მოსწავლების სკოლიდან გათავისუფლებას და გაცდენას სკოლების შინაგანები არ ეგულირებას. მასწავლებელი უურნალში აღრიცხავს დასწრებას. თუ გაცდენის შესახებ, მშობლეობა სკოლა წინასწარ არ გააფრთხილა, მასწავლებელი მშობლებს ატყობინებს, რომ მათი შეიღილო სკოლაში არ ყოფილა.

სკოლებში მეტი დისციპლინისთვის 2010 წლის გაზაფხულზე განათლების სამინისტრომ მანდატურებიც გაგზავნა. განათლების მინისტრს – დიმიტრი შაშვინს – არაერთხელ განუცხადებია, რომ სკოლის დისციპლინისა და მათ შორის გაცდენების კონტროლიც სწორედ მანდატურების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა და პასუხისმგებლობა უნდა ყოფილიყო.

თუმცა, 9 ნოემბრის შემთხვევაში, მანდატურების პასუხისმგებლობა არავის გახსენებია.

მათ შორის, არც თავად მინისტრს, რომელიც ამ სამსახურის შემოღების უშუალო ინიციატორი იყო.

მოსწავლეთა აქციიდან 4 დღის შემდეგ, 12 ნოემბერს, განათლების მინისტრი მანდატურებს პირდად შეხვდა.

დიმიტრი შაშვინმა მანდატურებს ეფექტური მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა: „სტატიისტიკა თვალნათლივ მიგვანიშნებს იმაზე, რომ მანდატურის სამსახურმა გაამართლა. სკოლებში შეიქმნა ისეთი უსაფრთხო გარემო, სადაც ბავშვი დაცულია და დამაყარებულია დისციპლინა, რომელიც უთუოდ უნდა ახლდეს სასწავლო პროცესს“

სამინისტროს ინფორმაციით, 80 პროცენტით შემცირდა მოსწავლების დაგვიანების ფაქტები; 75-ით – მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის შემთხვევები.

„ოროსან მოსწავლეებთან“ და მათ დირექტორებთან დაკავშირებული ისტორია გრძელდება.

მოსწავლებზე კონტროლი გამკაცრდა თითქმის ყველა სკოლაში.

„ერთი ჩარაზეს და არავს უშვებდნენ გარეთ. სხვაგან რესურს-ცენტრის ნარმომადგენლები მისულან. ბავშვებს მასწავლებლები დაემუქრნენ. ისინი სკოლებში ჩაკეტეს, რომ აქციაზე არ ნასულიყვნენ“ – ამბობს 11 ნოემბერს გამართული მოსწავლეთა მორიგი აქციის მონაწილე ანა მუსხელიშვილი.

51-ე სკოლის ერთ-ერთი მეთორმეტეკლასელი, რომელიც აქციაზე არ ნასულა, ამბობს: „არავის ჩავუკეტივართ, მაგრამ დამრიგებელი შემოვიდა და გაგვაფრთხილა, რომ სკოლის შემდეგ აქციაზე წასვლისგან თავი შეგვეკვებინა, ჩვენივე უსაფრთხოების მიზნით“.

„დღეს ჩემი მეთორმეტეკლასელი შვილის კლასის დამრიგებელმა დამირეკა. წინა ორშაბათს, როცა „ოროსნებმა“ (© სააკავებილა) და იმ ბავშვებმა, „რომ-

პარასკევს თეა თუთბერიძე ავრცელებს ინფორმაციას, რომ განათლების სამინისტრო ორი დღის განმავლობაში თბილისის 149-ე საჯარო სკოლის დირექტორზე, მაია გიორგაძეზე ზენოლას განაგრძობდა. მას სთხოვდნენ პირადი განცხადების საფუძველზე წასულყო სკოლის დირექტორობიდან.

11 ნოემბერს მაია გიორგაძის მეუღლეს – ვალერიან გიორგაძეს, რომელიც ასევე თბილისის 148-ე სკოლის დირექტორია, განათლების სამინისტროდან დაურეკეს და უთხრეს – თუ მისი მეუღლე დღის ბოლომდე დირექტორობიდან წასულის შესახებ განცხადებას არ დაწერდა, მაშინ მასაც დაითხოვდნენ.

პარასკევს დღის პირველ ნახევარში მაია და ვალერიან გიორგაძების სკოლებში განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმომადგენლები შევიდნენ.

ლებსაც სწავლა არ უნდათ“ (© რუსთავი 2) აქცია გამართეს, ზუგამ სკოლა გააცდინა. მიტინგზე არ ყოფილა, წინა დამეს სიცხე ჰქონდა და შინ დარჩა. დამრიგებელმა მთხვევა, ეგებ ექიმის ცნობა მაიც მოიტანოთ, თორემ დირექტორმა გამოგვიცხადა, უშიშროებიდან იყვნენ და ყველა იმ მე-12 კლასელზე ვაგროვებთ ინფორმაციას, ვიც იმ დღეს სკოლაში არ ყოფილაო“, – წერს უურნალისტი წინ ბექიშვილი საკუთარ ბლოგში.

11 ნოემბრის აქციის თითქმის ყველა მონაწილეს სახეზე ნიღაბი ჰქონდა აფარებული. მათი თქმით, ეს ნიღაბი იმის დემოსტრირებაა, რომ მოსწავლებს ეშინათ. აქციაზე ათზე მეტი სკოლიდან ელოდნენ თანამაზრებებს. თუმცა, 11 ნოემბერს პარლამენტის წინ დაგეგმილ აქციაზე მხოლოდ 15-მდე მოსწავლე მივიდა. ■

# ისევ იქ, საბჭოთა ნავაშიში



საბჭოთა წარსულის დაძლევა სხვა არაფერია, თუ არა პიროვნული პასუხიმგებლობის გააზრება და ავტორიტარული მართვის მეთოდებთან შეურიგებლობა. ჯერჯერობით, როგორც ჩანს, ისევ იქ ვართ, სადაც 30 წლის წინ ვიყავით.

**ნინო ბექიშვილი**

დღეს ჩემი მეთორმეტე კლასის შვილის კლასის დამრიგებლმა დამირეკა. წინა ორშაბათს, როცა „ოროსნებმა“ (ც სააკაშვილი) და იმ ბავშვებმა, „რომლებსაც სწავლა არ უნდათ“ (ც რუსთავი 2) აქცია გამართეს, ზუკამ სკოლა გააცდინა. მიტინგზე არ ყოფილა, წინა ღამეს სიცხე ჰქონდა და შინ დარჩა. დამრიგებელმა მთხოვა, ეგებ ექიმის ცნობა მაინც მოიტანოთ, თორემ დირექტორმა გამოგვიცხადა, უშიშროებადან იყვნენ და ყველა იმ მე-12 კლასებზე ვაგროვებთ ინფორმაციას, ვინც იმ დღეს სკოლაში არ ყოფილა.

იმ დღეს ექიმი არ გამომიძახებია და ცნობას აბა, საიდან მოვიტან! სამაგიროდ, მომინევს სკოლაში წასვლა და ახსნა-განმარტების დაწერა, რომ ბავშვი ნამდვილად არ ყოფილა მიტინგზე.

რვა გათავისუფლებული დირექტორიდან, მხოლოდ ერთს აღმოაჩნდა გამბედობა, სიმართლე ეთქვა – დირექტორები სამინისტროში დაიბარეს, მზა განცხადება დაუდეს და საკუთარი ნებით წასულიზე მოაწერინეს ხელი. გუმინ, „რუსთავი-2“-ს 161-ე სკოლის ყოფილმა დირექტორმა მიხეილ მინდაძემ მოკლე ინტერვიუ მისცა, სადაც თქვა, რომ მხარს უჭერს გამოცდების ჩატარებას და საკუთარ ადგილს სკოლაში ვერ ხედავს. იმის შესახებ, რომ განათლების სამინისტროს პოლიტიკის გამო მოუწინა სამასახურის დატოვება, მხოლოდ ირიბად მიანიშნა. არ უთქვამს, სინამდვილეში რაც ხდება. ვინანე, რომ ორი წლის წინ მიშა მინდაძეზე სტატია დავძეჭდე „ცხელ შოკოლადში“. საერთოდაც, ცხოვრებაში პირველად ვინანე იმის შესახებ, რაც დამინერია და გამომიქეყნებია.

იმ სადამსჯელო ზომებმა, რომელიც სახელმწიფომ გაატარა, შედეგი გამოიღო – ხუთშაბათის მიტინგზე მხოლოდ 15 ბავშვი მივიდა. დანარჩენები შეშინდნენ ან ჩათვალეს, რომ პროტესტს აზრი არ აქვს.

ის, რომ ბავშვების შესახებ უშიშროება აგროვებს ცნობებს, არც ერთ მასწავლებელს და დირექტორს საჯაროდ არ გაუპროტესტებია. ჯერჯერობით არც მასწავლებელთა პროფესიონალის ამოულია ხმა. მარტო რამდენიმე ადამიანი გამოთქვამს პროტესტს. ოფიციალური საჯარო განცხადება არც პოლიტიკურ პარტიებს გაუკეთებიათ და არც სახალხო დამცველს. არადა, ეს არ არის რაიმე სახის გადაცდომა, ან ადამიანის უფლების დარღვევის ერთეული შემთხვევა. ეს უკვე გააზრებული ავტორიტარული პო-



ლიტიკაა, რომლის განხორციელებაც დიმიტრი შაშვინმა ციხეებიდან სკოლებში გადანაცვლებისთანავე დაიწყო.

რას სთავაზობს სახელმწიფო იმ ბავშვებს, რომლებიც ამ მარტივ გამოცდას ვერ ჩააბარებენ და ატესტაცის ვერ მიიღებენ, ჯერჯერობით, არ ვიცით. პროფესიული განათლების სისტემა ჩვენთან, ფაქტობრივად, არ არსებობს. პრეზიდენტმა იოლი გამოსავალი ნახა – ბარი და წერაქვი დაიჭირონ.

ინტერნეტში, სხვადასხვა ფორუმზე და facebook-ში კი დიდი მღელვარებაა. ამაზე წერენ, ბრაზობენ, აპროტესტებენ. გუშინ დიმიტრი შაშვინის კარიკატურებიც გამოიჩნდა. ცუდი იქნება, თუ ეს პროტესტი ინტერნეტში ან მედიაში დარჩება და აქვე ჩაკვდება.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ოროსნები“ შაშვინს ვერ ჟაშინებენ. ცხადია, ვერ ჟაშინებენ – ჟაშინს შეუძლია ისინი სამტრედიის სპეც-სკოლაში გადააგზავნოს, რომელსაც ახლა არემონტებს. იმაზე კი, რომ თუკი მოზარდი სისხლის სამართლის დამნაშავე არ არის, არავის აქვს უფლება ის მშობელს მოაშოროს, ჯერჯერობით არაუერი თქმულა. ხუთოსნებს პრეზიდენტი კომპიუტერებით ასაჩიქრებს, ხუთოსნები ყველას უყვარს, მახსოვს სსრკ-შიც უყვარდათ – არტეკში უშვებდნენ.

ჩვენში დღეს ბევრს საუბრობენ სსრკ-ს მემკვიდრეობაზე. საბჭოთა წარსულის დაძლევა სხვა არაფერია, თუ არა პიროვნული პასუხისმგებლობის გააზრება და ავტორიტარული მართვის მეთოდებთან შეურიგებლობა. ჯერჯერობით, როგორც ჩანს, ისევ იქ ვართ, სადაც 30 წლის წინ ვიყავით, თორემ რა უნდა უშიშროებას სკოლაში? **ც**

საქართველოს ფოსტა

# ფოსტ-მოიცხნი

საქართველოს ფოსტა ინვესტორისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით იყიდება. შეინარჩუნებს თუ არა ის პროფილს, უცნობია.

ნინო გოგუა



„საქართველოს ფოსტაში“ ყველა პროცესი წინა საუკუნის 90-იან წლებშია ჩარჩენილი, ნოემბერი 2010

ხის საწერ მაგიდებზე კონვერტები და დოკუმენტებია დაზვავებული. მაგიდებს ქალბატონები უსხედან, ქალალდებს ახარისხებენ და ფეხებს მაგიდის ქვეშ შედგმული პატარა ელექტროლუმელებით ითბობენ.

ეს საქართველოს ფოსტაა, სადაც პირადი და საქმიანი წერილები, ღია და მისალოცი პარატები და ამანათები იყრის თავს. ამ ქალბატონების ხელში მხოლოდ 2009 წელს 1 მილიონ 500

ათასმა წერილმა და 81-მა საერთაშორისო კორესპონდენციამ გაიარა.

ორი თვის წინ, 60 წლის წინაძელი ლოგოც განახლდა. ახალი ფერები – ლურჯი და წითელი – სარტყელივით მყვრება დედამიწას და გვეუბნება, რომ საქართველოს სახელმწიფო ფოსტა, 100 ათასი კვადრატული ფართის უძრავი ქონებითა და 20 ფილიალით მთელ საქართველოში, გვთავაზობს „გზავნილებს საზღვრებს გარეშე“.

**რეალური მიზეზი, რითაც „საქართველოს ფოსტაში“ კერძო ინვესტორი შეიძლება დააინტერესოს, მისი უძრავი ქონებაა. ესაა 100 000 მ<sup>2</sup> მიწა და უამრავი შენობა-ნაგებობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.**

თუმცა, ფოსტის თანამშრომლებმაც, დირექტორმაც და იმ ადამიანებმაც, რომლებიც წერილებსა და ღია ბარათებს „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით გზავნიან, კარგად იციან, რომ ის დღემდე ვერ გამოსულა უძრაობის ხანიდან.

ფოსტის ოთხსართულიან შენობაში ლიფტი არ მუშაობს. კიბეები მტვრიანი და ჭუჭყიანია. პარკეტი აქა-იქ ამოყრილი, კედლებზე – აცლილი სალებავი და ცემენტიც ჩამოცვენილი.

ეს უწყება ნდობით სახელმწიფო სტრუქტურებშიც კი არ სარგებლობს. სამინისტროები საქმიანი და ოფიციალური დოკუმენტაციის გასაგზავნად დღემდე ამერიკულ DHL-ს და სხვა კერძო კომპანიებს ანიჭებენ უპირატესობას. ისინი 1.60 ლარის მაგივრად, 8-9 ლარს იხდიან იმისთვის, რომ წერილმა ადრესატამდე დროულად მიაღწიოს.

ფოსტის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს არ სურთ სიახლეებზე საუბარი, თუმცა, ცვლილებებისთვის ემზადებიან. 20 დეკემბერს დასრულდება იმ კომპანიების განაცხადების მიღება ეკონომიკის განვითარების სამინისტროში, რომელთაც ფოსტის შეძენა სურთ.

„ცნობილია, რომ კერძო მეპატრონე გაცილებით ეფექტური მმართველია, ვიდრე სახელმწიფო“, – აცხადებს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი და ფოსტის გაყიდვის აუცილებლობას მხოლოდ ამ მოტივით ასაბუთებს.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც სახელმწიფო ფოსტის მძიმე მემკვიდრეობისგან „გათავისუფლებას“ ცდილობს. 2005 წელს ეს უწყება სტრატეგიული ობიექტების სიიდან საპრივატიზაციო ნუსხაში გადაიტანეს, მაგრამ ამ 5 წლის განმავლობაში მყიდველი არ გამოჩენილა.

ამჯერად სახელმწიფო კერძო კომპანიებს გაცილებით ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს. თუ პრივატიზების სხვა ცნობილი შემთხვევების დროს, სახელმწიფო განსაზღვრულ

პირობებს წინასწარ წარადგენდა, ახლა კომპანიებს შეუძლიათ, თვითონ წარუდგინონ სამინისტროს გეგმა – რა პირობით და რა ფასად სურთ „საქართველოს ფოსტის“ შეძენა. 20 დეკემბრის შემდეგ, სამინისტრო სწორედ ამ განცხადებისგან აარჩევს მისთვის ცველაზე სასურველ რამდენიმე კომპანიას და ტენდერს უფრო სარციანი კონტრაქტის გასაფორმებლად მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადებს.

პოტენციური კლიენტებისთვის სავარაუდოდ მიმზიდველი უნდა იყოს ის, რომ ფოსტის პრესტიუს ორსაუკუნოვანი ისტორია უმაგრებს და ისიც, რომ ეს უწყება ყველაზე, მათ შორის მაღალმთან რაონებშიც, საკუთაროების ფლობს. თუმცა, „საქართველოს ფოსტის“ მომავალი მფლობელი მემკვიდრეობად მიიღებს იმ უამრავ პრობლემასაც, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ უწყებას დაუგროვდა.

„საქართველოს ფოსტა“ დღემდე წამგებიან კომპანიად ითვლება.

„დაახლოებით 7 მილიონ ლარიანი ბიუჯეტით მხოლოდ ხარჯების ანაზღაურებას ვახერხებთ. რამდენიმე თვეა, ხელფასებს ვერ გავცემთ. ისეთ რეგიონებშიც გვიწევს მუშაობა, რომლებიც წამგებიანია. მესტიაში ჩავა თუ არა ამანათი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ადგილობრივი ოფისის ხარჯების განევა მაინც გვიწევს. ხომ უნდა იყოს ადგილზე ვილაც, ვინც, საჭიროების შემთხვევაში, წერილზე საფოსტო მარკას დააწებებს?“ – ამბობს „საქართველოს ფოსტის“ დირექტორი, დავით დარაბულიძე.

ამ მძიმე მემკვიდრეობის ფონზე რეალური მიზეზი, როთაც „საქართველოს ფოსტაზე“ კერძო ინვესტორი შეიძლება დააინტერესოს, მისი უძრავი ქონებაა. ესაა 100 000 კვადრატული მეტრი მინა და უამრავი შენობა-ნაგებობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. რადგან ეკონომიკის სამინისტრო ინვესტორს არ ავალდებულებს, შესყიდულ შენობებსა და ტერიტორიას პროფილი შეუნარჩუნოს, შენო-

## ფოსტა - სახელმწიფო თუ არა?

სახელმწიფო ფოსტების პრივატიზების შესახებ დებატები ბოლო დროს დასავლეთის ქვეყნებშიც აქტუალური გახდა. საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკაში, ბულგარეთში ექსპერტები ერთ პრინციპულ საკითხზე ვერ თანხმდებიან: უნდა იღებდეს თუ არა ფოსტა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიებს? და მეორე: ამ სახის ინვესტიციით, აინვესტიციების თუ არა საფოსტო მომსახურების ხარისხი ამ ქვეყნებში?

მწვავე სადაც თემად რჩება ისიც, საჭიროა თუ არა დღეს სახელმწიფო ფოსტის, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის ნაინილის, შენარჩუნება?

დაპირისპირებული მხარეები, როგორც წესი, თანხმდებიან იმაზე, რომ ფოსტას ის სტრატეგიული დანიშნულება, რაც გასულ საუკუნეებში, დაბალი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ჰქონდა, დღეს აღაჩინია. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ფოსტა იყო საფოსტო გზავნილების გადაცემის ერთადერთი საშუალება საბჭოთა კავშირის 15-ივე წევრი რესპუბლიკის მასშტაბით, დღეს ეს ფუნქცია ჩვენთან უამრავ კერძო კომპანიაზეა გადანაწილებული.

ასევეა ბევრი დასავლური ქვეყნის შემთხვევაში. ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში ფოსტა დღემდე სახელმწიფო მფლობელობაში რჩება, მისი სუვერენულობის სიმბოლურ ნაწილად აღიმება, მაგრამ ქვეყნის შეგნით და გარეთ კომუნიკაციისთვის საჭირო შეუცვლელ როლს აღარ ასრულებს.

იაპონიაში სახელმწიფო ფოსტა 2010 წლის გაზაფხულზე გაიყიდა, მაგრამ ამ თემის გარემო დებატები ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. საპრივატიზაციო პირობები და ინვესტორის ვალდებულებები, ასევე, ის, თუ როგორ უნდა დაიხსარგოს ფოსტის გაყიდვით მიღებული ფული – პარლამენტში დებატების აქტუალურ თემად დღემდე რჩება.

# საზოგადოება

ბებში, სადაც ახლა „საქართველოს ფოსტა“, შეიძლება მისი გასხვისების შემდეგ ოფისები, მაღაზიები, ან სასტუმროები განთავსდეს.

„საქართველოში მოქმედ კერძო ფოსტებს არ აქვთ საკმარისი ფული, „საქართველოს ფოსტა“ დამოუკიდებლად რომ შეიძინონ. ამისთვის რომელიმე საერთაშორისო ოპერატორია საჭირო, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იმუშავებს წაგებაზე. შენობების-თვის პროფილის შეცვლის გარეშე, ამ პატარა ბაზარზე, საეჭვოა, ვინმემ ოპერირება მოინდომოს“, – ამბობს საქართველოში DHL-ის წარმომადგენლობის დირექტორი მალხაზ პაპელაშვილი.

მიზეზი, რის გამოც „საქართველოში ფოსტა“ წამგებიანია, რამდენიმეა.

„21-ე საუკუნეში, ინტერნეტის ეპოქაში, ადამიანები წერილის წერას გადაეწვივნენ. მართალია, წერილი სულ სხვა სიამოვნებაა, თითქოს, ცოცხალი ორგანიზმია, მაგრამ მასზე მასობრივი მოთხოვნა, როგორც ადრე იყო, დღეს აღარაა. ჩვენთან აღარც უურნალ-გაზეთების გამოწერაა პოპულარული“, – ამბობს მარკების სპეციალისტი ბიჭიკო, რომელიც 40 წელია ფოსტაში მუშაობს.

თუმცა, მთავარი მიზეზი, რის გამოც „საქართველოს ფოსტამ“ ვერც რეალური რებორნინგი და ვერც მოგებაზე მუშაობა ვერ შეძლო, იყო მწირი ბიუჯეტი, გაუბედავი, უინიციატივი მმართველობა და უზარმაზარი ქინება, რომელიც ბოლო პერიოდში ფოსტისთვის წინაღობად უფრო იქცა,

ვიდრე განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად.

საფოსტო სისტემა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად მოიშალა. სამოქალაქო ომის დროს დაინვა კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობა, მასთან ერთად განადგურდა ფოსტის მუზეუმიც.

1992 წლის შემდეგ ფოსტა თავის შენახვას დიდწილად პენსიების დარიგებით ახერხებდა. საპენსიო თანხის სახლში მიტანის საფასურად, ფოსტალიონებიც რამდენიმე ლარს იღებდნენ პენსიონერებისგან. მას შემდეგ, რაც 2004 წელს პენსიების დარიგების ფუნქცია სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებულ „სახალხო ბანკს“ დააისრა, ფოსტის შემოსავლები ერთო-ორად შემცირდა.

## წარმატებები



„საქართველოს ფოსტა“, რომელიც დღემდე სახელმწიფოს მფლობელობაში ჩრება, ქართული მარკების ექსპოზიციური მწარმოებელია.

საფოსტო მარკა, რომელიც საერთაშორისო საფოსტო სტანდარტულების მიხედვით, ვიზუალურად ეფექტური, შეინარჩუნავად კი მარ-

ტივად გასაგები უნდა იყოს, ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთით იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ იკრძალება მარკაზე ცოცხალი პოლიტიკოსის, ან ლიდერის გამოსახვა, მარკა პოლიტიკური და კულტურული კონიუნქტურის რისგან თვისუფალი ჩვენთან მაინც არაა.

ვერც ერთ ქართულ მარკაზე ვერ ნახავთ, მაგალითად, თანამედროვე ხელოვნების ნიმუშს, ან საქართველოში მცხოვრები რომელიმე უმცირესობის აღმნიშვნელ სიმბოლიკას. თუკი, იაპონიის საფოსტო მარკებზე – ანიმები, ანუ იაპონური ანიმაციის გამოსახულებები, უნგრეთში კი პირველი კოსმოსური ხისალადებია დატანილი, ქართულ მარკებზე დღესაც სამხედრო გემების, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, არქიტექტურული ძეგლების და საქართველოს ფლორა და ფაუნას გამოსახულებები იმპერდება.

2007 წელს „საქართველოს შეირაღებული ძალების“ პატივსაცემად ზღვის ნაპირას მდგარი სამხედრო გემის გამოსახულებით 10 000 ცალი მარკა დაიბეჭდა. ამავე წელს ეკონომიკის სამინისტრომ „საქართველოს ფოსტა“ საპარკო და ქვეითი ჯარის

გამოსახულებიანი მარკები დაუკვეთა.

შარშან ოლიმპიური თამაშების აღმნიშვნელი მარკები გამოვიდა, მოგვიანებით კი – ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის მარკებიც გავრცელდა.

ჩვენთან პოპულარულია ქვეყნებთან მეგობრობის ნიშანად ერთობლივი მარკების გამოშვების იღეაც.

„საქართველოს ფოსტის“ პრივატიზების შემთხვევაში, ეკონომიკის სამინისტროს შეკვეთებს ტენდერში გამარჯვებული კერძო კომპანიები შეასრულებენ.

დღესაც, როცა ეს ფუნქცია სახელმწიფო ფოსტას აკისრია, ამ ვალდებულებას დამოუკიდებლად ვერ ასრულებს – შესაბამისი სტამბის არარსებობის გამო, „საქართველოს ფოსტა“ მარკების დასაბეჭდად ეკრისულ კომპანიებს მიმართავს, იდეებს კი ეკონომიკის სამინისტროსგან იღებს.

„საქართველოს ფოსტა“ საფოსტო გზავნილების ანაბარა დარჩა.

ოთახში, სადაც დღეს თანამშრომლები ამ ერთადერთ ფუნქციას ასრულებენ, თეთრი პლასტიკაზოთ გადატიხული. „ამ უზარმაზარ, ქვასავით ციფრ თახაში სითბო როგორლაც ხომ უნდა შეგვენარჩუნებინა“, – ამბობს ლევანი, რომელიც წერილების დახარისხების დეპარტამენტის ზედამხედველია.

ოთახში ათი საწერი მაგიდაა ჩამწკრივებული. იქვე დგას ურიკები, რომლებზეც ლურჯი და თეთრი ტომრები აწყვია. მაგიდებთან სხვადასხვა ასაკის ქალბატონები ტომრებიდან ამოღებულ წერილებს საფოსტო ინდექსის შესაბამისად ახარისხებენ.

მათგან ოდნავ მოშორებით მაღლალი, მრავალგანყოფილებიანი ხის კარადა დგას წარწერებით – ზესტაფონი, ოზურგეთი, ქუთაისი. მხოლოდ რამდენიმე განყოფილებაში დევს თითოოროლა წერილი.

ამ ოთახში წერილებს სულ 20 ადამიანი ახარისხებს. ისინი დილიდან საღამომდე, კვირაში 6 დღე დახსროებით 100 ლარის საფასურად მუშაობენ. ამავე ანაზღაურებით საქართველოს მასტაბით ფოსტას სულ 1600 თანამშრომელი ჰყავს. მათგან 800-მდე ფოსტალიონი ყოველდღიურ სამუშაოში 80 ლარს იღებს, განყოფილების უფროსები – 120 ლარს.

„მიზერული შემოსავლების გათვალისწინებით, მომხმარებელს მაქსიმალურ სერვისს ვთავაზობთ“, – ამბობს „საქართველოს ფოსტის“ დირექტორი დავით დარახველიძე და ამანათების განყოფილებაში გავყავართ.

უშველებელი დარბაზის შუაგულში მუხლუხის ფორმის, დიდი, დაუანგული დანადგარი დგას. 15 წლის წინ, ამ დანადგარის ზედა ნაწილში მილიონობით ამანათი გროვდებოდა. მანქანა ავტომატურად ახარისხებდა მათ და ძირს დაშვებული „ფეხების“ საშუალებით, კონტეინერებში ალაგებდა. რამდენიმე ადამიანი ამ გზით თვეში ასეულობით ტონაზე მეტ ამანათს აპინავებდა.



რევონებში გასაგზავნად გამზადებული ამანათები, ნოემბერი 2010

ფოტო იმედი გარემონტი

**თანამედროვე ტექნოლოგიების მიღმა დარჩენილ „საქართველოს ფოსტაში“, სამუშაოს მთლიანად პერსონალი ასრულებს. საქართველოს და უცხო ქვეყნების მოქალაქეები კი ამანათების გასაგზავნად, ძირითადად, კერძო კომპანიებს ირჩევენ.**

დღეს ეს მანქანა ამორტიზებულია. თანამედროვე ტექნოლოგიების მიღმა დარჩენილ „საქართველოს ფოსტაში“, სამუშაოს მთლიანად პერსონალი ასრულებს. საქართველოს და უცხო ქვეყნების მოქალაქეები კი ამანათების გასაგზავნად, ძირითადად, კერძო კომპანიებს ირჩევენ.

„თითქმის იმდენივე ამანათს იღებს TNT, რამდენსაც „საქართველოს ფოსტა“, გარკვეულ პერიოდებში – უფრო მეტსაც. როგორც ჩანს, მოსახლეობას ურჩევნია, ზოგჯერ ცოტა მეტი გადაიხდოს და ამანათის დაკარგვისგან თავი დაიზღვიოს“, – ამბობს TNT-ს პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თავო ახალკაცი.

TNT შედარებით ძვირად (მათთან 5 კილოგრამამდე საფოსტო გზავნილის ლირებულება 5-დან 25-მდე ლარია), მაგრამ მოელი საქართველოს მასტაბით ახორციელებს „საქართველოს

ფოსტის“ ანალოგიურ მომსახურებას.

„ევროპაში ფოსტების პრივატიზების პროცესის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კერძო ბაზარზე კონკურენტული ფასი დიდად არ განსხვავდებოდა სახელმწიფო ფოსტების ფასისგან. ამით ფოსტის გასხვისების საწინააღმდეგო არგუმენტები ფაქტობრივად გაქრა – ამბობს DHL-ის დირექტორი.


სახელმწიფოსთვის ფოსტის გასხვისება ბიუჯეტში ფულის მობილიზების მორიგი საშუალებაა. თუმცა, ახალი, ხელსაყრელი პირობებით დაინტერესებული ინვესტორი, რომელიც „ფოსტის“ შენარჩუნებასა და მის განვითარებაზე ააწყობდა საკუთარ ბიზნეს-გეგმას, ჯერჯერობით არ ჩანს. ამიტომ პასუხი კითხვაზე – დარჩება თუ არა ბაზარზე საქართველოს ისტორიული ფოსტა, რომელიც ბოლო წლებამდე ერთადერთი საფოსტო გადამზიდი იყო – არ არსებობს. **■**

ოჯახი

# მშვიდობით, სიყვაჩილი!

განქორწინება – ოჯახის დანგრევა თუ პიროვნული ბედნიერებისთვის ბრძოლა?

დიანა ჩაჩუა



„ჩემს მშობლებს რთული ქორნინება ჰქონდათ. გამუდმებით ჩეცბობდნენ და ორჯერ გაშორდნენ. ვხვდები, რომ ორივე ძალიან ღლავდა შვილებზე, თუმცა ფაქტია, რომ მე და ჩემი ძმა არეულ და სტრულ ოჯახში გავიზარდეთ. დღეს, როდესაც საკუთარ ქორნინებას ვგვმავ, მოსვენებას არ მაღლევს კითხვები: განწირულია ჩემი ქორნინება? მეც ჩემი მშობლების ნაკვალევს გავყები?“ ეს არის ნაწყვეტი განქორნინების თემისადმი მიღვნილი ერთ-ერთი პოპულარული ბლოგიდან, სადაც ანამ მყითხველებს საკუთარი განცდები გაუმტილა.

29 წლის ანას შემები სულაც არ არის უსაფუძვლო. ბევრი კვლევა ადასტურებს, რომ განქორნინებას „გენეტიკური“ ხასიათი აქვს და თაობიდან თაობას გადაცემა, როგორც გარკვეული „გენეტიკური დეფექტი“.

მსოფლიოში არასოდეს ყოფილა განქორნინებების რიცხვი ისეთი მაღალი, როგორც დღესაა.

თანდათანობით, სტიგმისგან თავის დარწევით, განქორნინებების ბუმმა ყველაზე ტრადიციულ საზოგადოებებშიც შეაღწია.

მარტო საქართველოში უილბლო ქორნინებებს რიცხვი ბოლო 10 ნელინდები გაორმაგდა. თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, რეალურად ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია.

საქართველოში განქორნინებათა მთავარ მიზეზად დალატა, გენდერული როლების აღრევას და მძიმე სოციალურ ფონს უკავშირებენ. თუმცა, არანაკლები წელი მიუძღვის ადრეულ შეუძლებასა და ოჯახურ ძალადობას.

გასული ათეული წლების განმავლობაში ქორნინების აღქმამ დიდი ცვლილებები განიცადა. ტრადიციულ, კლასიკურ ქორნინებაში ორივე მეუღლეს საკუთარი მოვალეობები ჰქონდა: ქარა მუშაობდა, ცოლი სახლში საქმიანობდა და ამას მაქსიმალური პრიდაცულობა მოჰქონდა.

დღეს, როდესაც მზა საჭმელები, იაფი ტანაცმელი და სარეცხი მანქანის და მტკერსასრუტს მსგავსი ტექნოლოგიები ფუფუნება აღარ არის, ქალების დიასახლის სისიდან სულ უფრო ნაკლები სარგებელია. განათლებულმა ქალებმა, რომლებიც თავად გეგმავენ, როდის გააჩინონ ბავშვი,

სამუშაო ბაზარზე გადაინაცვლეს.

სწორედ ქალის როლის ცვლილებაა განქორნინებების მზარდი ტენდენციის ერთერთი მიზეზიც.

მიღებული განათლების წყალობით, ქალები ქმრებზე ფინანსურად დამოკიდებულნი აღარ არიან, როგორც ეს მანამდე იყო. მათ ახალი ფუნქცია და ვალდებულებები გაუჩნდათ, რასაც მათი დროის და ყურადღების დიდი ნაწილი მიაქვს. ეს ხშირად ოჯახური უთანხმოების მიზეზი ხდება.

ჩეზარე რიმინი ბედნიერი კაცა. ცხოვერებაში არაფერი აკლა. „ფერარით“ დადის და თავისუფალ დროს აგარაზე მეღვინეობით არის დაკავებული. ზაფხულს

## ბანკორნინება საქართველოში

**2009 წელს** საქართველოში განქორნინების 4030 ფაქტი დაფიქსირდა. აქედან თანაცხოვრებიდან 4 წლის შემდეგ გაყრის გადაწყვეტილება 910-მა წყვილმა მიიღო.

გაყრის ინიციატორი 3767 შემოხვევაში ქალი იყო და მხოლოდ 263 შემოხვევაში – მამაკაცი.

**2008 წელს** განქორნინების გადაწყვეტილება 3 189 წყვილმა მიიღო, 2007 წელს კი – 2 325-მა.

განქორნინებულთა უმეტესი რაოდენობა თბილისზე მოდის.

რაც შეეხება ქორნინების სტატისტიკას,

**2009 წელს** 31 752 წყვილი დაქორნინდა.

**2008-ში კი – 31 414.**

რიცხვერაზე ატარებს და იმდენი კლიენტი ჰყავს, რომ სათვალავი ერევა. მისი ბიზნესი ჰყავის. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმაც ვერაფერი დააკლო.

ჩეზარე რიმინი იტალიის ყველაზე ცნობილი განქორნინებათა ადვოკატია.

განქორნინებების ბუმმა ოჯახური ტრადიციებით ცნობილ იტალიშიც ჩამონა.

**2008 წელს** აქ 54 ათასი ადამიანი გაეყარა ერთმანეთს, მაშინ როცა 30 წლის წინ ეს რიცხვი 12 ათასს არ სცდებოდა. ყოველწლიურად ეს მაჩვენებელი 3-4 პროცენტით იზრდება. საშუალოდ, ოჯახებს 15-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ანგრევენ. სულ უფრო მეტ იტალიელს ოჯახის შექმნას, შეიღებს და ტრადიციულ, მრა-

ვალთაობისან ოჯახებში ცხოვრებას გართია ურჩევნია.

განქორნინებული ვირნა მოდენა, რომელიც ქორნინების დაგეგმვის ბიზნესითაა დაკავებული, ამბობს, რომ ახლა „განქორნინების კომერციულ პოტენციალს სწავლობს“. „შესაძლოა, ეს ქორნილების დაგეგმვაზე უფრო სარფიანი ბიზნესი იყოს,“ – ამბობს იგი.

ვირნასგან განსხვავებით, მიღენა სტროკვიჩისა განქორნინების ბიზნესის პერსპექტივულობა თუ წლის წინ შენიშვნა და გაყრის დაგეგმვის სააგენტო „ჩაო ამორე“ გახსნა. რომის და ტრიესტეს ოფისების შემდეგ, იგი მაღალი მიღანშიც გეგმავს გაფართოებას.

ევროპაში განქორნინება საკმაოდ ძვირი პროცესია, სასამართლოსა და ადგომატების მომსახურებით დაწყებული, ალიმენტებით და ყველა მხარის საცხოვრებლით დაკავშიროვილებით დამთავრებული. ამიტომაც ბევრი წყვილი კანონიერ განქორნინებას თავს არიდებს და ცალ-ცალკე ცხოვრებით კმაყოფილდება.

ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოშიც გაძლიერებულთა რიცხვი გაცილებით მაღალია განქორნინებულთა რიცხვზე.

რამდენიმე წლის წინ ბერების უნივერსტეტის ფსიქოლიტიკოლოგიის ლაბორატორიის დირექტორმა, ქორნინების მკვლევარმა რობერტ ლევანსონმა ათ წყვილს ვიდეო გადაულო, სადაც ისინი საუბრობდნენ პირად ურთიერთობებზე, სხვადასხვა თემებზე, ჩეზაბობდნენ. ლევანსონმა იცოდა, რომ ხეთი მათგანი გაყრის პირას იდგა. ვიდეო სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რიგით მოქალაქეებს უჩვენეს და სთხოვეს, დაშორების პირას მყოფი წყვილები გამოევლინათ. უმრავლესობამ არასწორ წყვილებს დაადალ ხელი.

„გარედან ვყელაფერი სხვაგარად ჩანს. ადამიანებს კარგად არ ესმით ქორნინების ფუნქციონირება. ყველაფერი გაცილებით როული და კომპლექსურია,“ – ასკვენის ლევანსონი.

ხშირად წყვილები თვითონაც ვერ აცნობიერებენ, თუ რა მოხდა. რამდენიმე წლის წინ ისინი ხომ ბედნიერები იყვნენ. სიყვარული გაქრანდა? ვერ შეეწყვერნ?

სპეციალისტები რეალური ურთიერთობების გაუფასურებასა და განქორნინებებ-

# საზოგადოება

ბის მზარდ ტენდენციაში ახალ ტექნოლოგიებსაც ადანაბაულებენ.

35 წლის ემა ბრელი ქართან განქორწინების შესახებ ფეისბუკიდან შეიტყო. ქალი გაოგნებული კითხულობდა მეულის ახლად განახლებულ სტატუსს: „ნილ ბრედი დასრულა ქორწნება ემა ბრედისთან“.

ერთ-ერთმა უახლესმა კვლევამ დაადასტურა, რომ განქორწინებულები გაყრის შემდეგ მეტად ბედნიერი სულაც არ არიან.

თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ეს ერთა-დერთი სწორი არჩევანია. არავინ აყენებს ეჭვებელ განქორწინების აუცილებლობას, როდესაც საქმე ძალადობას და გამუდმებულ ჩხუბს ეხება. ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ ბავშვისთვის დედ-მამის გამუდმებული ჩხუბის გარემოში ყოფნა მათი გაყრით მიყენებულ სტრესზე უფრო მავნებელია.

შვილის გამო ოჯახების შენარჩუნების ტრადიცია საქართველოში კვლავაც აქტუალურია. თუმცა, წინა თაობებთან შედარებით დღეს ახალგაზრდები გაცილებით თამამად ანგრძელ იჯახებს.

„ბავშვის უმამოდ გაზრდა არ მინდოდა. ამის გამო დიდხანს ვითმენდი ბევრ რამეს. ასე თითქმის 4 წელი გავატარეთ. ერთ დღესაც მივხვდი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. დღეს ვთვლი, რომ სწორად მოვიქცი. ამისხენით ვინიშე, რატომ უნდა შემნარჩუნებინა ოჯახი? ჩემი ჭორიკანა მეზობლის გამო? მათ ხომ აღარც ახსოვთ ეს ამბავი,“ – ჰყვება 29 წლის ელისო.

„თხოთ წლის წინ გათხოვდი. ამ წნის მანძილზე ჩემს ოჯახში სულ უთანხმოებაა. ქმარი სულ უფრო და უფრო ხშირად გარბის შინიდან. თავიდან ვერსუბებოდი, ახლა ვცდილობ, ყურადღება არ მივაქციო. შევეგუე. განქორწინება ბავშვის გამო არ მინდა, მაგრამ ბედნიერი არ ვარ,“ – ამბობს 27 წლის წინ.

ხშირად საქართველოში განუწყვეტილი ოჯახური უთანხმოებების და სტრესის გადაჭრის გზად თინეიჯერი გოგობი გათხოვებას მიიჩნევნ, უკეთეს შემთხვევაში – შეყვარებულებზე, თუმცა ხდება ისეც, რომ სასონარკეთილები პირველივე შემხვედრს მიყენებიან. ხშირად შევქას ახალშექმნილ ოჯახშიც ვერ პოულობენ, შედეგად მოვადოებული წრე იკურება.

ევროპისგან განსხვავებით, საქართველოში სიტუაციას ისიც ართულებს, რომ დაუქორწინებელი წყვილის ერთად, მშობლებისგან ცალკე ცხოვრება ტრადიციულ შეხედულებებს ენინაალმდეგება. მეტიც, ეს საკითხი ხებისმიერი ზრდასრული ადამიანისთვისაც, დამოუკიდებლად იმისა, ჰყავს პარტნიორი თუ არა, მანც პრიბლემას წარმოადგენს. ამას ხშირად დააბული ურთიერთობები და სტრესი სდევს თან. გარდა სტიგმისა, ზოგ შემთხვევაში, ეს დღი ფინანსებთან არის დაკავშირებული, რის გამოც ახალგაზრდები დამოუკიდებლად ცხოვრებას ვერ ახერხები.

„ჩემთვის ოჯახური აურზაურისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება გათხოვება იყო. მეუღლე მიყვარს, თუმცა ოჯახის ასე ადრე შექმნას არ ვაპირებდი. მშობლების აუტანელ ურთიერთობას ვეღარ გავუძელი. მამაჩემი სულ მთვრალია

## ბავშვი ღა ბანოჰინოვაზ

საქართველოში განქორწინების შემდეგ ბავშვის აღზრდის საქმეში დამხმარეთა მთელი არმია ერთვება. თუ უცხოეთში მეუღლებებს მარტო ცხოვრება და ბავშვის აღზრდის მთლიანდ საკუთარ თავზე აღება უნდეს, ჩვენთან ბებიები და ბაბუები მთავარ გამნენ ძალად იქცევიან ხოლმე. ცხადია, ეს მეორე მშობლის ნაკლებობას ვერ ასეს ხს, თუმცა ბავშვებისთვის, რომელმაც ცოტა ხნის წინ სტრესი გადაიტანა, ახლობლების განსაკუთრებული მზრუნველობა აუცილებელია.

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ მშობელთა განქორწინების შემდეგ, ბავშვები განსაკუთრებით მგრძნობიარენი ხდებიან. მათ არ სიამოვნებთ ხმაური, უფრთხისან უცხო ადამიანებს, ეშინიათ მიტოვებისა და დაკონკრეტის.

სხვადასხვა კვლევების თანახმად, ბავშვებისთვის მიტოვებულის და არა-სასურველის კომპლექსის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია მისგან შორს მყოფი მშობლის დადგებითი პორტრეტის შექმნა. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ დაუშვებელია ბავშვის ამხედრება მამის ან დედის მიმართ.

და სახლში დებოშებს აწყობს. დედაჩემი ამას თავდახრილი იტანს, – ჰყვება 18 წლის ქეთი თბილისიდან.

განქორწინება ყველაზე დიდ ტრაემას ბავშვებს აყენებს. საკუთარი პრობლემებით დაკავებული მშობლები ბავშვის მიმართ ხშირად დაუფირებულ და უყრდლებო დამოიდებულებას ჩერენ. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ეს დამოკიდებულება უკვალოდ არ იკარგება: დეპრესია, სტრესი, ფსიქოზი, არასრულფასოვნებისა და სხვა კომპლექსები, ეს ყველაფერი პოსტრანქორწინების სინდრომებია, რომლებიც ბავშვები ჩერენ თავს.

22 წლის ლევანი მშობლების გამუდმებული ჩხუბის გარემოში გაიზარდა: „რაც თავი მახსოვეს, მამა დედას ამცირებს, ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებს. ბავშვობიდან მოყოლებული დედას ვეგვენები, გაშორდი-მეთქი. ეს ნაძიჯი ვერ გადადგა ახლა ამბობს, რაღა დროს განქორწინებაა? სახლიდან სიამოვნებით წავიდოდი, მაგრამ დედას ვერ მივატოვებ“.

მშობლების განქორწინება ნებისმიერი ასაკის ბავშვებისთვის მტკიცნეულია. ზრდასრულებში ეს ხშირად ქორწინების და ოჯახური ღირებულებებისადმი იმედის დაკარგვას იწევს.

ბოლო დროს მიშვნელოვანდ გახშირდა „ვერცხლის განქორწინების“ შემთხვევებიც, ანუ ერთმანეთს შორდებიან წყვილები, რომელთაც 30 და მეტი წლის თანაცხოვრების სტაჟი აქვთ. შვილების გზაზე დაყენების, მშობლების, ფინანსური და სხვა წნებისგან გათავისუფლების შემდეგ, შეუნდებს მიტანებულები პირადი ცხოვრებისთვის სულ უფრო ხშირად იცლიან. მთა უმეტეს, რომ ამ ასაკის ქალების მნიშვნელოვანი ნანილი დღეს აღარ არის ქმრის შემოსავალზე დამკიდებული.

„ორი შეიძლი გვყავს. ტრაემირების თავიდან ასაცილებლად, გადავიწყვიტეთ ბავშვებისთვის არაფერი გვეთქვა. მათ კვლავაც ერთად უკვლით, თუმცა ცოდნების გვეყვარებულებზე, თუმცა ხდება ისეც, რომ სასონარკეთილები პირველივე შემხვედრს მიყენებიან. ხშირად შევქას ახალშექმნილ ოჯახშიც ვერ პოულობენ, შედეგად მოვადოებული წრე იკურება, – ჰყვება 46 წლის მაკა. იგი ამბობს, რომ სხვა წყვილებსაც იცნობს, რომლებიც ბავშვების დასანახად ერთად

ცხოვრობენ, თუმცა სხვადასხვა პარტნიორები ჰყავთ.

დედაქალაქისგან განსხვავებით, რეგიონებში განქორწინებასთან დაკავშირებით სტიგმა კვლავაც ძლიერია, ამიტომაც დიდი ქალაქებისგან განსხვავებით გაყრა იქ ბევრად რთული საქმეა.

ქართველი ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ხშირად ახალგაზრდა წყვილები სექსუალური შეუთავსებლობის მოტივით სცილდებიან ერთმანეთს. ქორწინებამდე პარტნიორთან სექსუალური კავშირის არქონის გამო, წყვილს შორის სექსუალური შეთავსებადობის გამოვლენა უკვე ქორწინების შემდეგ ხდება. თუმცა, დასავლეთმიც კი, სადაც წყვილები დაქორწინებამდე, ჩეულებრივ, ერთად ცხოვრობენ, ეს მათ ოჯახებს დანგრევისგან ვერ იცავს, რადგან პრობლემები ბევრად უფრო კომპლექსურია.

განმირებული განქორწინებების ფონზე მიღიონობით ადამიანმა თანამედროვე მსოფლიოში ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტისადმი იმედი დაკარგა. თუმცა, მანიც მეტია მათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ შეყვარებულ წყვილებს შორის ურთიერთობა ქორწინებით უნდა გაგრძელდეს.

სინამდვილეში, ქორწინების კრიტიკოსები, ქვეცნობიერად, არა თავად ამ ინსტიტუტს, არამედ ცუდ ურთიერთობებს აკრიტიკებენ. ადამიანები არ დალატობენ ერთმანეთს იმიტომ, რომ დაქორწინებულები არიან. დალატი და განმორება დაუქორწინებელ წყვილებშიც ხშირია.

ქორწინება არ არის რთული, არუც ან ჩახლართული. ცხოვრებაა თავად რთული.


ქორწინებაზე უარის თქმა ცხოვრებისეული სირთულეების თავიდან აცილებას არ ნიშნავს.

პირიქით, თუ ქორწინება ერთმანეთისადმი თანასწორი პარტნიორების ერთობაა, მაშინ ქორწინებაში ყოფნა ცხოვრებისეული სირთულეებისა და წარმატებების პარტნიორისთვის გაზიარების შანსს იძლევა.

ასე რომ, ნეგატიური ტენდენციების მიუხედავად, ქორწინება დღეს კვლავაც რჩება პარტნიორისადმი სიყვარულისა და ერთგულების დამტკიცების მთავარ ფორმად, რომელსაც მთელს მსოფლიოში მიღიონობით ადამიანი ირჩევს. **■**

## ფუჭები

1. გოგონებს მშობლების განქორწინება უფრო იოლად გადააქვთ, ვიდრე ბიჭებს;
2. ამერიკელი ბავშვების ნახევარი მშობლების განქორწინების მომსწრეა;
3. ამერიკელი ბავშვების 40 პროცენტი მამის გარეშე იზრდება;
4. კვლევები ადასტურებს, რომ ბავშვისთვის მშობლების განქორწინება გაცილებით სტრესულია, ვიდრე ერთ-ერთ მშობლის გარდაცვალება;
5. განქორწინებულთა შვილებს ტრავმების, ასთმის, თავის ტკივილების და საუპრის დეფექტების დადიო რისკი აქვთ; ასეთ ბავშვებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გარ-
6. თულების ორჯერ უფრო მაღალი რისკი აქვთ;
7. კვლევამ აჩვენა, განქორწინებიდან ექვსი წლის შემდეგაც კი შვილებს კვლავაც მარტოობის, უბედურების და დაუცველობის შეგრძნებები აქვთ;
8. ამერიკაში პატიმართა 70 პროცენტი არასრულფასოვან ოჯახებშია გაზრდილი;
9. განქორწინებულთა შვილები, განსაკუთრებით ბიჭები, აგრესიული დამოკიდებულებით გამოირჩევან;
10. განქორწინებულთა შვილებში, მათ სხვა თანატოლებთან შედარებით, თვითმკვლელობის რისკი აქვთ;



# ბახსნიცი საჭათვაცო



მეზობელი ქვეყნებისთვის საზღვრების გახსნა გარკვეულ რისკებს შეიცავს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ძალზე ჭკვიანური პოლიტიკაა.

### მარკ მალენი

ერთ-ერთი პირველი სწრაფი და ჭკვიანური ნაბიჯი, რაც მთავრობამ 2003 წელს ხელისუფლებაში მოს-ვლის შემდეგ გადადგა, ეუთოს წევრი ქვეყნებისთვის ვიზის გაუქმება იყო. ეუთო მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების კლუბია. ამან უცხოელებს საქართველოში მარტივად მიმოსვლის საშუალება მისცა. ბევრი დარიბი ქვეყანა ფულს სწორედ იმით აკეთებს, რომ მდიდარი ქვეყნების მოქალაქეებს დიდ სავიზო გადასახადებს უწესებს. ამ ქვეყნების საკონსულოები ხმირად პროცესს ხელოვნურად ართულებენ, ზოგჯერ კორუფციის, ზოგჯერ უბრალოდ ბიუროკრატიული უუნარობის გამო. რუსეთი, ფაქტობრივად, ერთადერთი დიდი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც ჯერ კიდევ ითხოვს ვიზას ყველა ვიზიტორისთვის. რუსეთის ვიზის მიღება კომიკურად არაორგანიზებული და საბჭოურია. როდესაც პოტენციური სტუმარი, ბოლოს და ბოლოს, ვიზას იღებს და რუსეთში ჩადის, უკვე ფიქრობს, რომ ეს ქვეყანა რაღაც სხვა ეპოქის კაფეს უელი სახელმწიფოა. ამისთვის ვიზის მიღების პროცესში მიღებული შთაბეჭდოლებებიც კმარა.

საქართველომ რომ კანადელების და შვედების ვიზის გარეშე შემოშვება დაიწყო, მართლაც შესანიშნავი გადაწყვეტილება იყო. მაგრამ ახლა, როცა ჯერი ჩრდილოკავკასიელებზე მიდგა, შეიძლება თუ არა, ამ ნაბიჯსაც იგივე

შეფასება მივცეთ? როდესაც ამის შესახებ პირველად შევიტყვე, დავფიქრდი, თუ რა რეაქცია ექნებოდათ კრემლის მთავარ „მყვირალებს“. ბევრი რუსი ხომ „კავკასიას“ განიხილავს, როგორც ერთ დიდ ბაზადას, რომელიც ზის და რუსული ეროვნული იდეის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობს. ის-

ტორია, რომ საქართველო ჩეჩენეთის არმიას ეხმარებოდა რუსული ჯარის წინააღმდეგ, წლების განმავლობაში კრემლისთვის საკმაოდ პოპულარული და სასარგებლო თემა იყო. სწორედ ამიტომ, ჩრდილოკავკასიელებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების იდეაც პროგოკაციული ჩანს.

■ ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება რუსეთისთვის პროვოკაციის მიზეზი ხდება. ამიტომ, თუ სიახლე აშკარად საქართველოს ინტერესებშია, მხოლოდ იმიტომ, რომ ის რუსეთს გააღიზიანებს, მის მიღებაზე უარი არ უნდა ვთქვათ. საქართველოს ეპატიება, თუ დიდად არ შეწუხდება რუსეთის განაწყენებით. რუსეთი ხომ ისედაც ყოველთვის ნაწყენია.



მეორე მხრივ, რუსეთის პროვოკაციაზე წამოგება იოლი საქმეა – ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება მისთვის პროვოკაციის მიზეზია. ამიტომ, თუ სიახლე აშკარად საქართველოს ინტერესებშია, მხოლოდ იმიტომ, რომ ის რუსეთს გააღიზიანებს, მის მიღებაზე უარი არ უნდა ვთქათ. საქართველოს ეპატიება, თუ დიდად არ შეწუხდება რუსეთის განაწყენებით. რუსეთი ხომ ისედაც ყოველთვის ნაწყენია.

სავიზო რეჟიმის გაუქმების იდეა კიდევ იმიტომ მომენტია, რომ თბილისში ერთ ჩეჩენს შევხვდი. ის საქართველოში ვიზიტის დროს ერთ-ერთ კონფერენციაზე მოხვდა. ხალხს ხვდებოდა, საყიზიტო ბარათებს გასცემდა, ამბობდა, რომ თბილისი ძალიან მოსწონს... მოკლედ, სასიამოვნო ადამიანი იყო. ვფიქრობ, აյ საყიდლებზეც იარა. თუ ვინმე გასეირნებას და დასვენებას იმსახურებს, პირველ რიგში, ეს ჩეჩენები არიან. ჰოდა, რატომ არ უნდა გააკეთონ ეს მეზობელ საქართველოში?

იგივე შეიძლება, ითქვას ირანელებზეც. ირანი ატომური ბომბის შექმნას ცდილობს და ამისთვის ბირთვულ მასალას ეძებს. რუსეთს უამრავი ბირთვული მასალა აქვს. ასევე აქვს სამხრეთ ოსთი, რომელიც იდეალური ადგილია ყველა ჯურის ხალხისა და იარაღის კონტრაბანდისთვის. საქართველო ამ ორ მთავრო დესტაბილიზაციონის შორის მდებარეობს. ჭკვიანური ნაბიჯია, გაუქმებული სავიზო რეჟიმით, ამ ორის ერთმანეთან დაახლოება? დიახ, ასეა. ვისაც კონტრაბანდის რუსეთსა და ირანს შორის გადაზიდვა სურს, იმას სავიზო რეჟიმი არც აქადედე უშლიდა ხელს. ვინ იცის, უკვე რამდენი რამ გადაიტანეს.... თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო საზოგადოებას უკვე დაუმტკიცა, რომ მას ბირთვული მასალების კონტრაბანდისტების დაკავება არ უჭირს. გაუქმებული სავიზო რეჟიმი ამ პროცესზე ზეგავლენას ვერ მოახდენს.

თავისუფალი სავიზო რეჟიმი, პირველ რიგში, იმ ირანელებს წაადგება, ვისაც სამშობლოდან წასვლა სურთ. ასეთები ძალიან, ძალიან ბევრი არიან. ირანში რეპრესიული რეჟიმია და მის მოქალაქეებს იმაზე მეტად სჭირდებათ დასვენება, ვიდრე შევდებს და კანადელებს. ირანელებს უნდათ ლვინის დალევა, ცეკვა და ზოგადად, განტვირთვა – სამი რამ, რის გაკეთებაც ირანში ძნელია და რაც საქართველოს ერთგვარი სპეციალობაა. საკუთარი ხალხის სურვილის მიუხედავად, ირანის მთავრობამ საერთაშორისო იზოლაციის და აგრძელის გზა აირჩია. გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ ირანელები მოძებნიან ახლომდებარე ქვეყანას, რომელსაც დასავლეთთან კარგი ურთიერთობა აქვს, ეს მათზე პოზიტიურად აისახება.

ეს ყველაფერი რადიკალურად განსხვავდება იმისგან, რაც აზერბაიჯანში ხდება. მას შემდეგ, რაც საქართველომ მთელ რიგ ქვეყნებთან სავიზო რეჟიმი გააუქმა, აზერბაიჯანმაც დაინტენტ ზოგიერთი ქვეყნისთვის ვიზების აერობორტშივე გაცემა. ამან აზერბაიჯანში მოგზაურობა გაამარტივა. რამდენიმე თვის წინ კი, მოულოდნელად, არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, აზერბაიჯანმა ვიზების საზღვაოზე გაცემა ისევ შეწყვიტა. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე უცხოელებს რომ ქვეყნის საზღვრებს ჩაუკიტავ, ამაზე უარესი მსოფლიოს რა უნდა დაანახო?!

მოკლევადიან პერსპექტივაში, საქართველოს გახსნილი პოლიტიკა მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში ყურადღებით უნდა გავაკონტროლოთ, რადგან შეიძლება, გარკვეულ რისკებს შეიცავდეს. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ეს ძალზე ჭკვიანური პოლიტიკაა. ისტორიის ფაკულტეტის რიგითი სტუდენტიც კი გეტყვით, რომ იზოლაცია ყოველთვის ცუდი იდეაა და გახსნილობა ყოველთვის წაადგება მათ, ვინც გახსნილია. ■

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიმ.



## სპეციალური შეთავაზება



მხოლოდ 2010 წლის 31 დეკემბრამდე  
შეგიძლიათ გამოიწყოთ  
ურნალი „ლიბერალი“  
თითქმის ნახევარ ფასად!

## ლიბერი სელმონერა მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,  
გამოიწყეთ ურნალი „ლიბერალი“  
და მიიღოთ თქვენი ურნალი

ყოველ ორშაბათს  
თქვენთვის სასურველ ადგილა!

ურნალის გამოსაწერად  
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
**(899) 48 62 41**  
ან მოგვაწოდეთ თქვენი  
საკონტაქტო ინფორმაცია  
ელ-ფოსტით: [info@liberali.ge](mailto:info@liberali.ge)

# უცადე ლაპინიკაცი ბაში



ჯორჯ ბუში ოპრა უინფრის შოუში გამოჩნდა და ამერიკელ ლიბერალებს, თავად ოპრას ჩათვლით, ამბივალენტური გრძნობები გაუჩინა. იმსახურებს თუ არა თანაგრძნობას ბუში უმცროსი?

გიორგი ცხადაია

ჯორჯ ბუშ უმცროსა, შეიძლება ითქვას, ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ცუდ პერიოდში მოუწია პრეზიდენტობა. მისმა მოღვაწეობამაც ისტორიკოსებისგან განსაკუთრებით კრიტიკული შეფასება მიიღო. კრიტიკოსებს ბუში ამერიკის პრეზიდენტების იმ სიაში შეპყავთ ხოლმე, რომელმაც ერთ-ერთ მოწინავე ადგილს კრიმინალურ მაქინაციებში გახვეული რიჩარდ ნიქსონი იკავებს.

მიუხედავად ამისა, როცა ის რამდენიმე დღის წინ ლიბერალების ღია მხარდამჭერის, ობამას ერთ-ერთი სერიოზული ლობისტის და „ტელევიზიის დედოფლის“, ოპრა უინფრის შოუში მოხვდა, ჯორჯ ბუშს არცერთ მისთვის უხერხულ თემაზე საუბარი არ მოუწია.

ლიბერალმა მიმომხილველებმა ოპრა უინფრის პრეზიდენტისთვის ზედმეტად რბილი კითხვების დასმა უსაყველურეს. თუმცა, მათ კარგად იციან, რომ ოპრა უინფრის ბუშის პოლიტიკისადმი კრიტიკული დამოკიდებულება სრულებითაც არ შეცვლია. საქმე ის არის, რომ, ცუდის და უარესის შედარებისას, ლიბერალური მედიაც და პოლიტიკური მიმომხილველებიც უპირატესობას უმაღლ საეჭვო ინტელექტით, უხერხული გამონათქვამებით და ზედმეტად სწორხაზოვანი პოლიტიკით ცნობილ ბუშს ანიჭებენ, ვიდრე მის რომელიმე კონსერვატორ მემკვი-



მინდელი პოლიტიკური კონიუნქტურის მეშვეობით, ბოლო რამდენიმე წელიწადში უპრეცედენტო ცვლილებები განიცადა. ამაში დასარწმუნებულად მცირე ისტორიული ექსკურსიც კმარა:

**პროგრამა Medicare Part D-მ** თავის დროზე რესპუბლიკულების რიგებში მცირე განხეთქილება გამოიწვია. ეს იყო ხანძიშესული მოქალაქეებისთვის განკუთვნილი

პროგრამა, რომელიც მათთვის ექიმის მიერ გამოწერილი წამლების სუბსიდირებას გულისხმობდა. რესპუბლიკური პარტიის ფისკალურად კონსერვატორი და იდეოლოგიურად მტკიცენილი ამ ინიციატივამ თავის დროზე ძალზე შეაშფოთა. როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ამ კონკრეტული პროგრამის გამო ამერიკის ბიუჯეტს უფრო მეტი ზიანი მიადგა (და მომავალშიც მიადგება), ვიდრე დღეს ობამას მიერ განხორციელებულ ჯანდაცვის ცველა ინიციატივას ერთად.

დღეს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ახლა ობამას ჯანდაცვის რეფორმის კრიტიკა სწორედ ფისკალური კონსერვატიზმის პოზიციიდან ხდება. მაგალითად, იმდროინდელი რესპუბლიკელი კონგრესმენებიდან ერთ-ერთი, არიზონელი ტრენტ ფრენსკი, ვინც ბუშის Medicare Part D-ს მხარი დაუჭირა, 2009 წლის ნოემბერში ობამას ჯანდაცვის რეფორმაზე შემდეგ კომენტარს აკეთებს: „მე შევახსენებ-

**■ რესპუბლიკური პარტიის  
ტრანსფორმაცია ორ  
მინიჭვნელოვან სიბრძნეს  
გვახსენებს: პირველი, რომ  
დროში უწყვეტი პოლიტიკური  
პროგრამა არ არსებობს, და  
მეორე, რომ პოლიტიკური  
ფიგურების მოღვაწეობა  
ყოველთვის დღევანდელი  
გადმოსახედიდან ფასდება.**

დრეს.

მემარჯვენე პარტიების ხასიათი ისე შეიცვალა, რომ ბუშის მიმართ ნოსტალგიის (მცირე, მაგრამ მაინც!) გრძნობა ამერიკელ მემარცხენებს შორისაც კი გაჩნდა. რესპუბლიკურმა პარტიამ, „ჩაის მსმელების“ და ამჟა-

ჩემს დემოკრატ კოლეგებს, რომ მათ შვილებს და ყველა თაობას მათ შემდეგ, ეს კანონი მძიმე ტვირთად დააწვებათ. სხირედ მათ მოუწევთ წარმოუდგენლად დიდი ვალის გადახდა.“

პარტიაში მომხდარი ცვლილებების მასშტაბი თავად განსაჯეო.

რესპუბლიკური პარტიის ტრანსფორმაცია ორ მნიშვნელოვან ისტორიულ-პოლიტიკურ სიბრძნეს გვახსენებს: პირველი, რომ დროში უწყვეტი და თანმიმდევრული პოლიტიკური პროგრამა ბუნებაში არ არსებობს და ასეთი რადიკალური საკითხებიც კი კონიუნქტურის მიხედვით იცვლება, და მეორე, რომ პოლიტიკური ფიგურების მოღვაწეობა ყოველთვის დღევანდელი გადმოსახედიდან ფასდება. ლიბერალებში ბუშის მიმართ გაჩენილი ნოსტალგიაც ამ ორი ჭეშმარიტების მართებულობას მოწმობს.

ამ ფონზე, ზოგიერთი ლიბერალი იქამდეც კი მივიდა, რომ „ბუშებით“ დაკომპლექტებული კონგრესი ინატრა. „ჩაის მსმელების“ კანდიდატებით და რესპუბლიკური პარტიის რადიკალი წევრებით წარმოდგენილ კონგრესსა და სენატს თუ გავიხსენებთ, ამგვარი ნატურა ლოგიკას მოკლებული სულაც არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ბუშის მიმართ დამოკიდებულება შედარებით შერბილდა, მანც ყველას კარგად ახსოვს, თუ რა გამოიარა ამერიკამ 2000-იანი წლებში და ვინ იყო ამ დროს გადაწყვეტილებების უზენაესი მიმღები. პრობლემები, რაც დღეს ამერიკას აწერს, დიდილად სწორედ ბუშის დამასახურებაა.

მართალია, ბუში რადიკალი კონსერვატორი არასდროს ყოფილა, მაგრამ მისი პრეზიდენტობის დროს მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ამერიკა, არსებითად, იმ კატასტროფამდე მიყვანა, რაც ახლა უფრო იკვეთება. ბუში ყველა გადამწყვეტ შემთხვევაში ექცეოდა ინტერესთა ორი მთავარი ჯგუფის: „ვოლ სტრიტის“ და სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსის გავლენის ქვეშ. ისეთ საკითხებშიც კი, სადაც ამ ორ ინტერესთა ჯგუფს პირ-

დაპირი და აშკარა დაინტერესება არ გააჩნდა, ბუშს მზად ჰქონდა მემარჯვენე კონსერვატორული იდეოლოგია, რითაც საკუთარი უმოქმედობის ახსნა შეეძლო (მაგალითად, ქარიშხალ „კატრინას“ შედეგად დაზარალებული ლურიზანის შტატისადმი გულგრილობა).

პროგრამა Medicare Part D ამგვარი უპასუხისმგებლობის და ინტერესთა ჯგუფებისადმი ლოიალობის ერთ-ერთი კლასიკური ნიმუშია. საქმე ის არის, რომ პროგრამის განხორციელება არა თავად სახელმწიფოს, არამედ კერძო კორპორაციებსა და სადაზღვევო ფირმებს დაევალათ, რამაც ისეთივე არაეფექტური შედეგი გამოიძო, როგორც დასავლეთის სხვა ქვეყნებში. ე.ნ. კერძო-საჯარო პარტიის თითქმის ყველგან კერძო კომპანიებისთვის – დიდი მოგებისა და სახელმწიფოსთვის – ვალებისა და საბიუჯეტო დეფიციტის მომტანი გახდა. კომპანიები, რომლებიც სახელმწიფოსთან გარიგებაში შედიოდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი „ბიზნესების“ განადგურებას სახელმწიფო არასდროს დაუშვებდა და ამიტომ გაუმართლებელ, თუმცა თავისთვის სასარგებლო ნაბიჯებს უყოფმანოდ დაგამდნენ. შედეგად, დაზარებულნი ყოველთვის მომხმარებლები და სახელმწიფო რჩებოდნენ.

სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციებისადმი უნდობლობა მემარჯვენე რესპუბლიკური პარტიის ფუნდამენტური დამსხასიათებელი თვისებაა, რომელსაც თითქმის ყველა სფეროში უწევს ადვოკატირებას, სამხედრო და უშიშროების სფეროების გარდა.

რესპუბლიკების ფისკალურ კონსერვატიზმის ამგვარი ორმაგი სტანდარტებით, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზული იერი ეძლევა. ნამდვილ ფისკალურად კონსერვატორ ლიბერტარიანებს, მაგალითად, „კატრინის ინსტიტუტის“ ექსპერტებს სოციალური პროგრამები და მაღალბიუჯეტიანი ომები თანაბრად არ მოსწონთ. ბუშის პლატფორმის რესპუბლიკები კი აშკარა წინააღმდე-

გობას ფისკალურ კონსერვატიზმსა და გაზრდილ საომარ ხარჯებს შორის დღემდე ვერ ხედავენ.

ფისკალურ კონსერვატიზმისთვის საკვანძო საკითხი – დეფიციტური ხარჯება მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ბუშმა 2001 წელს მასობრივი საგადასახადო შემცირებები დაიწყო. შედეგად, გადასახადი შეუმცირდათ, როგორც მუშათა და საშუალო კლასის ამერიკელებს, ასევე – მდიდრებსაც. სწორედ აქედან დაიწყო ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის ურთიერთობების გამძაფრება და რესპუბლიკებმაც სწორედ ამ გადაწყვეტილების მიღების დროს გამოიყენეს ე.ნ. „საბიუჯეტო რეკონსილიაციის პროცესი“, რამაც საშუალება მისცა ნაკლები დებატების და მეტი პარტიულ-ჯგუფური ერთგულების ხარჯზე სასურველი ცვლილებები გაეტანათ. დღეს რესპუბლიკები დემოკრატებს სწორედ ამ პროცედურის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ. ეს პროცედურა კი სათავეს ბუშის მმართველობის პირველივე წლიდან იღებს.

ბუშის საგარეო პოლიტიკური ცოდვები, ალბათ, საშინაო პოლიტიკაზე ვრცელი თემაც კია. თავად ბუში შეცდომებს ან უარყოფს ან თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს. ახლა მას საკუთარი სიმართლის პროპაგანდისთვის ახალი საშუალება აქვს – „გადაწყვეტილების მომენტები“, მეტუარული უანრის წიგნი, რომელიც 9 ნოემბერს გამოვიდა და რომლის პოპულარიზაციასაც ყოფილი პრეზიდენტი აქტიურად ეწევა. ოპრა უინფრის გადაცემაში სტუმრობაც „წიგნის ტურის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. თუ ზემოთნახენებ ბრალდებულზე ბუშის პასუხები გაინტერესებთ, წიგნი, ალბათ, ნაწილობრივ მაინც დაგეხმარებათ. □

\*ფისკალურ კონსერვატიზმი – ფისკალურ პოლიტიკა, რომლის მთავარი პრიორიტეტი არის სახელმწიფო ხარჯების და სახელმწიფო ვალის შემცირება, დაბალანსებული ბიუჯეტის წარმოება.

# ნიბნიჩება საქათვეოში



საქართველო კითხვის საერთაშორისო შეფასების კვლევაში ბოლოდან მეექვსე ადგილზეა. ქართველი ბავშვები საკუთარ მშობლებს ჰყვანან – ისინი იშვიათად კითხულობენ. მაშინ, როცა კითხვის უნარ-ჩვევებს მოსწავლეთა აკადემიური და შემდგომში სოციალური წარმატებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს.

სიკო ჯანაშია



საქართველოს მცირენლოვანი მოქალაქეები თავდაჯერებულები არ არიან. გარემო, სადაც ისინი ცხოვრობენ და სწავლობენ, რესურსებით ღარიბია. მათი მასწავლებლების დიდი ნაწილი ცუდად ფლობს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. როდესაც ეს პირობები ერთმანეთს ემატება, ვიღებთ პრობლემას: ქართველი მოსწავლეები ცუდად კითხულობენ.

კითხვის საერთაშორისო შეფასების კვლევაში (PIRLS 2006) ორმოცდაერთი ქვეყანა მონაწილეობდა. კითხვის უნარების დონით საქართველო მათ შორის 36-ე ადგილზეა. ეს ნიშავს, რომ საქართველოს სკოლების 9-10 წლის მოსწავლეები სხვა ოცდათხუთმეტი ქვეყნის მოსწავლეებთან შედარებით ცუდად კითხულობენ.

საკუთრივ რეიტინგი განსაკუთრებულად სასარგებლო ინფორმაცია არ არის – ის არ გეხმარება საკუთარი მოქმედების უკეთ დაგეგმვაში. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმ ფაქტორების შესახებ, რომელიც ჩვენი მოსწავლეების ასეთ შედეგებს განაპირობებს.

კითხვასთან დაკავშირებული წარმატების განმსაზღვრელი ორი ძირითადი ფაქტორია: (1) თუ რამდენად თავდაჯერებულია მოსწავლე კითხვისას და (2) გარემო, რომელიც მოსწავლის, როგორც მოტივირებული და უნარიანი მკითხველის, ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

იმისთვის, რომ ბავშვს კითხვის მოტივაცია გაუჩინდეს, მის გარშემო ტექსტით მდიდარი გარემო უნდა არსებობდეს. სახლში არსებული წიგნების რაოდენობით, საქართველოს ცამეტი

ქვეყანა უსწრებს. ტექსტით მდიდარ გარემოს ნარმატების მქონე ქვეყნების უმეტესობაში ისიც ქმნის, რომ იქ ოჯახების უმრავლესობა ყოველ-დღიურ გაზირებს სახლში იღებს.

სკოლები, განსაკუთრებით კი საკლასო სივრცეები, მნიშვნელოვანია წიგნიერი გარემოს შესაქმნელად. საქართველოში იშვიათია, საკლასო სივრცეში კლასგარეშე ლიტერატურა იყოს განთავსებული.

პრობლემა სასკოლო ბიბლიოთეკების თვალსაზრისითაც დგას. ბიბლიოთეკების უმეტესობა განთავსებულია იმდენად პატარა სივრცეში, რომ იქ მოსწავლისთვის კომფორტული გარემო არ არის. ამგვარი ბიბლიოთეკები, ძირითადად, წიგნთა საკავშირის ფუნქციას ატარებს. მოსწავლეს იშვიათად უშვებენ წიგნებთან, რომ თავად გადმოიღოს თაროდან, დაათვალიეროს და გემოვნების შესაბამისად შეარჩიოს. კარგ სკოლებში ბიბლიოთეკაში საკმარისი მაგიდები და სკამებია, რბილი ავეჯი და წიგნებიც ისეა განლაგებული, რომ მოსწავლე ადგილად მინვდეს მათ და იქ გაატაროს გაკვეთობების შემდგომი დრო.

ფიზიკურთან ერთად მნიშვნელოვანია სოციალური გარემოც. ბავშვებში კითხვის სურვილს მნიშვნელოვანდ განაპირობებს, თუ რამდენად ხშირად კითხულობენ მათი მშობლები, რამდენად სიამოვნებთ მშობლებს კითხვის პროცესი, ესაუბრებიან თუ არა ისინი შვილებს საკუთარი გამოცდილების შესახებ.

ასევე, ცნობილია, რომ ბავშვები, რომელთა მშობლები შვილებს ადრეულ ასაკში უკითხავენ წიგნებს, ეხმარებიან მათ წიგნების შერჩევაში, უკეთეს შედეგს აღნევენ კითხვის თვალსაზრისით.

თავდაჯერებულ მკითხველად ბავშვი მაშინ ყალიბდება, როცა მისთვის გასაგებ ტექსტთან ურთიერთობს. მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ შეფასებას იღებს ის ირგვლივ მყოფებისგან. თუ მასწავლებელი, მშობლი ან თანატოლი აღნიშნავს იმას, რაც მოზარდს კარგად გამოსდის კითხვი-

სას და არ იქნება მომართული ნაკლის აღმოჩენაზე, ეს მნიშვნელოვნად ნაადგება ბავშვის თავდაჯერებულობას.

მნიშვნელოვანია, მშობელმა იზრუნოს, რომ მის შვილს წიგნები მუდამ ჰქონდეს. იმ შემთხვევებში, როდესაც მშობლებს ფინანსური მდგომარეობის გამო უჭირთ წიგნების შეძენა, მათ მუნიციპალურ ან სხვა ბიბლიოთეკას უნდა მიმართონ.

ცხადია, კითხვის უნარსა და კითხვის მიმართ დადგებით განწყობას მნიშვნელოვნად განაპირობებს, თუ როგორ ასწავლიან კითხვას სკოლებში. მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ სახელმძღვანელოების დახმარებით ასწავლის მოსწავლეს კითხვას, ხშირ შემთხვევაში წარუმატებელია. სახელმძღვანელოები ხშირად ხელოვნურ ტექსტებზეა აგებული და მოსწავლეებში მისი კითხვა ჯილდოებთან და სასჯელებთან უფრო ასოცირდება, ვიდრე კითხვიდან მიღებულ სიამოვნებასთან. მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა იზრუნონ, რომ მოსწავლეებმა სკოლის შემდეგ მათთვის საინტერესო წიგნები იკითხონ. კარგი აზრია მოსწავლეებს შორის წიგნების გაცვლის ორგანიზება და ამისთვის სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნების მაქსიმალურად გამოყენება. ასევე, მრავალ სკოლაში არის იმის შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებმა ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების საშუალებით წაიკითხონ მათთვის საინტერესო ნაწარმოებები ან საინფორმაციო ტექსტები.

რა მდგომარეობაა საქართველოში აღნერილ ფაქტორებთან მიმართებაში?

იკვეთება, რომ ქართველი ბავშვები საკუთარ მშობლებს ჰქონიან. მშობლების დიდი ნაწილი ჩვენთან იშვიათად კითხულობს. კიდევ უფრო იშვიათია, რომ ისინი სიამოვნების მისაღებად კითხულობდნენ. დაახლოებით ამავე რაოდნობის მოსწავლე კითხულობს სკოლის შემდეგ, მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის. მოსწავლეების მცირე ნაწილი კითხულობს ინფორმაციის მისაღებად. მასწავლებლები იშვიათად მიმართავენ კითხვის მრავალფეროვან აქტივობებს. ამ ყველაფრის შედეგი კი ის არის, რომ ქართველი მოსწავლეების დიდი ნაწილი ვერ ფლობს კითხვის კომპეტენციებს. ამ უნარ-ჩვევას კი მათი აკადემიური და შემდგომში სოციალური წარმატებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. □

### მომავალის ჩა პრისტი აითხოვდას რვანით სიმოვნეასთავის?

- 38%
- 44%
- 17%

### მოსწავლეების ჩა პრისტი აითხოვდას სიმოვნეასთავის?

- 29%
- 29%
- 41%

### მოსწავლეების ჩა პრისტი აითხოვდას ინფორმაციის მისაღაბა?

- 16%
- 43%
- 30%
- 11%

### მოსწავლეები აითხოვდას სამოსი ბაზი

- 32%
- 32%
- 20%
- 17%

- ყოველ დღე
- პისიმი ართები ან მხატვა
- თვაში ართები ან მხატვა
- თითოების ახასებები / ახასებებს

**წყარო:** PIRLS 2008 International Report  
<http://timss.bc.edu/pirls2006>

# ესხილი ბოშა თბილისში

ჩეზო ბაბიაძის ახალი საათით და ძველი თვალით



გაბრიაძის დახრილი კოშკი მისი სპეციალური „სვლები“, უბრალო, თითქმის შეუმჩნეველი იუმორი და არტისტულად დახვენილი დეტალები.


დავით ბუხრიკიძე

ნოემბრის ერთ თბილ, მზიან და მშვიდ შაბათ დღეს ძველ თბილისში ოქროსფერი საათითა და ციფერბლატით დამშვენებული, პატარა, დახრილი კოშკი გაიხსნა. ის არც ტურისტებით გაბეზრებულ პიზას ჰგავს, არც ჩრდილოეთის ციიაგით „გატანჯულ“ ტალინის კოშკს და არც პრალის გიგანტური საათითა და მარიონეტებით დამძიმებულ კოშკს.

ანჩისხატის ბაზილიკისა და აივნიანი სახლების გადაკვეთაზე, შავთელის ქუჩაზე, დაახლოებით 30 წლის წინ, რეზო გაბრიაძის ძალისხმევით მარიონეტების თეატრი დაარსდა. და აი, კლასიკოსმა რეჟისორმა, სცენარისტმა, მარიონეტების დიდოსტატმა, მეზღაპრეზ და ახლა უკვე არქიტექტორმა (დახრილი კოშკი სწორედ მისი დაპროექტებულია), რამდენიმეწლიანი გასაიდუმლოებული, ოდნავ მისტერიული სარემონტო სამუშაოები დაასრულა.

საპატიო თუ ნაკლებად საპატიო სტუმრები, მსახობები, მუსიკოსები, რეჟისორები „ქვაში ამეტყველებული სპექტაკლის“ მოწმენი გახდნენ, რომელიც ცნობილი რეჟისორის უკიდეგანო ფანტაზიით არის აღბეჭდილი: დღის თორმეტ საათზე კარი იღება და ოქროსფრთანი ანგელოზი პატარა ჩაქუჩის ზარს შემოჰკრავს, რაც კიდევ ერთხელ გვამცნობს დროის ულმობელ უამთასვლას. დახრილი კოშკის აშენების იდეა რეზო გაბრიაძეს დიდი ხნის წინ მოუვიდა, თუმცა ქვაში ამეტყველებული ზღაპარი მხოლოდ ამჟამად აქცია რეალობად. ამაში კი საკუთარი ნიჭისა და ღვთის ხელის გარდა, მუნიციპალიტეტის „მსუბუქი“ მატერიალური ხელიც ურევია.

იქნებ, ყველა ქალაქს საკუთარი წარ-



რეზო გაბრიაძე განახლებული თეატრის ფონზე, ნოემბერი 2010

სულის, საკუთარი იერის მსგავსი კოშკი უნდა ჰქონდეს? იქნებ, ამგვარი გაბა-ასება ისტორიასთან, როცა გვერდით მეხუთე-მეექვესე საუკუნის ბაზილიკის ტიპის ეკლესია ცოცხლობს, უნდღიერ გიბიძგბს, რომ კარგი არქიტექტურული გემოვნება ჩამოგყიყალიბდეს? ისტორია ათასგვარ წერილმანებს გაფილტრავს და მხოლოდ საუკეთესო გადარჩება, როგორც ომში დაცხრილული ჯარისკაცის ჩაფუტუტი „სტალინგრადის ბრძოლაში...“ როგორც დამცინავი ამაოებისა თუ ფაქტზე ნაკეთი სისასტიკის მეტაფორა.

გაბრიაძის დახრილი კოშკი მისი სპექტაკლების გაგრძელებას ჰგავს. სიუ-შეტური „სვლები“ უბრალო, თითქმის შეუმჩნეველ, მაგრამ იუმორით გაჯერებულ დეტალებში იყარება. განხყობას ქმნის ყველაფერი – გამომწვარი, მომწვანო თუ თითქმის ზურმუხტის-ფერი მოზაიკურ-კერამიკული კედლები; მასზე ამოტვიფრული ადამიანებისა და ცხოველების პატარა ფიგურები, რომელიც განსაციფრებელ და გულისამაჩუყებულ განწყობას ქმნის; დახრილი საათის „გაფუჭებული“ ისრები, ცხაური სარდაფის ფანჯარაზე: სადღაც შემომდგარი ფერადი კერამიკული ქოთხები, გვერდით შეყენებული რელის, კოშკი რომ არ „წაიქცეს“, გამხმარი ნა-

ტვრის ხე კოშკის კენტეროზე თუ ბრონეულის პატარა ბუჩქები; საკვამური-დან ამოჩრილი პატარა მილი, რომელიც ზღაპრულ თუ ოჯახურ ატმოსფეროს ანიჭებს ძველი თბილისის უსწორმასწორო ქუჩებივით აწყობილ კოშკ-მეტაფორას, კოშკ-ზღაპარს.

ავტორი ამბობს, რომ თითქმის ოთხი წელი დასტურდა დახრილი კოშკის მშენებლობას, რადგან მხოლოდ დანგრეული სახლების ძველ აგურსა და, ნაწილობრივ, ქვასაც იყენებდა. მაგრამ ქვა და აგური ძნელად „მეგობრობენ“, ამიტომ დიდი სიფრთხილე და გემოვნებაა საჭირო, ერთ მშენებლობაში რომ მოაქციო. ასე თუ ისე, ჰარმონიის შემთხვევაში შენობა თბილ და ვარდისფერი იერს იღებს. ახლა შეგიძლიათ, დიდხანს და საფუძვლიანად ათვალიეროთ ეს „მულტიკულტურული მოზაიკა“: ბიზანტიური სისადავე, ანტიკური თაღები და სვეტები, შუა საუკუნეების ევროპული ქალაქების კედლები და საათი რომაული ციფერბლატით, ქართული დეკორი და აგური, რუსული „ხის ქოხის“ ელემენტები, აღმოსავლური მინიატურები...

მოკლედ, გაბრიაძის დახრილი კოშკი ნამდვილ შემცნებით-კულტურულ თავგადასავალს ნიშნავს, ყოველგვარი ეგზოტიკურობისა და ნაძალადევი „სიღნაღიზაციის“ გარეშე.

დიდი ხნით ადრე, 80-იანი წლების სპექტაკლში „ტრაპიზუნდის იმპერატორის ქალიშვილი“, იყო ერთი სასაცილო პერსონაჟი – მეომარი არჩილი, რომელიც იტალიაში ლაშერობისას პიზის კოშკს წილს ჰკრავდა და ის იხრებოდა. თბილისურ კოშკს ყოველი შემთხვევისათვის რკინის რელი შეუყუდეს, ისე, ვინმემ, სილამაზით მოხიბლულმა, უნებლიერ ფეხი რომ არ ჰკრას... ოდნავ მოშორებით კი ნამდვილი თეატრი დგას, უკვე ოცდაათი წლის, რომაული სტილის შენობა კოპნია თბილისური აივნით და უკვე შეცვლილი შუშაბანდით პირველ სართულზე, სადაც რესტორანი „არ იდარდოც“ იყო.

იქ უცნაური სურნელი იდგა: ოდნავ ლაჟირებული ხის, ძველი გაზეთების, აფიშების და აბაჟურის. იყიდებოდა შავი ღვინო, თონის პური, იმერული ყველი, პრასი, ჯონჯოლი... საფრანგეთის კულტურის ყოფილი ატაშე საქართველოში პასკალ უსტი ამბობდა, რომ მზად იყო, ცხოვრების ნახევარი ამ საოცარ შენობაში გაეტარებინა. განახლებულ თეატრში უკვე პირველი ნარმოდგენაც გაიმართა – „ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა“: როგორ იპარავს ჩიტი ბორია ლენინისთავიან „თუმნიანებს“ გაჭირვებული ბებია დომნას დასახმარებლად. რამდენადაც ცნობილია, მზადაა „სტალინგრადის ბრძოლაც“.

და ვიდრე მეორე მსოფლიო ომის ამ ყველაზე სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაღუპული ათასობით ცენტრებისა და ჭიათურების ამბავს გაიგებთ (ან გაიხსენებთ), არ დაგავინყდეთ, ზუსტად 12 საათზე, თბილის დახრილ კოშკში ოქროსფრთიანი ანგელოზი ზარს შემოჰკრავს. აჟდერდება ცნობილი იმერული სიმღერის, „სიყვარული ძნელია“ მოტივი და ჩვენს წინ, ერთი წუთის გამნავლობაში მთელი ცხოვრება ჩაივლის: ჯერ ახალგაზრდა შეყვარებულები, შემდეგ უკვე ზრდასრულები, უკვე მოხუცები და ბოლოს – ორი პატარა საფლავი... და ისევ შეყვარებულები. მთელი ცხოვრება, როგორც გაფუჭებულ ციფერბლატზე მოძრავი ისრები, როგორც კოშკის სახურავზე აყვავებული ბრძეული... ც.



ალექსანდრე გაგარინის ფოტო

# ჩის კატეგორია



რატომ გვიგზავნიან (ასეთ) ჯაშუშებს?

ლაშა ბულაძე, მწერალი

ალბათ, ბევრს გემახსოვრებათ რუსი ხალხის გამოკითხვის ამბავი, შტატების მერე საქართველოს რომ ასახელებდნენ რუსეთის უპირველეს მტრად.

მასინ ისიც ითქვა, რუსების უმრავლესობას საქართველო მრავალმილიონიანი მუსლიმური ქვეყანა ჰქონია. აი, რაღაც ამდაგვარი: „გრუზინისტანის ისლამური რესპუბლიკა“. ხოდა, რა სამწუხაროა, როცა მტრულად განწყობილს დიდი და ბევრი ჰქონიარ და ისე სძლებარ, როგორც გოლიათს უნდა სძლედეს მასზე ოდნავ დაბალი გოლიათი.

მაგრამ ერთი კია, მიუხედავად ასეთი წარმოდგენებისა, ჩვენზე მაინც არ გახლავან მაღალი შეხედულების. ამერიკელებისათვის ტყუილად არ მიუნიჭებიათ პირველი ადგილი – ამათ უფრო სცემენ პატივს, ვიდრე ჩვენ. ჩვენ რაღაც ბანძ გოლიათებად გვთვლიან.

აბა, შეხედეთ თუნდაც შტატებში შეგზავნილ აგენტობას და მერე ჩვენთან შემოგდებულ შპიონ კაცებს შეადარეთ. რას გვანან ჩვენი შპიონები და იმათები კი რა ლამაზები არიან! აი, რას ნიშნავს იყო მართლაც წარმატებული და მიმზიდველი ქვეყანა (აშშ-ს ვგულისხმობ): ასეთისთვის, ბოდიშს ვიხდი და, კაი ჩასაკოკლოზინებელი და ტაკომრგვალი შპიონი ანა ჩეპმენი (თუ რაც ქვია) გემეტება, ხოლო ყოფილი მოძმე რესპუბლიკისთვის – დაღლილი, ღიპმომჩვარული და გაუპარსავი კაცები.

ეს რა სამარცხვიონ შპიონებია: ამბავს ვერ მოგიყვებიან, ამათ როგორ უნდა ანდო შენი გულის ნადები! ამათ როგორ

უნდა მოახერხონ, უკაცრავად და, დავერიები შემოსვლა – ქართულად ვერ მეტყველებდნენ. შპიონი ისეთი უნდა იყოს, ხსენებული ტაკომსხვილი ჩეპმენი რომაა – გამართულად რომ ტიკიტიკებს შენს მშობლიურ ენაზე და, ბოლო-ბოლო, კალთაზეც რომ დაატირებ: ოღონდ



შენ არ მიმატოვო და ყველაფერს ჩაგიკაკლავო...

აბა, ჩვენი ჭუჭყიანუაკეტიანი მსუქანი ხალხი ვის რა ჯანდაბად უნდა! ასეთმა ან რა უნდა გაიგოს და როგორ უნდა გადმოსცეს ნანახ-მოსმენილი? ხომ გეუბნებით, ერთი სიტყვაც ვერ გავიგე მათი ნაამშობიდან... თან რამდენი არიან, სად მოინახა ამდენი ერთნაირი?

ბიძაშვილ-მამიდაშვილები ხომ არ იყვნენ ერთმანეთისთვის?

მიდი და იძახე ამის მერე, ერთმორწმუნე ერებია რუსები და ქართველებიო, – ღირსეული ერთმორწმუნე ერი, მე ასე მესმის, პატივისცემის ნიშნად ამ ხოზობოჩებს კი არა, ანანო ჩეპმენის მსგავს ცუნცულა და ტაკომშევაშლებულ ცუგრუმელებს შემოგთავაზებდა – ეს ნამხდარი ბიძაკაცები კი ვის რა შავ ქვად უნდა!

შპიონი ისეთი უნდა იყოს, მისი გაცნობა რომ გესიამოვნოს: სიმპათიური, სპორტული და შიროვი, ასე ვთქვათ. ბრიტანელი ჯაშუშვილით.

ერთი ის მანახა, ვინც ამათ, ჩვენთან შემოყრილებს ენდო და რამე ჩაუკაკლა, ან რაიმე მეტნაკლებად საპასუხისმგებლო პოსტი ანდო!

ეტყობა, რა ქვეყანაც ვართ, ისეთი შპიონები მოგვადრეს.

წარმომიგდენია, ჩვენები, ანუ რუსეთში შეგზავნილი ქართველი შპიონები რას ემგვანებიან! უი, უი, უი! გაფიქრებაც არ მინდა. სირცევილო, სირცევილო! ალბათ, რას წვალობენ, რას ჯანირობენ რუსულად: ეტა ინფარმაცია ხაჩუ, ეტა ნიეტ! ვოტ ეტა!

მოკლედ, ჩემი შეხედულება ასეთია: ნაწვალები, წერა-კითხვის უცოდინარი და ცხოვრებით შეჭირვებულ-შეწუხებული შპიონი ბევრს ვერაფერს დაგაკლებს, საშიშები ჯეიმს ბონდის იერის მეონენი, არისტოკრატულ წრეებსა თუ სამთავრობო სიმაღლებზე მდრენინავი (ან შეფარულად მპრეზინავი) ჯეელები გახლავთ. კინოში, ყოველ შემთხვევაში, ასეა.

# ამინდი ეა ფეხბურთი



გიორგი ამინდებინი

ინგლისში ადრე წამოღამება დაიწყო. ეგრე, ოთხი საათის მერე კაი დაბნელებულია. შესაბამისად, ამინდიც წახდა, თუმცა კი ამბობენ აქ ამინდი არ ვარგაო. ამინდისა რომ ვთქათ უფრო გასაგებად, ერთხელ ლივერპულის ლეგნ-დარულმა მწვრთნელმა ბილ შენერიმ იხუმრა ვიღაცაზე, მაგას ხასიათი აქვს, როგორც წვიმა მანჩესტერში, თუმცა მანჩესტერში წვიმა ხანდახან გადაიღებს ხოლმეო.

ამინდი კი წახდა, მაგრამ ინგლისური ფეხბურთისთვის ეს არაფერია. ყველაზე მაგარი მატჩები ინგლისში სხორცედ მკაცრ ამინდში ითამაშება. დღევანდელი საფეხბურთო მინდ-ვრების დრენაჟი და მთელი ამბავი უკვე ლამის ჩენითანაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ფეხბურთელებმა ტალახი არ ზილონ, მაგრამ მინდორი მაინც მინდორია და ინგლისელი ფეხბურთელები და მწვრთნელები ალბათ, პირველ ადგილზე არიან მსაფლიოში ამინდის და სათამაშო მინდვრის განხილვის საკითხში.

ისტორიაში არაერთხელ ყოფილა, რომ ინგლისელ მწვრთნელებს თავიანთი გუნდის, უფრო კი ეროვნული ნაკრების მარცხი ამინდისა და გაზონისთვის დაუბრალებიათ. სიცხე იყო, ან ბიჭებს ბალახმა გუნება წაუხდინათ და ასეთები.

რა თქმა უნდა, ინგლისელი ფეხბურთელები იმთავითვე განებივრებული იყვნენ კარგი ბალახით. ქვეყანაში, სადაც ზამთარშიც კი პარკები მწვანედ ბიბინებს, საფეხბურთო მინდორი ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რამიყო.

აი, რახანია გაიხსნა ახალი უემბლი და სალაპარაკო ერთია – მისი გაზონი, რომელიც ვერა და ვერ მოიყვანეს იმ კონდიციაში, რომ სალაპარაკო არ იყოს. ვერასგზით. ინგლისი უცნაურობათა ქვეყანაა. უემბლიდან აღმოსავლეთით წახვალ და დიდი წვალების გარეშე მიადგები არსენალის ახალ სტადიონს, ემირატს, სადაც მთელს ქვეყანაში თითოთ საჩვენებელი მწვანე მინდორია. არა, მინდორი უემბლიზეც ხასასა მწვნეა, მაგრამ ვერაფრით მოამაგრეს, მოაშრეს და ასე შემდეგ. არსენალს მინდვრის მოვლის დიდი ტრადიცია აქვს და ის ძველი ჰაბარიდან ახალ ემირატზეც იოლად გადმოიტანა. მისი მებალახენი ცნობილია არიან. ასეთივე ტრადიცია ჰქონდა ძველ უემბლის, თუმცა, ახალ მინდორს თავიდანვე უილბლობა დაებედა და მისი გაზონის ამბავი კვლავ საიდუმლოებით მოცული რჩება. ეგებ არსენალის მებალახებმა უშველონ.


ინგლისელი მწვრთნელები რომ უცხოეთის სიცხეს და ბალახს დაიჩივლებენ ხოლმე, არასდროს დაიჩივლებენ

საკუთარი მინდვრების ცუდ ამინდს. იმიტომ რომ ეს ამინდი წვეულებრივია აქაური ფეხბურთისთვის. ჩრდილოეთის ქვეყნებში სიცივეში თამაში რაიმე ექსტრიმად საერთოდ არ ითვლება, მაგრამ ინგლისი, როგორც წვიმის ქვეყანა, ამ საქმეს წვიმასაც უმატებს. ფეხბურთი და წვიმა ამ კუნძულზე განუყრელი მეგობრები არიან. საზოგადოდ, ინგლისის გამუდმებული წვიმის და მარად ნისლების ქვეყანად წარმოსახვა უფრო ვიქტორიანული ეპოქის წიგნების ამბავია, განსაკუთრებით კი ლონდონთან მიმართებაში, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ წვიმა აქ ცხოვრების ნაწილია, ხოლო ქოლგა უბები ყველაზე მაგარ ძველ ბიჭს ისე უდევს, როგორც იაპონელ სამურაის – მარაო ქამარში. ამიტომ, ფეხბურთისაც კარგა მშვენივრად სდევს ხოლმე წვიმა.

და უხდება კიდეც.

ქვეყანაში, სადაც ყველაზე მეტი მატჩი შობის და ახალი წლის დღეებში იმართება, ანუ მაშინ, როცა მთელი ევროპის ფეხბურთელები მხართებოზე არიან წამოწოლილი, ყოველთვის კარგი საფეხბურთო ამინდია, თუნდაც ეს ამინდი საშინელი იყოს.

უცნაურობათა ქვეყანაა, მაგრამ უცნაურობები ძალიან ტკბილია ხოლმე. როგორც რიჩარდ ლომგული ამბობს ერთ ფილმში: პატიოსანი, უშიშარი და გულუბრყვილო, აი, ნამდვილი ინგლისელი. ამინდის და ფეხბურთის ამბავიც ამას ჰავას. რაღაცით. **■**



# ბასინინა ავლაბაში

ნაზილი II



თბილისის უბნები თვალის ერთი შევლებით.

კახა თოლორდავა

აქ ყველა ქუჩაზე იმაზე მეტანს გინდა, დარჩე, ვიდრე სადმე სხვაგან. აქ ყველა ეზოში გინდა, რომ შეიხედო, გინდა, რომ აქაურებს იცნიბდე, გინდა, რომ აქაური იყო, ამუბნელი. ნოემბრის მზე ზურგში მირტყამს და ჩემსავე ჩრდილს ჩემზე წინ ატარებს. ოციოდე წუთი იქნება, რაც ავლაპრის ერთ-ერთი ქუჩის აღმართს შევუდექი. ძირითადად სომხური ან რუსული საუბარი მესმის. ავლაპრელ ბიჭებს მძიმე მზერა აქვთ, გოგონებს კი ჭრელ-ჭრელი ტანსაცმელი აცვიათ და ხშირად იცინან. „ენრიკო გალისა?“ – ეკითხება ზურგზანთამოკიდებული ათიოდე წლის ბიჭი მეგობარს. მე ვრერდები და გარშემო ვიყურები – მინდა, ენრიკოს მოვკრა თვალი. ის არ ჩანს. ბიჭები გზას აგრძელებენ. მათ შემხედვარეს მასხსენდება, რომ არასდროს მისეირნია აქ ზამთარში, დათოვლილ ქუჩებში. არც ჩემი შვილი მომიყვანია აქ სასეირნოდ. რატომ? არ ვიცი, პასუხი არ მაქვს.

ქუჩის კუთხეში მდგარი ლურჯი მანქანიდან რუსული სიმღერა ისმის მთელ ხმაზე, მაგრამ საკმარისია, გზიდან გადაუხვიო, ერთ-ორჯერ მიუხე-მიუხეოთ და უკუკი სრულ სიჩუმში ხვდები. აქ ყველგან ასეა, ერთ წუთს ქალაქის ხმაურში მიაბიჯებ, მერე კი გზიდან გადაუხვევ და უეცრად მხოლოდ გამხმარი ფოთლების ასფალტზე ფხაჭუნის ხმაღა გესმის. რამდენიმე წამში ეს ხმაც ქრება და რომელიმე, ძალიან, ძალიან ვიწრო ქუჩა შენივე ნაბიჯების და გულისცემის ამარა გტოვებს. ასეთი ქუჩები უსაჩიუქროდ არავის აბრუნებენ უკან და ქალაქის ხმაურში შებრუნებულს აუცილებლად თან გამოგატანენ ერთი-ორ ძლიან ლამაზ, აგურით ნაშენებ, ხშირად ოდნავ დაზიანებულ სახლს და ქაოტურად ლამაზ, ზოგვერ კვაბაროსიან გზის, რომლის მოხატული კედლებიდანაც დოინჯშემოყრილი შეკაცენებერი გილიმის, ფანჯრებიდან კი „ლოვენბრაუს“ ქილებით შეკანინებული სატელევიზიო ანტენებია გამოჩინილი. მე ძალიან მომწონს აქაური ლაპირინთები, მაგრამ არ ვიცი, აქ მცხოვრები ჩემნაირად ფიქრობენ თუ არა. აქაურებს თვითიგადარჩენის უცანური სისტემა აქვთ შემუშავებული, რაც კარგი ცხოვრების შედეგი ნამდვილად არ უნდა იყოს, – სარეცხის თოკები ერთ ეზოში ინყება და მეორეში მთავრდება, წყლის გამაცხელებული დაბლანდულ ეზოებში, ხეებზეა დამონტაჟებული, ძნელი გასარკვევია, თუ საით უჭირავთ გეზი ელექტროსადენებს და საერთოდ გაუგებაროს, თუ როგორ აყენებენ აქაურები მანქანებს ამ უვინროვეს, გაუვალ ქუჩებზე. ალბათ, ვერტმფრენებით თუ უშვებენ ხოლმე საბამორპით და დილაპონით ასეთივე გზით გაპუავთ. და მანც, აქაურობა კეთოლად ღიმილისმომგვრელი უფროა, ვიდრე დამთრგუნველი. უფრო მეტიც, აქ სეირნობისას გრძნობ,



თუ როგორ უწევს გული ქალაქს აქეთკენ. თბილისი ავლაპრისკენ მოცოცავს, ნელ-ნელა და დამაჯერებლად. ამაზე უამრავი ახალი მშენებლობა მიგანიშნებს, თუმცა მათი შემხედვარე მხოლოდ იმაზე ფიქრის, თუ როგორ შეიძლება აქაური განუმეორებლად ქაოტური და დაზიანებული სილამაზის შენარჩუნება. ბოლოს და ბოლოს, ავლაპარი ხომ ის უბანია, რომლის შესასვლელთანაც ვიღაც სასიქადულო საბჭოთა არქიტექტორმა ის წაგრძელებული საბჭოთა შენობა ჩადგა, მეტებიდან გადალებულ თბილისის ნებისმიერ ხედს რომ აფუჭებს? ამასაც ნიჭი უნდა, არა?


ფიქრებიდან ვიღაც ქალს გამოვყარ, – „გაზიდან ხარ?“ – მეყითხება, ქართულად. „არა, ქალაბურნი!“ „აბა, რენიზის გადატანის საკითხზე ხარ?“ სასწრაფოდ ვმალავ ბლოგოტს და კალამს და გზას ვაგრძელებ. ცოტა ხანს, ვინადან ვევრდის აქცევა შეუძლებელია, სამღლოვარო პროცესის მივყვები, მერე ვიღაც კეთილ ადამიანებთან ერთად ყავას მივირთმევ, პირდაპირ ქუჩიმი, ფეხზე მდგარი, თან პილიტიკაზე ვსაუბრობთ, მერე ერთი ქალბატონი ყურძნით მიმასპინძლებება, მეორე კი ახლად გამომცხვარი კარტოფილის ღვეზლით. „ვოტ ვი, ვაკინცი, დაუმატე ჩრტო ზდეს ნამ ლეგეო, ნო...“ მერე პატარა ბიჭებთან ერთად ფეხბურთს ვთამაშობ სრულიად გამაონებელი სილამაზის ქუჩაზე, რომლის სახელიც არ ჩაეიწერე და ძალიან ვნანობ. არაფერია, ვაპოვი. მერე კი ძალიან ვიღლები და სახლში ვბრუნდები. ვახშმობისას თბილისის რუკას ვათვალიერებ და ვფიქრობ ქალაქის რომელ უბანში გავისეირნო შემდეგ.

„ბულგარის“ სუნი მირჩევნია...“ – მესმის ჩემს გვერდზე მჯდარი ქალბატონის ხმა. დილაა. კუს ტაბზე ვზივარ და ამ ტექსტს ვწერ. აქ ყურმოკრული საუბარი მასხსენებს, რომ გუშინ, ავლაპრის ქუჩებში სეირნობისას, თან დამწვარი ფოთლების სუნი მდევდა.



თალავი, ყვარელი, ლაგოდევი  
გორი, ქარელი, ხაშური  
ზესტავონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურავი, ქობულეთი, ბათუმი  
ვოთი, სენავი, ზუგდიდი

**FM 105.5**  
**FM 103.0**  
**FM 104.5**  
**FM 101.0**  
**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

---